K 8086/2

ოფიციალი გამოცემა

სამთო არტილერიის

წესდებილების წესდება

(1909 წლის ნიმუშის ზარბაზნებისთვის)

ზარბაზნის შესწავლ

თბილისი.
სამხედრო სამინისტროს სტამბა

ოფიციალი გამოცემა.

სამოქ. არტილერიის

წესბილების წესდება

(1909 წლის ნიმუშის ზარბაზნებისთვის)

ზარბაზნის მესწავლა.

1323
4357
სპეგ-2000
შემოწმებულია

ნებადართულია საქართველოს სამხედრო მინისტრის
მიერ 1919 წელს 10 იანვარს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს რესპუბლიკის სამხედრო მინისტრის ბრძანების თანახმად შემდგარმა საწესდებო კომისიამ განიხილა და შეასწორა ეს წესდება, რომელიც ეგზავნება ჯარებს სახელმძღვანელოდ.

ს ა რ ჩ ე ვ ი:

განყოფილება I.

ზარბაზანთან მოქმედება

თავი I ჯარის-კაცთა განაწილება და მათი ადგილები, ... მუხ. 1—5

,, II ზარბაზნის მომზადება სასროლად . . . . . „ 6

,, III სროლა . . . . . „ 7—22

მიმართულ ზარბაზნის მდებარეობის აღვნიშვნა, გადასვლა პირდაპირი მიმართვიდან განცალკევებულზედ . . . „ 23—24

კუთხსაზომის, თარაზოს, სამიზნოს და მილის დაყენების შეცვლა. ღერძის აწევ-დაწევა, ყუმბარის გამოცვლა, მიზნის გამოცვლა . . . . . „ 25—29

ზარბაზნის დაცლა და სრული შეწყვეტა ცეცხლისა . . . „ 30—32

„ IV პირადი შემადგენლობის საფარი . . . . . „ 33—36

თავ. V. დაკლებული ნომრების შევსება . . . . . მუხ. 36
„ VI დასვენება და ნომრების თავის მოყრა . . . . . „ 37—39

განყოფილება II.

შებმულ და დასაპალნებელ ზარბაზნის შესწავლა.

თავი I პირადი შემადგენელობისა და ცხენების განაწილებაშებმა . . . . . მუხ. 40—47
II ზარბაზნის წესრიგი . „ 48—39
III ჯარის-კაცთა ადგილები ალაგობრივ მოთავსებისას . „
ა) თვლიანი წესრიგი,
ბ) საპალნიანი წესრიგი,
გ) თვლიან-საპალნიანი წესრიგი
ჯარის-კაცთა ადგილები . მუხ. 53—55
IV ზარბაზნის მოძრაობა.
ალიურები . . . . „ 56
განკარგულებანი . . . „ 57—59
და მანძილები . . . „ 60—61
მოძრაობის დასაწყისი . „ 62—69

ზარბაზნის გაჩერება . . . მუხ. 70—73
მოძრაობის მიმართულების
შეცვლა . . . . . „ 74—83
თავი V შებმულობის და საპალნეების
გადანაცვლება და გადარაზმვა
თვლიან წესრიგში . . . „ 84—89
საპალნების გადარაზმვა საპალ-
ნიან და თვლიან წესრიგში „ 90—91
„ VI ზარბაზნის გადასვლა ერთ სა-
მოძრაო წესრიგიდან მეორეზე,
გადასვლა თვლიან წესრიგიდან
საპალნიანზე. . . . . „ 92—98
გადასვლა საპალნიან წესრიგი-
დან თვლიანზე . . . . . „99—102
გადასვლა თვლიან წესრიგიეან
თვლიან-საპალნიანზე . . 103—104
გადასვლა თვლიან-საპალნიან
წესრიგიდან თვლიანზე . . 105
გადასვლა საპალნიან წესრიგი-
დან თვლიან-საპალნიანზე . „106
თავ. VII გადასვლვა თვლიან წესრიგიდან
საბრძოლველ წესრიგზე და
ზოგადი განმარტებანი. მუხ. 107—128
წაყენება . . . . . „ 129—131
მიყენება . . . . . „ 132—135

თავ. VIII გადასვლა საპალნიან წესრიგიდან საბრძოლველ წესრიგზე და პირიქით.

ზოგადი განმარტებანი . მუხ. 136—147
გადასვლა საპალნიან წესრიგიდან საბრძოლველ წესრიგზე . . . . . „ 148—151
გადასვლა საბრძოლველ წესრიგიდან საპალნიან წესრიგზე . . . . . „ 152—156
გადასვლა თვლიან-საპალნიან წესრიგიდან საბრძოლველ წესრიგზე . . . . . „ 157

„ IX **საცხენო წესრიგი.**

ზოგადი განმარტებანი . „ 158—162
ალიურები . . . . . „ 154
გადასვლა თვლიან წესრიგიდან ცხენოსნურ წესრიგზე და წინაუკმო . . . . . „ 164 166
გადასვლა საბრძოლველ წესრიგზე და წინაუკმო . . „ 167
წაყენება . . . . . „ 168—170
მიყენება . . . . . „ 171—174

„ X დაკლებულ ჯარის-კაცების და

ცხენების შევსება . . . მუხ. 175—180
თავ. XI დასვენება . . . . . „ 181

თანდართი.

I—ზარბაზანთან მოქმედების შესრულება.
II—წესი ზარბაზანში გაჭედილ ყუმბარის გამოღებისა
III—განკარგულების მაგალითები
IV—უნაგირების მომზადება ცხენმტარებლებისაგან.
V—სამთო ზარბაზნის სალაშქრო მოძრაობა
VI—ჯარის-კაცების და ცხენების არჩევა და მათი მომზადება.

პირობითი ნიშნები

ზარბაზნის ქვეითა ნაცვალი

ცხენოსანი ზარბაზნის ნაცვალი

ნუმერი

ცხენმტარი

ცხენი მხედრისათვის

საპალნიანი ცხენი

უსაპალნო ცხენი

ყუთი საპალნიანი

ცხენი.



ეროვნული ბიბლიოთეკა

ზარბაზნობრივი სწავლა.

ნაწილი I.

ზარბაზანთან მოქმედებანი.

თავი I.

პირადი შემადგენელობის გათვლა და პიროვნებათა ადგილები.

1. ზარბაზანი და ყუთი შეადგენენ განუყოფელს საომარ ერთეულს.

2. ზარბაზანთან და ყუთთან სამოქმედოთ ინიშნებიან: ზარბაზნის ნაცვალი, ყუთისმტარებელი (ორ ზარბაზანზე ერთი), ზარბაზნის 7 ნომერი და ყუთის 3 ნომერი.

№ 1—მომიზნე,

№ 2—მესაკეტე,

№ 3—გამტენი,

№ 4 — მესამართე,
№ 5 — 1-ლი დამყენებელი,
№ 6 — მე 2-რე დამყენებელი,
№ 7 — მეწინალე,
№ 8 — 1-ლი მეყუთე,
№ 9 — მე 2-რე მეყუთე,
№ 10 — მე 3-რე მეყუთე, (მწყობრზე ერთი)

3. სროლის დროს ზარბაზანთან იმყოფება ოთხი სავაზნე ყუთი; ყუთებს ალაგებენ 2 ნაბიჯით მარჯვნივ **ხორთუმისაგან**, ხორთუმის ხაზზე, ორ რიგად, სახურავით უკან, შესაკრავით ზევით.

4. ზარბაზნის ნაცვალი არის ზარბაზნის უფროსი, ის მოვალეა:

ბ) დასდგას პოზიციაზე ზარბაზანი, შეძლებისამებრ--გვერდზე გადაუხრელად; ამისათვის ზარბაზნისათვის ნაჩვენებ არეზე უნდა ამოირჩეს სწორე ადგილი, ან თვლებისათვის მიწა გამოათხრევინოს; უნდა უბრძანოს გააკეთონ კვალი სახნისის მისაბჯენად.

ბ) უბრძანოს № 1 განსაზღვროს სამიზნო (კორა), რომელიც მოითხოვს მაღალ ღერძზე გადასვლას, ხოლო, როცა ზარბაზანი ფარულ პოზიციაზე სდგას — უმცირესი სამიზნოც, საფარის თხემზე დამიზნებით,

ეროვნული ბიბლიოთეკა

როგორც ზარბაზნის ღერძის მიმართულებით, ისე იმის აქეთ-იქით, დაახლოვებით სწორე კუთხის ფარგალში (3,0—4,0 კუთხსაზომის დაყოფილობისა);

გ) თვალ-ყური ადევნოს, რომ ზარბაზნის პირდაპირ არ იყოს ისეთი საგნები, რომლებიც შრაპნელების ნაადრევათ გასქდომას გამოიწვევს.

დ) თვალ-ყური ადევნოს ნომრების სწორსა და სწრაფს მოქმედებას.

ე) თვალ-ყური ადევნოს საგნების ნაწილის რიგიან მდგომარეობას და ზომები მიიღოს დაზიანებულის შესაკეთებლად.

ვ) რომ ზარბაზანს ყუმბარები არ მოაკლდეს

ზ) უბრძანოს ზარბაზნის გადაგორება მეორე ადგილზე ($1^1/_2$—2 ნაბიჯზე), თუ ხორთუმის ქვეშ მიწა გაფხვიერდა, როდესაც მიმართვის წერტილი ას საჟენზე ახლოა ზარბაზანი წერტილის მიმართულებით უნდა გადაგორდეს.

Თ) მიიღოს და ჩაიწეროს ზარბაზნის შესახებ დაყენებანი და გადასცეს ისინი თა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვის ზარბაზანს მათი საბოლოო მნიშვნელობით. ჩაიწეროს ზარბაზნის აღნიშვნისას მიღებული მიზნების ნომრები და დაყენებანი.

თ) პირდაპირი მიმართვით სროლის დროს, თუ მიმართვის წერტილი ბრუნდათ მოსჩანს, ან დაიმალება, უბრძანოს პირველ ნომერს გადავიდეს განკერძოვებულ მიმართვაზე.

ი) სახიფათო სიახლოვეზე მიზანში სროლის დროს უჩვენოს პირველ ნომერს მიზნის უბანი.

კ) თვალყური ადევნოს, რომ უაზრო ზარალის ასაცდენათ: 1) ნომრებმა გამოიყენონ ფარი მტრის ნასროლისაგან საფარად; 2) სროლის შეუჩერებლად გააკეთონ ორმოები ზარბაზნისა და ვაზნების ყუთებისათვის საფარი.

ლ) უბრძანოს ზარბაზნის გატენა ახალი ვაზნით, თუ აწვის შემდეგ ჩახმახის ორჯერ დაცემით არ გავარდება.

მ) ზარბაზნის ღრუში მასრის გაჭედვის დროს უბრძანოს № 4-ს იგი საქლეშით ლულიდგან გ ამოაგდოს.

ნ) თუ ყუმბარა გაიჭედა, ისე მოიქცეს, როგორც მეორე დანართშია ნაჩვენები.

ო) რბილ ნიადაგზე სროლის დროს უბრძანოს სახნისის ზედ შეგდება;

პ) საჭირო დროს, მოითხოვოს სანგრის იარაღს.

ჟ) იმ შემთხვევისათვის, თუ თვითონ გამოაკლდება, დანიშნული ჰყავდეს თავის მოადგილეთ ზარბაზნის ნომერთაგანი.

5. ზარბაზნის ნაცვალი დგება მე № 4 მარცხნივ ნახევარ ნაბიჯზე, ზარბაზნის მოქმედების დროს კი იქ იმყოფება, საცა საჭიროდ სცნობს ნომრები დგებიან (ნახატი 1):

№ 1—ლაფეტის მარცხნივ, პირით მინდვრისაკენ.

№ 2—**მარჯვნივ**, პირით ლაფეტისაკენ. ორივე ნომერი დაზგებთან ახლო დგება, ზარბაზნის საფალიო ნომრის ხაზზედ*)

№ 3—მარჯვენა მხარეზე, № 2-ის მარცხნივ $^1/_2$ ნაბიჯით, პირით ლაფეტისაკენ.

№ 4— მარცხენა მხარეზე, ისე რომ უს-

---

*) ზარბაზნის მარჯვენა, თუ მარცხენა მხარეების გამოსარკვევად კაცი უნდა დადგეს ხორთუმის უკან, პირით მინდვრისაკენ.

წორდებოდეს და გვერდში უდგეს ხორ-
თუმის ბოლოს, პირით მინდვრისაკენ.

№ 5 და 6—ვაზნის ყუთების უკან, პირით
მინდვრისაკენ, ისე რომ № 6 იყოს №5-ს
მარჯვნივ.

№ 7 და 8—წინალთან.

№ 9 და 10—საყუმბარო ყუთებთან, ან
ვაზნის საპალნეებთან.

ზარბაზანთან მოქმედების დროს №№ 1 და 2 ებჯინებიან სამუხლეებს; ზარბაზნის ნაცვალი და დანარჩენი ნომრები, თუ განსაკუთრებული ბრძანება არ მიუღიათ, იღებენ ისეთ მდგომარეობას (მჯდომარე, ჩოქელა, წოლით), რომლის დროსაც შესაძლებელი იქნება თავიანთი მოვალეობის მარჯვედ და ადვილად შესრულება, და იმავე დროს, შეძლებისამერ დაფარულად დარჩენაც. სანამ ლაფეტის უკანდაგორება შესწყდება ნომრები გასროლის წინ იმდენად შორდებიან ზარბაზანს, რომ ლაფეტმა უკანდაგორების დროს მათ არ გაჰკრას.

თავი II.

ზარბაზნის სასროლად მომზადება.

6. ზარბაზნისა და სავაზნე ყუთების პოზიციაზე მოთავსების შემდეგ იგანკარგულების:

ს ა ო მ რ ა დ!

ამ განკარგულებით ნომრები იხსნიან დახვეულ მაზარებს და საჭურველს, აწყობენ ხორთუმის მარცხნივ და უკან, ზარბაზნის ნაცვალის ჩვენებისამებრ.

№ 1:

ა) მოატრიალებს ფარის მარცხენა ენას.

ბ) სამიზნოს (კორას) ხალთას მოჰხდის და სდებს ლაფეტზე,

გ) გადმოაწყობს სამუხლეებს,

დ) სწევს ასაწევ-დასაწევ მექანიზმით საფალიე ნაწილს,

ე) მოსატრიალებელ მექანიზმის მქანს საომარ მდებარეობაზე გადასწევს.

ვ) ლაფეტის ყუთიდან იღებს პანორამას და სამიზნოს (კორას) ბუდეში სდებს;

ზ) ათვალიერებს სამიზნო მოწყობილობებს და აძლევს მათ ძირითად დაყენებებს*)

№ 2:

ა) ათვალიერებს ხოჭიჭის სალაშქრო დასამაგრებელს,

ბ) მოატრიალებს ფარის მარცხენა ენას და მის ქვეითა კავბურღლებს და გადაშლის ფარის ზემო და ქვემო ფურცლებს,

გ) ტუჩსა და სახაზინო ნაწილს ხალთას მოჰხდის და ხალთებს სამიზნოს ხალთასთან ერთად ჩამოხსნილ საჭურველთან აწყობს,

დ) ანთავისუფლებს ჩახმახის სალაშქრო დასამაგრებელს და გამოშლის ზონარს,

ე) №№ 3 და 4—რბილ ნიადაგზე სროლის დროს გადაადებენ სახნისს. № 3—ნიჩბებს მოხსნის და აწყობს მათ ლაფეტის მარცხნივ ორ ნაბიჯზე.

№ 4:

ა) ხოჭიჭის პატარა ფარს გამოიღებს და

---

*) ძირითადი მდებარეობა: სამიზნო დაშვებულია მთლად და მოტრიალებულია; საშუალო მდებარეობაში კუთხ_ საზომის და გვერდის თარაზო—20—0; ამრეკველი—0.

აყენებს,

ბ) სამართს გამოიღებს და ჩაუყრის ჭოგ-
რში.

№ 5 და 6:

ა) აღებენ ზედა სავაზნე ყუთების სახურა-
ვებს და ანთავისუფლებენ მათში ვაზ-
ნებს.

ბ) სასაპალნე აზარმაცებს ჩამოიღებენ და
ნიჩბებთან აწყობენ.

№№ 7 და 8.

თუ ზარბაზანთან იქმნენ დატოვებულნი
ზარბაზნის ნაცვალის განკარგულებისამებრ იქ-
ცევიან.

ყველა აღნიშნულ მოქმედების შესრუ-
ლების შემდეგ ზარბაზნის ნაცვალი და
ყველა თავ-თავის ადგილს იჭერს. (ნახატი 1).

К 8.086/2

თავი III.

სროლა

7—შრაპნელით სროლისათვის განკერძოვებულ დამიზნების დროს (კუთხსაზომით და თარაზოთი ეგანკარგულოს:

1. ამა და ამ მიზანს!
2. მიმართე იქითკენ!
3. კუთხსაზომი 00-0!
4. თარაზო 30—0 (00—0)!
5. სამიზნო (კორა) 00!
6. მილი 00 (დაცემაზე—კარტეჩი)!

8—მიზანში პირდაპირი მომართვის დროს—ებრძანოს:

1. ამა და ამ მიზანს!
2. მიმართე იქითკენ!
3. ამრეკელი 0!
4. კუთხსაზომი 30—0 (00—)!
5. სამიზნო (კორა) 00!
6. მილი 00 (დაცემაზე—კარტეჩი)!

9—სამიზნოსი და თარაზოს საშუალებით მიმართვის დროს—ეგანკარგულება:

1. ამა და ამ მიზანს!

2. მიმართეთ იქითკენ!

3. ამრეკველი 0!

4. კუთხსაზომი 30—(00—0)!

5. თარაზო 30—0 (00—0)!

6. სამიზნო (კორი) 00!

7. მილი 00 (დაცემაზე—კარტეჩი)!

10. 200 საჟენზე ახლო დამიზნების დროს:

1. სამიზნო (ᲙᲝᲠᲘ) 0!

2. კარტეჩი!

გრანატით სროლის დროს ყოველს განგარგულებას წინ უნდა უძღოდეს:

გ რ ა ნ ა ტ ი თ!

მილის დასაყენებლად განკარგულება კი აღარ იძლევა.

განკარგულებანი: **ამა და ამ მიზანს!** და **მომართეთ იკითკენ!** შეიძლება შევსებულ იყოს ადგილობრივ საგნის ჩვენებით, ან სიტყვებით: **ბირდაპირ! მარჯვნივ! მარცხნივ!**

11—ამ განკარგულების შემდეგ:

№ 1:

ა) აყენებს კუთხსაზომს, ამრეკველს, თარაზოს და სამიზნოს განკარგულებით ნაჩვენებ რიცხვის დაყოფილებაზე და

ხმა-მაღლა იმეორებს ყველა ამ დაყენებებს.

ბ) განკარგულებით: **ამრეკველით!** ფარის დარაბას ასწევს, ამრეკველით სროლის შეწყვეტის შემდეგ კი ისევ დაუშვებს,

გ) მიმართავს ზარბაზანს ნაჩვენებ წერტილისაკენ და,

დ) როცა ზარბაზანი სასროლად მზად იქნება, იღებს № 2-დან მარჯვენა ხელში ზონარის ბოლოს, ლაფეტის უკან დაგორების შეჩერების შემდეგ კი, სამუხლეებიდან გადმოუსვლელად, მარჯვენა ხელს ჰკიდებს კლიტის სახელურს.

№ 2:

ა) აყენებს სამიზნოს ჩვეულებრივ მდგომარეობაში და ამოწმებს და ასწორებს ამ მდგომარეობას, სანამ მიმართვა სწარმოებს

ბ) აღებს საკეტს,

ბ) ვაზნის შედების შემდეგ № 3 ჰკეტავს საკეტს და მარცხენა ხელში უჭირავს ზონარი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დ) გადასცემს ზონარს № 1-ლს, როცა უკანასკნელი მიმართვას გაათავებს და,

ე) როცა გათავდება ლაფეტის უკან დაგორება, ჩამოხსნის ზონარს ფეხიდგან და სამუხლეზე სდებს.

№ 3:

ა) იღებს ვაზნას № 5-სგან,

ბ) ამოწმებს და ხმამაღლა კითხულობს მილის დაყენებას და გასტენს ზარბაზანს,

გ) იღებს № 5-სგან შემდეგ ვაზნას და ხელში უჭირავს.

№ 4:

ა) თანახმად № 1 ჩვენებისა გადასწგადმოსწევს ხორთუმს სამართით, ან ხორთუმის რკალებით,

ბ) პირდაპირ მიზანში მიმართვის დროს დამოუკიდებლათ თვითონ აძლევს ზარბაზანს ზერელე მიმართულების მიზნისაკენ და

გ) ზარბაზნის ნაცვალის ბრძანებით ხსნის სამიზნო საყეს.

№№ 5 და 6

ა) გამოალაგებენ სავაზნე ყუთებიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვაზნებს,

ბ) აყენებენ მილებს განკარგულების თანახმად

გ) გამზადებისთანავე აწვდნიან ვაზნებს

დ) ამზადებენ შემდეგ ვაზნებს და

ე) ხელში უჭირავთ მომზადებული ვაზნები

12—გასროლისთვის ეგანკარგულოს:

ზ ა რ ბ ა ზ ა ნ ო!

ან **ესა და ეს! (ზარბაზნის ნომერი),**

№ 1 გაისვრის;

№ 2 გასროლის შემდეგ საკეტს აღებს.

13—გასროლის შემდეგ ზარბაზანი სამიზნოს და მილის შესახებ ახალ განკარგულებამდე არ იტენება და მიიმართება გაღებულ საკეტით. შრაპნელების მილები, რომლებიც **აქვთ № № 3, 5 დან,** მზადდებიან თანახმად უკანასკნელ განკარგულებისა.

ზარბაზნის გასატენად დაყენებათა შეუცვლელად ეგანკარგულოს:

ს რ ო ლ ა!

14—განკარგულებით:

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთი (ორი, სამი) ვაზნა!

ჩქარი სროლა!

რა წამს ზარბაზანი მზად იქნება, ზარბაზნის ნაცვლის განკარგულებით ზარბაზანი იმდენჯერ ისვრის, რამდენჯერაც ექნება ნაბრძანები, პირველი **ნომერი კი** ყოველ გასროლის წინ სინჯავს მიმართვას.

15— განკარგულებით **კარტეჩი!** ზარბაზანი ისვრის, როგორც კი მზად იქნება და მიიღებს ზარბაზნის ნაცვლისგან განკარგულებას **ესა და ეს!** ხუფი შეიძლება სამანძილე მილს არ მოვაგლიჯოთ.

16—კარტეჩზე მილის დაყენებით სროლის დროს ზარბაზნის მიმართულება უნდა გასწორდეს მხოლოდ მაშინ, როცა იგი დიდათ გადაიცვლის ადგილს.

17—მოძრავ მიზნებში სროლის დროს უშუმავლო მიმართვით:

№ 1:

ა) განუწყვეტლივ მიმართავს ზარბაზანს მიზნისკენ განკარგულებამდის:

ზარბაზანო! ან ესა და ეს!..

ბ) ამ განკარგულებით გაისვრიან იმ დროს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

როდესაც მიზანი დამიზნების ხაზს გაუსწორდება.

18—სროლის დროს, ზარბაზნის ნაცვალის ჩვენების თანახმად, **მე-6 და მე-7** ნომრებს მოაქვთ სავაზნე ყუთები საომარ ნაწილიდან და მიაქვთ უკან ცარიელები. **მე-8 მე-9 და მე-10** ნომრები ან სამუხტე ყუთებიდან ამოიღებენ ან სცლიან და ვაზნის ყუთებს უდებენ მათ.

19—ცხენ მტარებელნი შველიან საპალნის აკიდებას, ჩამოხდას და სავაზნე ყუთებს მიზიდავენ.

20—თავისუფალი ნომრები სროლის ყოველ შეწყვეტით სარგებლობენ, მასრების ცარიელა ყუთებში ჩასალაგებლად.

21—აწვის დროს [1]):

№ 1—გამოშლის ფეხს კიდევ ორჯერ;

---

[1]) აწვის დროს, როცა ისვრიან მელინიტიან გრანატებს უნდა მოიქცნენ მოხმარების, სასროლად მომზადებისა და ფუგასიან გრანატებით გასროლის წესების თანახმად, საველე მსუბუქ ზარბაზნებისათვის და აგრეთვე საველე ზარბაზნებისა და გაუბიცების მელინიტიან ყუმბარებით სროლის დროს მიღებულ გასაფრთხილებელ წესების თანახმად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თუ კიდევ არ გავარდა, მაშინ ზარბაზნის ნაცვლის განკარგულების თანახმად,

№ 2:

ა) გამოიღებს ზარბაზნის ღრუდან ვაზნას და ხელში უჭირავს,

ბ) ჰკეტავს საკეტს (ჩახმახს) მას შემდეგ, როცა № 3 შესდებს ახალ ვაზნას.

გ) გადასცემს № 3-ს ზარბაზნიდან გამოღებულ ვაზნას.

№ 3:

ა) შესდებს ზარბაზანში ვაზნას, ხელში რომ უჭირავს,

ბ) მიიღებს № 2-სგან ვაზნას, რომელიც აიწვა და გადასცემს № 5-ს.

№ 5—სდებს ვაზნას მასრის ცარიელა ყუთში. აწვის შემდეგ ვაზნას გამოგდება უნდა მოხდეს საკეტის თანაბრი მოძრაობით. რომ მასრა არ მოსძვრეს ყუმბარას. საფისტონო შიდამორგვის გამოცვლა ზარბაზნის ახლო არ შეიძლება.

22—ზარბაზანთან ყოველი მოქმედების სწრაფი შეჩერებისათვის უნდა ეგანკარგულოს:

ეროვნული ბიბლიოთეკა

ს დ ე ქ!

ნომრების სამშეს წყვეტენ ყოველს მოქმედებას; რჩებიან იმ ადგილზე, საცა მათ ამ განკარგულებამ უსწრო და ელიან ახალს.

განკარგულებას: **სდექ!** მიიღებს და გადასცემს ზარბაზნის ნაცვალი, რომელიც ამასთანავე ხელს მაღლა ასწევს.

მიმართულ ზარბაზნის მდებარეობის აღნიშვნა. გადახვლა პირდაპირი მიმართვიდან განკერძოებულზე.

23—პირდაპირი მიმართვი'თ სროლის დროს, გარდა მოძრავ მიზანში სროლისა, სწარმოებს მიმართულ ზარბაზნის მდებარეობის აღნიშვნა, სიმაღლეზე და მიმართულებაზე, სროლის შეუჩერეებლივ.

№ 1 ირჩევს აღნიშვნის წერტილს აღნიშნავს ზარბაზანს და მოახსენებს ზარბაზნის ნაცვალს აღნიშვნის დროს მიღებულ კუთხსაზომის და თარაზოს დაყენებებს, ამასთანავე უჩვენებს მას და ყველა ნომრებს აღნიშვნის წერტილს.

თუ მიმართულ ზარბაზნის მიმართულე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბის აღნიშვნის დროს არ აღმოჩნდება შესაფერი აღნიშვნის საგანი, მაშინ ზარბაზნის ნაცვალის ბრძანებულობით დაარჭობენ საყეს.

№ 1 აღინიშნება საყეთი.

სა ყეს ხსნის და დაურჭობს № 4.

24—თუ პირდაპირი მიმართვით სროლის დროს მიმართვის წერტილი დაიმალება, ან ცუდათ გამოჩნდება მაშინ ზარბაზნის ნაცვალის ბრძანებულობით № 1 მიმართავს აღნიშვნის წერტილზე, კუთხსაზომის და თარაზოს დაყენებებით, რომლებიც მიიღეს აღნიშვნის დროს.

კუთხსაზომის, თარაზოს, ხამიზნოს (კორას) და მილის დაყენების შეცვლა. ღერძის აწევ-დაწევა. ყუმბარის გამოცვლა. მიზნის გამოცვლა.

25—კუთხსაზომის დაყენების გამოსაცვლელად ეგანკარგულება:

კუთხსაზომი 00—00! (ახალი კუთხსაზომის დაყოფილებათა რიცხვი) ან:

1. მიმართე იქითკენ!

2. კუთხსაზომი 00—00!

ან მარჯვნივ (მარცხნივ) 00—00!

ეროვნული ბიბლიოთეკა

თარაზოს დაყენების გამოსაცვლელად ეგანკარგულება:

თარაზო 00—00! (ახალი თარაზოს დაყოფილებათა რიცხვი), **ან თარაზო მეტი (ნაკლები) 00!**

სამიზნოს დაყენების გამოსაცვლელად ეგანკარგულება:

სამიზნო 00! (ახალი სამიზნოს დაყოფილებათა რიცხვი). ყველა შემთხვევაში № 1:

ა) სცვლის კუთხსაზომის, თარაზოს და სამიზნოს დაყენებას,

ბ) იძახის ახალ დაყენებას ხმა მაღლა,

გ) ასწორებს მიმართვას და,

დ) როდესაც ზარბაზანი მზად იქნება სასროლად და იძახის: **მზათაა!** და აიღებს ზონარს.

№ 4 შველის № 1 მიმართვის გასწორებას მიმართულებით.

ზარბაზნის ნაცვალი გამოიანგარიშებს ახალ დაყენებებს და № 1 მოხსენების შემოწმების შემდეგ შეცვლილ დაყენებათა შესახებ იძახის:

სწორეა! ან უგანკარგულებს გამოანგარიშებულ დაყენებებს.

26—მილის დაყენების გამოსაცვლელად ეგანკარგულება:

მილი—00! (ახალი მილის დაყოფილებათა რიცხვი),

ან დაცემაზე (კარტეჩი)!

თუ ზარბაზანი გატენილი იყო № 2:

ა) აღებს საკეტს,

ბ) იღებს ზარბაზნის ღრუდან ვაზნას და ხელში უჭირავს.

გ) ხურავს საკეტს იმის შემდეგ, როცა № 3 შესდებს ზარბაზანში და

დ) გადასცემს № 3 ზარბაზნიდან გამოღებულ ვაზნას.

№ 3:

ა) სცვლის თავის ვაზნის მილის დაყენებას და სდებს მას ზარბაზნის ღრუში,

ბ) ართმევს № 2-ს ზარბაზნიდან გამოღებულ ვაზნას და

გ) სცვლის მის მილის დაყენებას უკანასკნელ განკარგულების თანახმად.

№№ 5 და 6: სცვლიან იმ შრაპნელების მილების დაყენებებს, რომლებიც მათ ხელში უჭირავთ.

27—ღერძის ასაწევ-დასაწევად ეგანკარგულება:

1. სდექ!

2. მაღალ (დაბალ) ღერძზე!

ამ განკარგულებით № № 1 და 2 ბერკეტების საშუალებით, № 4—კი ხორთუმის აწევით, გადაჰყავთ ზარბაზანი მაღალ (დაბალ) ღერძზე.

28—ყუმბარის გამოსაცვლელად ეგანკარგულება:

1. ხდექ!

2. გრანატით (შრაპნელით—მილი 00)!

ამ განკარგულებით ზარბაზანი უნდა გამოიცალოს (როცა მელინიტის გრანატაა—გასროლით).

№ № 3, 5 და 6 აწყობს ვაზნებეს სავაზნე ყუთებში.

№ № 5 და 6 ამოიღებენ სავაზნე ყუთიდან გრანატას (შრაპნელს).

29—მიზნის გამოსაცვლელად (სროლის გადასატანად) ეგანკარგულს.

1. სდექ!

2. ამა და ამ მიზანში!

და შემდეგ, თუ საჭიროა, დაამატოს განკარგულება კუთხსაზომის, თარაზოს, სამიზნოს და მილის დაყენების გამოსაცვლელად.

ზარბაზნის გამოცვლა და სროლის სრული შეწყვეტა.

30—შრაპნელით გატენილ ზარბაზნის გამოსაცლელად ეგანკარგულება:

ვაზნა **გამოიღე!**

№ 2:

ა) აღებს საკეტს,

ბ) იღებს ვაზნას ზარბაზნის ღრუდან და

გ) გადასცემს ვაზნას № 3-ს.

№ 3:

ა) აყენებს თავის ვაზნის მილს კარტეჩზე,

ბ) სდებს მას ყუთში.

გ) იღებს № **2**—ან ზარბაზნიდან გამოღებულ ვაზნას და ხელში უჭირავს,

31—ტროტილის გრანატით გატენილ ზარბაზნის გამოცლა სწარმოებს ამავე წესით, მელინიტისაკი—გასროლით.

32—სროლის სრულ შესაწყვეტად ეგანკარგულება:

მ ო რ ჩ ა!

გატენილ ზარბაზანს გამოსცლიან, შემდეგ:

№ 1:

ა) ლაფეტს საშუალო მდებარეობაში აყენებს,

ბ) ხსნის პანორამას და სდებს ლაფეტის ყუთში,

გ) აყენებს სამიზნოს, კუთხსაზომს, ამრეკ-

ველს და თარაზოს ძირითად მდებარეობაზე,

დ) ხურავს თარაზოს სახურავებს,

ე) გადაჰყავს მოსატრიალებელ მექანიზმის მქანი სალაშქრო მდებარეობაზე,

ვ) №—2-სთან ერთათ ამაგრებს ხოჭიჭს სალაშქრო წესის დაგვარად.

ზ) შეაწყობს სამუხლეს და

№ 2:

ა) ჰკეტავს საკეტს და ახვევს ზონარს საფალიე ნაწილის გარეშემო,

ბ) ამაგრებს ფეხს სალაშქრო წესის დაგვარად,

გ) № 1-დან ერთად ამაგრებს ხოჭიჭს სალაშქრო წესის დაგვარად

დ) აცმევს ხალთებს,

ე) შეაწყობს სამუხლეს,

ვ) უშვებს ძირს ზემოთა ფარს, მაღლა სწევს ქვემოთას და ამაგრებს მას სალაშქრო წესის დაგვარად;

№ 3:

ა) აყენებს ვაზნის მილს კარტეჩზე,

ბ) გადასცემს მას № 5-ს,

გ) № 4-თან ერთად შეაგდებს სახნისს და

დ) აკრავს ნიჩბებს, საყეს და საქლეშს.

№ 4:

ა) ამოიღებს სამართს და ამაგრებს მას სალაშქრო წესის დაგვარად,

ბ) № 3-თან ერთად შეაგდებს სახნისს,

გ) ხსნის ხოჭიჭის პატარა ფარს და სდებს მას სალაშქრო წესის დაგვარად.

№ № 5 და 6:

ა) აყენებენ თავიანთ ვაზნის მილებს „კარტეჩ“ზე,

ბ) ალაგებენ ვაზნებს და მასრებს სავაზნე ყუთებში და ანაწილებენ ისე, რომ ბარგულები წონასწორნი გამოვიდნენ.

ვ) გადააქვთ სავაზნე ყუთებში 1—1½ ნაბიჯზე ზარბაზნის მარცხნივ (ნახატი 2),

დ) წინალის სიახლოვეზე წაყენების დროს (8 ნაბიჯით უკან) № 7-თან ერთად ალაგებენ სავაზნე ყუთებს წინალში.

ნახატი 2.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზემოხსენებულის შესრულების შემდეგ, ნომრები ზარბაზნის ნაცვალის ბრძანებულობით:

ა) გამოაგორებენ ზარბაზანს თვლებისა და ხორთუმის მიერ გათხრილ კვლებიდან.

ბ) ჩაიცვამენ საჭურველს და სდგებიან თავიანთ ადგილებზე. (ნახატი 1).

შენიშვნა. თუ მოსალოდნელია მოძრაობა დასაპალნებით მაშინ განკარგულების შემდეგ **მორჩა**! შემდეგ ეგანკარგულება:

ა ჭ კ ი დ ე თ!

ამ შემთხვევაში ზარბაზნის დამაგრება სალაშქრო წესის დაგვარად არ სწარმოებს, სანგრის იარაღი და კუთვნილება არ შეიკვრება, ხალთები არ იცმევა.

თ ა ვ ი IV.

პირადი შემადგენლობის დაფარვა.

33—სროლის დროს ზარბაზნის ნაცვალი და ნომრები ფარს ეფარებიან განსაკუთრებულ განკარგულების მიუღებლად.

34—თუ ზარბაზანი სანგარში სგდას, ან მასთან ამოთხრილია ორმოები, მაშინ ნომრების შესაფარებლად ეგანკარგულება

მ ო ე ფ ა რ ე თ!

ზარბაზნის ნაცვლები და №№ 1 და 4 იმალებიან მარცხენა ორმოში, №№ 2, 3, 5 და 6-კი მარჯვენაში.

35—თუ საჭიროება მოითხოვს, რომ ნომრებმა თავი შეაფარონ რომელიმე ადგილობრივ საგნებს, ეს სრულდება იმავე განკარგულებით, წინ და წინ მიცემულ დარიგებათა მიხედვით.

თ ა ვ ი V.

დაკლებულ ნომრების შევსება.

36—იმ შემთხვევისთვის, თუ ზარბაზნის ნაცვალი გამოაკლდა, ზარბაზნის უფროსად დგება წინდაწინვე დანიშნული მოადგილე, რომელიც ამასთანავე განაგრძობს ნომრის მოვალეობის შესრულებასაც.

დაკლებულ ნომრები შეივსებიან ზარბაზნის უფროსის ჩვენებით.

საჭირო დროს ნომრის მოვალეობა

უნდა შეასრულოს ზარბაზნის ნაცვალმაც და ესევე უნდა დაევალოთ №№ 7, 8, და 9 და ცხენმტარებელთ.

თავი VI.

ნომრების დასვენება და შეეკრფა.

37—წარმოითქმის განკარგულება;

მოისაქმე!

ეს განკარგულება იძლევა მხოლოდ გამოცლილ ზარბაზნების დროს.

№№ 3, 5 და 6:

ა) აყენებენ კარტეჩზე ხელში დაჭერილ ვაზნების მილებს,

ბ) ალაგებენ ვაზნებს სავაზნე ყუთებში. ზარბაზნის ნაცვალი და ნომრები ისწორებენ ტანსაცმელს და დასასვენებლათ შეუძლიათ მიიღონ მდგომარეობა, როგორც სურთ; ზარბაზნის მოშორება კი შეუძლიანთ, მხოლოდ უფროსის ნებართვით.

38—განკარგულებით:

ზარბაზნის უკან!

წა!

ზარბაზნის ნაცვალი და ნომრები მოეწყობიან ერთი ნაბიჯით ხორთუმის უკან (სამართის უკან, თუ ის შედებულია ჭოგრში) პირით ზარბაზნისკენ, ორ მწკრივათ (ნახატი 3):

პირველში—№№ 2, 3 და 5

მეორეში—№№ 6, 4 და 1

ზარბაზნის ნაცვალი დგება მარჯვენა ფრთაზე.

39—განკარგულებით:

1. ზარბაზანთან!

2. წა!

ზარბაზნის ნაცვალი და ნომრები იჭერენ თავ-თავის ადგილებს ზარბაზანთან (ნახატი 1).



ნ ა წ ი ლ ი II.

შებმულ და დახაპალნებულ ზარბაზანთან ხწავლება.

თ ა ვ ი I.

პირადი შემადგენელობის და ცხენების გათვლა და შებმა.

40—ზარბაზანთან იმყოფებიან: ზარბაზნის ნაცვალი, ზარბაზნის 7 ზარბაზნის ნომერი და 10 ცხენმტარნი: საომარ თვლებისა (შუა საყევრის ცხენოსანი), შუბლისა, ხორთუმისა ხოჭიჭისა, ლულისა (წინა საყევრის ცხენოსანი) ქუროსი, წინალისა, კოლოფისა (საძირის ცხენოსანი) და 1, 2 და 3 ყუთისანი.

ყუთთან იმყოფებიან: ყუთის გამძღოლი (1 მწყობრზე), 3 ნომერი (წყვილიან ქვემეხზე 2), 7 ყუთის ცხენმტარებელნი მე-4 (წინასაყევრის ცხენოსანი), მე-5 (შუა საყევრის ცხენოსანი)! მე-6, 7, 8, 9 და მე-10 ყუთისანნი (ნა-

ხატი 4) და წინალის თვლების (საძირის ცხენოსანი) ცხენმტარი.

41— თითო ქვემეხზე ინიშნება ცხენები: 1 საჯდომი ნაცვლისათვის და 22 ცხენი საარტილერიო-სასაპალნენი: ქვემეხისა 8: საომარ თვლებისა (შუასაყევრის უნაგირიანი), შუბლისა (შუასაყევრის, სადავით სატარებელი), ხორთუმისა, ლულისა (უნაგრიანი წინასაყევრისა), ხოჭიჭისა, (წინა საყევრის, სადავით სატარებელი), წინალის თვლებისა (საძირის სადავით სატარებელი) და კოლოფისა (საძირის უნაგირიანი); **ყუმბარის ყუთების** საზიდავათ 4: წინა ღერძკალის კოლოფისა (სადავით სატარებელი, ყუთის წინა საყევრისა), წინა სვლის თვლებისა (საძირის უნაგრიანი) უკანა სვლის კოლოფისა (სადავით სატარებელი შუა საყევრისა), უკანა სვლის თვლებისა (საძირის სადავით სატარებელი); **ყუთის** 10.

სამი წინალის ვაზნების ბარგულებისთვის (1, 2 და 3), 7 მუხტის ყუთის ვაზნების ბარგულებისათვის: მე-4, (უნაგირიანი ყუთის წინა საყევარისა), მე-5 (უნაგრიანი ყუთის შუა საყევარისა), მე-6,

7, 8, 9 და 10). ამის გარდა, თვითეულ ნახევარ ბატარეიაზე 1 ცხენი ყუთის გამძღოლისათვის (მეორე გამძღოლი ქვეითად) (ნახატი 4).

42 — პარკში (ჯელგმაში) შესვლისათვის ზარბაზნის ნაცვალი, ნომრები და ცხენმტარნი ეწყობიან ისე, როგორც ნაჩვენებია მე-5 ნახატში.

ადგილ მდებარეობის მიხედვით ცხენმტარნი შეიძლება დაეწყვნენ ნომრების უკან ორ-ოლი (ნახატი 6).

ცხენები შეჰყავთ წყობილებაში მოკაზმულობით.

ქვემეხ, ყუმბარის ყუთი, სათანადო კუთვნილება და საჭირო საომარი მასალა წინადვე უნდა იყოს მომზადებული: ქვემეხთან — მომიზნესაგან სავაზნე ყუთისთვის კი — მე-9 ნომრისაგან;

43 — ზარბაზნის ნაცვალი განკარგულობს;

შენიშვნა!

ამ აგანკარგულებით №№ 1, 2, 3, 4 და 5 მიდიან ქვემეხთან.

№ 10 — კი მუხტის ყუთთან.

შესამბელთა ცხენმტარნი და №№ 6, 7, 8 და 9 მოჰყავთ თავისი ცხენები,

ეროვნული ბიბლიოთეკა

თვითვეული მათგანი თავის მხრიდან უვ-
ლის მუხტის ყუთს, წინალს და აბამს
ცხენს. დანარჩენი ცხენმატარებელნი დგე-
ბიან თავის შესამბელის წინალის უკან.

ქვემეხის ნაცვალი ამოწმებს ზარბა-
ზნის და მუხტის ყუთს მზადყოფნას, რაო-
დენობას დარიგიანობას საომარ მასა-
ლისას, აგრეთვე შეკაზმვის და შებმულო-
ბის სისწორეს. წყვილი შებმულობის
ურიგობისთვის და უსწოროობისთვის პა-
სუხს აგებს სათანადო ცხენოსა-
ნი; მოკაზმულობის ურიგობისთვის პასუხის მგე-
ბელია შესაფერი ცხენმტარი ზარბაზნის
ურიგო მდგომარეობისათვის პასუხს აგებს № 1,
(მომიზნე), ხოლო სამუხტე ყუთის ურიგობისა-
თვის — № 9. ზარბაზნის, შემბულობის და ბარ-
გულების ურიგო მდგომარეობისათვის საზო-
გადო პასუხის მგებელია ზარბაზნის ნაცვალი.
44 — შებმის გათავების შემდეგ ზარბაზნის ნაცვალი
განკარგულობს:

1 **ზარბაზანთან!**

2 **წა!**

მეორე განკარგულების შემდეგ ზარბაზნის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნაცვალი დგება ერთი ნაბიჯით წინ ზარბაზნის შებმულობისაგან და ყველა იჭერს ადგილს თანახმად მე-4 ნახატისა.

45—თუ ზარბაზანი პარკიდან (ჯელგმიდგან) საპალნის წესით უნდა გამოიტანონ,

„**შეაბით**“ ის მაგივრად განკარგულობს:

სასაპალნოთ—წა!

ეს შესრულდება თანახმად 93—97 მუხლებისა.

46—პარკიდან (ჯელგმიდგან) გამოყვანის წინ განკარგულობს:

გამოუშვი!

ამის მერე ზარბაზნის ნაცვალი და ცხენოსნები ჩამოხდებიან ცხენებიდან, სადავით სატარებელ ცხენების დამტარებელნი ცხენებს უახლოვდებიან და ცხენოსნებთან ერთად გამოუშვებენ ცხენებს.

მომიზნე ამოწმებს წინალის საომარ მასალას, მე-9 ნომერი კი სავაზნე ყუთისას.

47—გამოშვების შემდეგ ზარბაზნის ნაცვალი განკარკულობს:

1 წინალის და სავაზნე ყუთის უკან (ზარბაზნისა და სავაზნე ყუთის უკან)!

2 წ!

ეროვნული ბიბლიოთეკა

განკარგულებით ნომრები მიდიან და დგებიან თანახმად მე-3 ნახატისა.

ყველა ცხენმტარი თავ-თავის ადგილებზე რჩება.

შემდეგი უფროსის განკარგულების თანახმად სრულდება.

თავი II.

ზარსაზნის წესები.

48— **საომარი წესი:**

ზარბაზანი მოხსნილია წინალიდან.

წინალი, ყუთი და ბარგულები მოთავსდებიან:

ა) საფარის უკან, ან ნაჩვენებ მანძილზე ფრთის უკან (ნახატი 7);

ბ) წაყენებული მახლობლად (ნახ. 8).

4 სავაზნე ყუთს იღებენ მუხტის ყუთიდან და ზარბაზანთან ათავსებენ.

49— **მოძრაობის წესი:**

ა) **თვლიანი** ზარბაზანი და მუხტის ყუთი წინალებზე, 6 სავაზნე ყუთი წინალში და 14 მუხტის ყუთში; ნაცვალი ცხენზე, ნომრები ქვეითად (ნახ. 4).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ) **სასაპალნე** — ქვემეხის ნაცვალი ცხენზე, ყველა ნაწილები ზარბაზნისა, წინალის, მუხტის ყუთისა და ყველა სავაზნე ყუთები დასაპალნებული (ნახ. 9)

შენიშვნა: შებმულ წესრიგიდან საპალნიან წესრიგზე გადასვლის დროს საოთვითეულ ზარბაზნის საპალნეები (22), გარდა არსებულ 12 ცხენმტართა, დანარჩენ 10 ნომერთ მიჰყავთ.

ბ) **თვლიან-საპალნიანი**—ზარბაზანი და მუხტის ყუთი შეერთებულია წინალებთან, ფარი, ლულა და სავაზნე ყუთები კი, ან ფარი და სავაზნე ყუთები დასაპალნებულია,

დ) **ცხენიანი***)—ზარბაზანი და მუხტის ყუთი შეერთებულია წინალებთან, 6 სავაზნე ყუთი წინალში და 14 მუხტის ყუთში, ზარბაზნის ნაცვალი ცხენზე, 10 ნომერი (მწყვილიან ქვებეხში—9) და 12 ცხენმტარი (მწყვილიან ზარბაზანში—13) ცხენებზე შემსხდარნი (ნახ. 10).

---

*) ყველაფერი, რაც შეეხება ცხენიან წესრიგს, გამოცალკევებულია ამავ წესდების მე-IX თავში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დანარჩენი ჯარისკაცნი ქვეითად არიან და იმყოფებიან მაშვალში; ისინი პირველ შეძლებისთანავე უერთდებიან საომარ ნიწილს.

თავი III.

თანამდებობის პირთა ადგილები ადგილას.

ა) თვლიანი წესი.

50. ზარბაზნის ნაცვალი: ცხენზეა ზარბაზნის შებმულობის წინ ოწინარის მიმაროულების გაგრძელებაზე; წინა საყევრის ცხენოსანი თავის ცხენებს აჩერებს ნაცვლის ცხენიდან ერთ ნაბიჯზე საუნაგირე ჰყავს მარცხნივ, სადავით სატარებელი მარჯვნივ; შუა და საძირის უღელი წინა საყევარს კისარში უსწორდებიან.საწევები მოშვებულია.

ნომრები იჭერენ ადგილებს*) (ნახ4).

№ 1 და 2—$^1/_4$ ნაბიჯზე მარჯვნივ და მარცხნივ სასროლი ღერძის ბოლოებიდან,

№№ 3 და 4—ერთ ნაბიჯზე ლაფეტიდან, მის შუაგულის პირდაპირ, მარცხენა და მარჯვენა მხარეზე.

---

*) წინალზე დადებულ ზარბაზნის, ან წინალის მარცხენა მხარეს ჰქვიან საჯდომ ცხენების მხარე.

№№ 5 და 6—1/4 ნაბიჯზე წინალის ღერძის ბოლოებიდან მარცხნივ და მარჯვნივ;

№ 7—მარჯვნივ და № 6 გვერდში.

№№ 8 და 9—1/4 ნაბიჯზე მუხტის ყუთის წინა ღერძკალის ღერძის ბოლოებიდან მარცხნივ და მარჯვნივ.

№ 10—1/4 ნაბიჯზე ყუმბარის ყუთის უკანა ღერძკალის ღერძის მარცხნივ.

ხოჭიჭის, ხორთუმის და ყუთის ცხენმტარნი თავის ცხენებს წყვილ-წყვილად აყენებენ ისე, რომ ხორთუმის და ხოჭიჭის ცხენები იყვნენ ორი ნაბიჯით ლულის უკან, მათ უკან მეორე და პირველი ყუთისანი და შემდეგ მე-3, 6, 7, 8, 9 და 10 ყუთისანი—წყვილ-წყვილად მუხტის ყუთის უკან.

თვითეული წყვილი—ერთ ნაბიჯზე წინა წყვილისაგან, ამასთან მარცხენა მხრის ცხენმტარნი დგებიან მარცხენა მხრის ნომრების კისრების უკან.

ქუროსა და შუბლის ცხენმტარნი—ხორთუმის და მე-2 ყუთის მარჯვენა მხარეზე, გასწორდებიან რა ცხენმტარებზე. პირი ყველას მინდვრისაკენ აქვს მიქცეული.

ჯარის კაცები და ცხენები გასწორებულნი არიან მწკრივებში და კისრებში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ) საპალნიანი წესი.

51—ზარბაზნის ნაცვალი, ნომრები და ცხენ-მტარებელნი დგებიან საპალნებით (ნახ. 9):

ზარბმზნის ნაცვალი—ერთ ნაბიჯზე მეთაურ საპალნის წინ.

ყველა საპალნეები ერთი მეორის უკან: წინ-საომარ თვლებისა, მას შემდეგ შუბლის, ხორთუმის, ხოჭოჭის, ქუროსი, ლულის, წინალის თვლებისა, კოლოფის, 1-ი, მე-2 და 3 ყუთისანი, მუხტის ყუთის წინა ლერძკალის მეთვალე, წინა ღერძვალის მეკოლოფე, უკანა ღერძკალის მეთვალე, უკანა ღერძკალის მეკოლოფე, შემდეგ-კი მე 4, 5, 6, 7,8, 9, და 10 ყუთისანი; ცხენები ერთი მეორის უკან, თითო ნაბიჯზე და კისერში.

ნომრები:

№ 1—შუბლის საპალნესთან,

№ 2—ხოჭიჭისთან,

№ 3—ლულისასთან,

№ 4—წინალის მეკოლოფესთან,

№ 5—უკანა ღერძკალის მეკოლოფესთან,

№ 6—მიჰყავს წინალის თვლის ცხენი,

№ 7—მიჰყავს წინა ღერძკალის კოლოფის ცხენი,

№ 8—მიჰყავს უკანა ღერძკმლის თვლის ცხენი,

№ 9—მიჰყავს უკანა ღერძკალის კოლოფის ცხენი,

№ 10—მწყობრის უკანასკნელ ყუთის საპალნესთან.

თვითეული თავისუფალი ნომერი საპალნის შუაგულის პირდაპირ მარჯვენა მხრივ*).

ყველას პირი მინდვრისაკენ აქვს მიქცეული.

ბ) თვლიან-საპალნიანი წესი.

52—ზარბაზნის ნაცვალი, ნომრები და ცხენმტარნი იჭერენ იმავ ადგილებს, რომლებიც უჭერიათ თვლიან წესის დროს.

ფარს აჰკიდებენ ხორთუმის ცხენს.

ლულისა და ქუროს ასაკიდებლად წინა საყევარი უნდა გამოუშვან და ხოჭიჭის და ხორთუმის ცხენებს კისერში დაუყენონ; № 3 დგება თავის საპალნის შუაგულის პირდაპირ.

ჯარისკაცთა ადგილები მოძრაობის დროს.

53—ზარბაზნის ნაცვალს ცხენმატარებელთ და საპალნეებს უჭირავთ იგივე ადგილები, რომლებიც ადგილა (ნახატი 4 და 9).

[1]) **დახაპალნებულ ზარბაზნის მარცხენა მხარე ეწოდება ცხენმატარებელის მხარეს.**

54—თუ საჭიროა ნომრების მოთავსება ზარბაზნის უკან (ნახ. 11) უნდა ეგანკარგულოს:

ნომრებო, ზარბაზნის უკან!

ნომრების ხელახლად ზარბაზნის გვერდებზე მოსათავსებლად უნდა ეგანკარგულოს:

ნომრებო, ზარბაზანთან!

55—ნება ეძლევათ დასტოვონ თავისი ადგილი: ზარბაზნის ნაცვალს ზარბაზნის თვალყურის სადევნელათ; ცხენმატარებელთ საპალნიან ცხენებით—დაბრკოლებათა გადალახვის გასაადვილებლად; ნომრებს—საპალნეების შესამაგრებლად და ზარბაზნებისა და საპალნეების მისაშველებლად დაბრკოლებათა გადალახვის დროს.

შენიშვნა: როცა ცხენოსნები დაიქვეითებენ, თავისუფალ ცხენმატარებელთ და ნომრებს სადავით უჭირავთ ხელქვეშე ცხენები და მიდიან შებმულობის გარეთა მხრიდან. ზარბაზბაზნის ნაცვალი ქვეითად.

თავი IV.

ზარბაზნის მოძრაობა.

ალიურები.

56—ნაბიჯის სიჩქარე:

ა) თვლიან მოძრაობის დროს 5—6 ვერსი საათში (1 ვერსი 12—10 წუთში),

ბ) საპალნიანად 3—4 ვერსი საათში (1 ვერსი 20—15 წუთში).

ჩორთით-სიჩქარით ერთი ვერსი 6—5 წუთში, გამოიყენება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა ზარბაზანი და ყუმბარის ყუთი მოძრაობენ პატარა მანძილზე უსაპალნეებოთ (ნომრები სირბილით), მიყენების და წაყენების დროს თვლიან წესში და წინალის და მუხტის ყუთის აღლუმობის დროს. ჩორთითვე პატარა მანძილზე შეუძლიანთ მოძრაობა ცალკე ყუთის საპალნეებსაც (ცხენმტარებელნი სირბილით).

დასაპალნებული ზარბაზანი მოძრაობს მხოლოდ ნაბიჯით..

განკაგულებანი:

57-განკაგულებანი არიან საწინაშო და ასასრულებელი

პირველს მეორისიგან მცირე დრო ჰყოფს.

58—ასასრულებელი განკარგულებანი: **წა, წინ, ზდექ** და **სწორდი,** აგრეთვე განკარკულებები დიდი ალიურიდგან ნაკლებზე გადასასვლელად გრძლად წარმოითქმება.

59—ალიურის დამნიშვნელი განკარგულება მუდამ წარმოითქმება საწინაშოს უკანასკნელ სიტყვასთან განკმრგულება **წა**-ს წინ.

ხანები და მანძილები.

60—ხანები ცხენებს შუა ითვლება კედაროს ხაზზე, ერთი ცხენის თავიდან გვერდით მდგომ ცხენს თავამდე. ხანს შებმულ ზარბაზანს და განზე გაყვანილ მუხტის ყუთის, ან საპალნეების შუა, ითვლება ზარბაზნის ნაცვლის ცხენის თავიდან, ან ზარბაზნის შუა ადგილიდან, მუხტის ყუთის შუა ადგილამდის, ან საპალნეების შორის შუა ადგილამდის, თუ უკანასკვნელნი დაყელებულნი არიან ორ საპალნედ (ტახატი 12).

61—მანძილი ცხენების შორის ითვლება წინ მიმავალ ცხენის კუდიდან უკან მიმდევარ ცხენის თავამდე. მანძილი ზარბაზანსა და ცხენს შორის

—ზარბაზნის ტუჩიდან ცხენის თავამდე.

მოძრაობის დასაწყისი.

62 ჯარის-კაცთა ცხენზე შესაჯდომათ იგანკარგულება:

ცხენებზე!

შეჯე!

პირველი განკარგულებით ისინი უახლოვდებიან თავის ცხენებს, მეორეთი კი—შესხდებიან.

№ 6—აკრავს წინალის კონკილას,

№ 8—აკრავს მუხტის ყუთის წინა ღერძკალის კონკილას.

63—მოძრაობის დასაწყებათ ეგანკარგულება:

1. ნაბიჯით!

2. წა!

ან:

1. მიმართულება აქეთ და აქეთ, ალიუური.

2. წა!

ზარბაზნის ნაცვალს მიჰყავს თავისი ზარბაზნი თანაბარის ნაბიჯით პირდაპირ თავის წინ ან ნაჩვენებ მიმართულებისაკენ.

64—თუ ნაბძანები იქნება უფროსის უკან მიყოლა,

ზარბაზნის ნცვალი მას 30 ნაბიჯის მანძილზე მისდევს.

65—ვაზნების საპალნეები მუდამ მიჰყვება თავის ზარბაზანს (ყუთს) და მხოლოდ განსაკუთრებულის განკარგულებით გადაინაცვლებს წინ, მარჯვნივ; ან მარცხნივ ზარბაზნიდან (ყუთიდან).

მუხტის ყუთი ზარბაზანს მისდევს და შეიძლება გადაანაცვლებინონ წინ, მარჯვნივ, ან მარცხნივ განსაკუთრებული განკარგულებით.

66—მანძილი ზარბაზნის, ნაცვლის და წინა საყევრის ცხენოსნამდე უნდა იყოს ნაბიჯით სიარულის დროს—ერთი, ჩოჩითით სიარულის დროს კი —3 ნაბიჯი.

მანძილი ზარბაზნიდან, ან ზარბაზნის უკანასგნელ საპალნის და მუხტის ყუთიდან 3 ბიჯი.

უსწორ-მასწორ ადგილას მოძრაობის დროს მანძილი ზარბაზნის ნაცვლისა და წინა საყევრის (პირველ საპალნის) შუა, ზარბაზნისა და საპალნეების შორის, აგრეთვე ხანი და მანძილი საპალნის ცხენების შუა შეიძლება გადიდებულ იქმნეს.

67—ზარბაზნის ნაცვალს (ყუთის გამძღოლი), მიჰყავს რა ზარბაზანი (ყუთი), თვალყურს ადევ-

ნებს წინ მდებარე ადგილს, გზას უქცევს დაბრკოლებებს და თუ საჭიროება მოითხოვს შებმულობის უცბათ შეჩერებას, მარჯვენა ხელს მაღლა სწევს; გარდა ამისა, თუ საჭიროა, განკარგულობს: **ფეხებში**!, რათა ცხენოსნების ყურადღება მიიქციოს. თუ საჭიროება მოითხოვს ზარბაზნის ნაცვალი (ყუთის გაძღოლი), გააფრთხილებს რა წინა საყევრის ცხენოსანს, სცილდება შებმულობას რამდენიც საჭიროა.

68—ალიურის მოსამატებლად ეგანკარგულება:

1. ჩორთით!

2. წა!

მოძრაობის სიჩქარე იცვლება თანდათანობით 3 ნაბიჯის მანძილზე.

69—ალიურის დაკლებისთვის ეგანკარგულება:

1. ნაბიჯით!

განკარგულების დაწყებისათანავე ზარბაზნის ნაცვალი და ცხენოსნები თანდათანობით და დინჯათ თავს უჭერენ თავის ცხენებს და ნაბიჯზე გადადიან.

ზარბაზნის გაჩერება.

70—ჩვეულებრივ პირობებში ზარბაზნის (ყუთის)

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაჩერება შეიძლებს შემდეგ მანძილზე: თვლებზე მოძრაობის დროს 6—10 ნაბიჯზე, საპალნეებით მოძრაობის დროს—3 ნაბიჯზე.

71—ზარბაზნის გასაჩერებლად ეგანკარგულება:

1. ზარბაზანო!

2. ზდექ!

თვლიან წესში მარტო საპალნეების გასაჩერებლად ეგანკარგულება:

1. საპალნეებო!

2. ზდექ!

72—ზარბაზნის გასასწორებლათ და საპალნეების თავის ადგილზე მისაწევათ და აგრეთვე ჯარის-კაცთა და ცხენების გასასწორებლად გაჩერების შემდეგ ეგანკარგულება:

სწორდი!

ამ განკარგულებით ზარბაზნის ნაცვალი (ყუთის გამძღოლი) 6 ნაბიჯით წინ წადგება და გაჩერდება; თუ გვერდზე უდგნენ ერთმანეთს, მაშინ ერთსა და იმავე დროს ორივენი წინ წადგებიან და გაჩერების შემდეგ ყუთის გამყოლი უსწორდება ზარბაზნის ნაცვალს; შეგმულობას მისწევენ თავ-თავის ადგილებამდის უსწორდებიან ერთი მეორეს კისერში და თუ გვერდზე უდგნენ ერთმანეთს, მაშინ ყუთის

ეროვნული ბიბლიოთეკა

შებმულობის ცხენოსნები, გარდა ამისა უსწორდებიან ზარბაზნის შებმულობის ცხენოსნებს.

73—ცხენოსან ჯარისკაცთა ჩამოსაქვეითებლად ეგანკარბულება:

ჩამოხე!

თუ ნაბრძანები იქნება კონკილას ჩამოშვება, ამას ასრულებს: ზარბაზანთან—№ 6, მუხტის ყუთთან—№ 8.

მოძრაობის მიმართულების შეცვლა.

74—მოძრაობის მიმართულების შეცვლა სწარმოებს:

ა) **ნახევრად მობრუნებით**(45°), **მობრუნებით** (90°), და **ზურგისკე ნობრუნებით** (180°),

ბ) სასურველ კუთხეზე—მხრით შემოვლით.

75—მობრუნებით მიმართულების შესაცვლელად ეგანკარგულება:

1. ნახევრად მარჯვნივ! (მარცხნივ)!

ან მარჯვნით (მარცხნით)!

ან მარჯვნივ (მარცხნივ) ზურგისაკენ!

2. წა!

76—შემოვლისათვის ეგანკარგულება:

1. მარჯვენა (მარცხენა) მხარი წინ!

2. წა!

3. პირდაპირ! მიმართულება აქედ და აქედ.

მხრით შემოვლის დროს შემოვლის სიფართე განისაზღვრება ან განკარგულებით პირდაპირ, რომლის შემდეგაც ზარბაზნის ნაცვალს (ყუთის გამძღოლს) მიჰყავს ზარბაზანი (ყუთი) იმ მიმართულებით, რომელიც მას ჰქონდა ამ განკარგულების მიცემისას, ან იმ საგნის მითითებით, რომლისკენაც საჭიროა გეზის ჭერა.

77 — ზარბაზნის ნაცვალი (ყუთის გამძღოლი), მიდის რა შემბულობის წინ, ასრულებს მობრუნებებს და შემოვლებს 6 ნაბიჯის რადიუსიან რკალზე.

მძიმე გზაზე და დიდის სიჩქარით მოძრაობის დროს მობრუნების (შემოსვლის) რადიუსი უნდა გადიდდეს.

ადგილას მობრუნების (შემოვლის) შესრულების დროს ზარბაზნის ნაცვალი (ყუთის გამძღოლი), ცხენოსნები და ცხენმტარებელნი იწყებენ მობრუნებას (შემოვლას) წინასწარად, 3 ნაბიჯის გავლის შემდეგ პირდაპირი მიმართულებით.

78—თუ შებმულობანი ერთი მეორის უკან იმყოფებიან, ყოველს მობრუნებას ოვითეული მათგანი ცალკე ასრულებს, უკან მიმავალი საპალნეები კი მას ისე მიზდევენ, რომ დაიცვან წინანდელი მდგომარეობა თავის შებმულობასთან. 45° და 90°—მობრუნების შემდეგ შებმულობანი დაიცავენ მიღებულ ხანს და არ მიიჯრებიან; ამმდგომარეობაში მობრუნების დროს ზარბაზანი და ყუთი ასრულებს მობრუნებას ცალკ-ცალკე: თუ სიჭიროება მოითხოვს შებმულობათა მიჯრა (6 ნაბიჯზე) ეგანკარგულება:

1. ყუთი ზარბაზანთან (ზარბაზანი ყუთთან)

2. წა!

ამ განკარგულებით დასახელებული შებმულობა უმოკლესის გზით უახლოვდება მეორეს 6 ნაბიჯზედ.

79—ყოველ მობრუნების დროს უნდა გასწორდნენ წინ მყოფ შებმულობის მხარეზე,

80—თუ შებმულობანი ერთი მეორის უკან იმყოფებიან, მაშინ შემოვლას ასრულებს მეთაური შებმულობა, უკანა კი მისდევს მას.

81—თუ ზარბაზანი და ყუთი ერთი მეორის გვერ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დით არის (ხანი 6 ნაბიჯი), მაშინ შემოვლის შესასრულებლად შიგნითა შებმულობა ასრულებს შემოვლას ნაბიჯით და უსწორდება შემომვლელ შებმულობას; გარეთა შებმულობა, ალურის მომატებით უვლის განკარგულებით ნაჩვენებ მხრით რკალზე და მასთან შიგნითა შებმულობასთან ხანს იცავს. მიბრუნებები ამ შემთხვევაში სრულდება, როგორც შემოვლები, მხოლოდ შიგნითა შებმულობა, შეასრულებს რა მობრუნებას, მიდის ახალ გეზით უგანკარგულოდ:

პირდაპირ ან მიმართულებით აქედ და აქედ.

82— საპალნიან წესრიგში ზარბაზნის ნაცვალი ასრულებს მობრუნებას და შემოვლას მხრით 3 ნაბიჯიან რადიუსის რკალით.

ზარბაზნის და ყუთის ცხენმტარებელნი ასრულებენ შემოვლას და მობრუნებას თანდათანობით იმავ ალაგას, რა ალაგსაც ისინი ზარბაზნის ნაცვალმა შეასრულა.

83— საპალნეების ერთი მეორის დამოუკიდებლივ მოსაბრუნებლად მარცხნივ, მარჯვნივ, ზურგისაკენ „**ზარბაზანო**“ს მაგიერ ეგანკარგულება **საპალნეებო**!

ეროვნული ბიბლიოთეკა

თვითეული ცხენმტარებელი ასრულებს მობრუნებას 3 ნაბიჯიან რადიუსით; ზურგისკენ მობრუნებისას ცხენოსანი ნაცვალი წინ უსწრობს ყველა საპალნეებს .და დგება ერთი ნაბიჯით მეთაურ საპალნის წინ.

თავი V.

შებმულების და საპალნეების გადანაცვლება და გადარაზმვა თვლიან წესში.

84—საპალნეების გადასანაცვლებლად ზარბაზნის (ყუთის) მარცხნივ (მარჯვნივ) ეგანკარგულება:

1. საპალნეებო მარცხნივ (მარჯვნივ)!

2. წა!

მეორე განკარგულებით ზარბაზანი ჩერდება, საპალნეები მოკლე გზით გამოდიან ნაჩვენებ მხარეზე, ჩერდებიან ზარბაზნიდან 6 ნაბიჯიან ხანზე მეთაურ საპალნეებით უსწორდებიან წინა საყევარს. მუხტის ყუთიგაიწევს ზარბაზნამდე (ნახ. 12).

85—მუხტის ყუთის გადასანაცვლებლად ეგანკარგულება.

1. ყუთო მარცხნივ (მარჯვნივ)!

2. წა!

მეორე განკარგულების შემდეგ ყუმბარის ყუთი გამოდის მოკლე მიმართულებით ნაჩვენებ მხარეზე 6 ნაბიჯიან ხანზე და საპალნეები მას მისდევენ.

86—ყუმბარის ყუთის და საპალნეების ან ზარბაზნის გადასანაცვლიბლად ეგანკარგულება:

2. ყუთო (საპალნეებო ან ზარბაზანო) წინ!

2. წა!

მეორე განკარხულების, შემდეგ წინა შებმულობა გაჩერდება, უკანა შებმულობა (საპალნეები), გამოვა რა წინაა შებმულობის მარჯვნივ 6 ნაბიჯიან ხანზე, წინ უსწრობს მას ახალის მიმართულებით, წინა შებმულობა უკან მისდევს; საპალნეები თავთავიანთ შებმულობას მიზდევენ (ნახ. 13).

თუ შებმულობანი ერთმანეთის გვერდზე იდგნენ, მაშინ განკარგულების მიმღები შებმულობა განაგრძობს მოძრაობას, მეორე კი ჩერდება, გაატარებს მას და უდგება კისერში,

ეროვნული ბიბლიოთეკა

საპალნეები ჩამწკრივდება თავთავიანთ შებმულობების უკან.

87—საპალნეებით ქვემეხის გვერდზე მოძრაობის დროს საპალნეების მეთაური წყვილი წინა საყევარს უსწორდება.

88—როცა მუხტის ყუთი ზარბაზნის გასწვრივ მოძრაობს, ყუთის წინა საყევარი ზარბაზნის წინა საყევარს უსწორდება.

89—ზურგისაკენ მობრუნება შეძლებისამებრ საპალნეების მხარეს სწარმოებს.

საპალნეების გადარაზმვა საპალნიან და თვლიან წესში.

90—წყვილ-წყვილ საპალნედ გადასარაზმად ეკანკარგულება:

1. საპალნეებო წყვილად!

2. წა!

მეორე განკარგულებით საპალნიან წესრიგში მეთაური საპალნე, თვლიან წესრიგში კი—ზარბაზანი და მეთაური საპალნე ჩერდებიან. მეორე საპალნე გადის მარცხნივ 3 ნაბიჯზე, დანარჩენნი კი, მიუახლოვდებიან რა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეთაურ წყვილს ერთ ნაბიჯზე, თანდათანობით ირაზმებიან წყვილ-წყვილად (ნახ. 14).

მოძრაობის განახლებისთვის ეგანკარგულება.

პირდაპირ ან მიმართულება აქეთ და აქეთ!

91 — საპალნეების ცალ-ცალად გადასარაზმავათ ეგანკარგულე:

1. საპალნეები ცალ-ცალად!

2. წა!

გადარაზმვა შეიძლება შესრულდეს მხოლოდ სიარულის დროს.

მეორე განკარგულების შემდეგ მარჯვენა საპალნეები განაგრძობენ მოძრაობას, მარცხენანი კი ადგილის განთავისუფლების შემდეგ მათ კისერში უდგებიან.

თავი VI.

ზარბაზნის გადასვლა ერთ სამოძრაო წესიდან მეორეში.

გადასვლა თვლიან წესიდან საპალნიანში.

92 — გადასვლა ზარბაზნისა საპალნიან წესში შეძლებისამებრ სწრაფად უნდა მოხდეს, მაგრამ

ამ სისწრაფით არამც და არამც არა უნდა რა ევნოს საპალნეების წესიერ და საიმედო დამაგრებას. ცუდათ დადებული და დაშარტული საპალნე მოძრაობის დროს მოითხოვს გასასწორებლად გაცილებით მეტს დროს, ვიდრე სრულიად წესიერი დასაპალნება ადგილობრივ,

ზარბაზნის ერთ საპალნეს, თუ იგი ვერ მივიტანეთ დანიშნულს ადგილზე, გამოყავს წყობილებიდგან მთელი ზარბაზანი.

93 — თვლიან წესიდან საპალნიან წესში გადასასვლელად ეგანკარგულება:

1. ზარბაზანო წინალებიდან!

2- საპალნეებზე!

3. წა!

პირველი განკარგულების შემდეგ (ნახ. 15). ზარბაზნის ნაცვალი, მობრუნდება რა მარცხნივ ზურგისკენ, ჩორთით უახლოვდება ყუთის მე-3 ცხენმტარებელს, ხტება ცხენიდან, აძლევს ცხენმტარებელს და მიდის ზარბაზანთან. მე-3 ყუთის ცხენმტარებელი ჩამოართმევს ნაცვალს ცხენს და მარცხენა ხელში უჭირავს.

№№ 3, 4, 5 და 6 ხსნიან ხორთუმს კავიდან.

ცხენოსნები წინალს წინ სწევენ 4 ნაბიჯზე. მესამე განკარგულებით №№ 1, 2, 3, 4, 5 და 6 მიაბრუნებენ ზარბაზანს ხორთუმით ზურგისკენ № 1-ის მხარეს და მიაგორებენ წინ 2 ნაბიჯზე.

№ 1:

ა) გახსნის თასმას, რომლითაც შეკრული იყო სამუხლეები,

ბ) ხოჭიჭის განთავისუფლების შემდეგ სწევს ასაწევ მექანიზმით საფალიე ნაწილს ტატნობრივ მდგომარეობამდე.

№ 2:

ა) ანთავისუფლებს ხოჭიჭის სალაშქრო სამაგრებელს, საფალიო ადგილიდან ხალთას მოჰხდის და აძლევს მას ქუროს ცხენმტარებელს.

ბ) ანთავისუფლებს ზარბაზნის ფარის სალაშქრო სამაგრებელ თასმას.

№ 3—ხსნის ნიჩბებს და ალაგებს მათ ნარბაზნის წინ.

№ 4—ხსნის საყეს და სდებს მას ზარბაზნის წინ.

№№ 5 და 6: მიდიან ზარბაზნის ფართან, გადაკეცავენ ქვემოთა ფარს, გასწევენ საგდოლებს თვითეული თავის მხრიდან, წინ წააძრობენ ფარს, აჰკეცავენ მას და აწყობენ 2 ნაბიჯზე ხორთუმის უკან, ამობურთულით ზევით, სადგნობით მარჯვნივ.

94 აკვნისა და ხორთუმის ცხენმტარებელნი მოაბრუნებენ თავის ცხენებს ხორთუმის უკან, როგორც მე-15 ნახატზეა ნაჩვენები. ქუროს შუბლის ცხენმტარებელნი მიდიან თავთავიანთ ცხენებთან და ლულის, საომარ თვლების და კოლოფის ცხენმტარებელთან ერთად გამოუშვებენ ცხენებს.

გამოშვების გათავების შემდეგ:

კოლოფის ცხენმტარებელი თავის ადგილზე რჩება და საძირის ორივე ცხენები უჭირავს.

საომარ თვლების ცხენმტარებელი აყენებს თავის ცხენს საომარ ღერძის მარჯვნივ 2 საჟენზე, შუბლისა უდგება მას კისერში და ორივენი კი თავებით მოძრაობის მხრისკენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლულის ცხენმტარებელი აყენებს თავის ცხენს 2 ნაბიჯზე საომარ ღერძის მარცხნივ, ქუროსი მის წინ, და ორივენი კი თავებით მოძრაობის წინალმდეგ მიმართულებით.

1-ი, მე-2 და მე-3 ყუთის ცხენმტარებელთ ცხენები წინალთან მოჰყავთ და დგებიან, როგორც ნაჩვენებია მე-15 ნახატზე.

დანარჩენი ცხენმტარებელნი უშვებენ ყუთის ცხენებს და აყენებენ ყუთის გარშემო, როგორც ნაჩვენებია მე-16 ნახატზე.

ყველა ცხენმტარებელნი ამზადებენ საპალნეებისათვის უნაგირზე (დამატება IV).

95 — ზარბაზნის ნაცვალი თვალყურს ადევნებს დასაპალნებას და საპალნეების დაშარტვას. №№ 1, 3 და 4 მიდიან ზარბაზანთან და დგებიან (ნახ. 15): №№ 3 და 4 საომარ ღერძის წინ, თვითეული თავის მხრიდან, პირით ზარბაზნისკენ, № 1—კი № 4-ის გვერდზე.

№ 3, ანთავისუფლებს რა ბერკეტს, აბრუნებს და გამოსწევს ლულას, რის შემდეგ ბერკეტს ამაგრებს.

№ 1 ტუჩის ნაწილით, №№ 3 და 4—კი საფალიეთ ასწევს ლულას და სდებენ უნაგირზე ტუჩით უკან, ბერკეტით ზევით და

ამაგრებენ მას შესაბნევი თასმებით.

№ 1 — აცმევს ხალთას საფალიე ნაწილს და მიაბამს საყეს.

№ 2 — ატრიალებს სახურავის სახელურს.

№№ 2 და 3 სწევენ ქუროს საფალიე ნაწილით და მე-4 ნომერთან ერთად გამოსწევენ მას წინ, აშორებენ ხოჭიჭს, აცვამენ მას ხალთებს და მიაქვთ მარცხნივ; სდებენ მას უნაგირზე კლიტით წინ, სახელურით მარცხნივ და ამაგრებენ შესაბნევი თასმებით აზარმაცებთან ერთად, რომლებიც მოაქვთ №№ 2 და 4.

№№ 5 და 6 აცალკევებენ ლაფეტს ამასთან: № 5-ს უჭირავს ლაფეტის ორივე ნაწილი, № 6 — კი ატრიალებს კოჯატის ქვეითა ღერძს ისე, რომ სახელური ქვეით მოექცეს და ამაგრებს მას შუბლის ნაწილზე, შემდეგ ასწევენ სახორთუმე ნაწილს, სდებენ უნაგირზე ხორთუმით წინ და ამაგრებენ თასმებით. ასაპალნებენ ფარს სახორთუმე ნაწილზე, ამაგრებენ ფარის სასაპალნე შესაბნევებს და მოუჭერენ მოსართავს; მიდიან წინალთან და თან მიაქვთ ნიჩბები.

№ 5—აძლევს ნიჩბებს ყუთის მე-3 ცხენ-მტარებელს.

№ 1—აცვამს ხალთას სამიზნეს (კორას) მოწყო ბილობას, ამაგრებს სამიზნოს სამაქოვე საპალნისებურად, ამაგრებს საგორებლის ტარს და გადაკეცავს რაზას.

№№ 1 და 2 უკანიდან, №№ 3 და 4 კი წინიდან გადმოაქვთ წინ ხოჭიჭი, ასაპალნებენ უნაგირზე სამიზნოს ჭოგრით მარცხნივ და ამაგრებენ მას შესაბნევი თასმებით.

ზარბაზნის ნაცვალი გადასწევს ფარის ჭოგრს და, მოაბრუნებს რა ღერძის ამოსაბმელს, ადებს ღერძის სამაქოვეს.

№№ 1 და 2 ჩაუყრიან რაზას და ჰკრავენ ფარის ჭოგრს თასმით.

№№ 3 ოა 4 ჰკრავენ სამუხლებს.

№№ 1 და 2 აშორებენ შუბლის ნაწილს ღერძსა და, შვეულ ხაზად დაყენების შემდეგ, ხურავენ ღერძის სამაქოვეს.

№№ 1 და 2 წინიდან, №№ 3 და 4—კი უკანიდან სწევენ შუბლის ნაწილს, სდებენ უნაგირზე შუბლით წინ და ამაგრებენ მას დამატებითი სასაპალნე თასმებით.

№№ 3 და 4 მიდიან საომარ თვლებთან,

ეროვნული ბიბლიოთეკა

თვითეული მათგანი თავის მხრიდან და მიაგორებენ მას სათანადო ცხენთან, საომარ თვლების ცხენმტარებელი კი აბრუნებს ცხენს გავით საპალნისაკენ.

№№ 1 და 2 ღერძიდან, №№ 3 და 4— კი თვლიდან, სწევენ საპალნეს და სდებენ მას უნაგირზე, რის შემდეგ №№ 1 და 3—კი ჰკრავენ თასმებს და მოსართავებს ყუმბარის ყუთთან. ქვემეხის დასაპალნების შემდეგ ზარბაზნის ნაცვალი, № 2 და 4 მიდიან წინალთან, №№ 1 და 3 კიდევ მუხტის ყუთთან. ცხენმტარებელნი ათვალიერებენ თავის საპალნეებს, გადაადებენ უზანგებს თუ საჭიროა, მოსართავებს უპერენ.

ყველა საპალნეები განკარგულების ან ბრძანებულობით მიღებამდის დასაპალნების ადგილას რჩებიან.

96— № 7 ზარბაზნის ნომრების მოსვლამდე ამზადებენ წინალს ყუთების ამოსალაგებლად და დასასაპალნებლად, ე. ი. ხსნის სასანგრო იარაღს, ხსნის ყუთებს, ამოიღებს ღერძის ჭინჭილაქებს და აბამს მათ თასმით თვლებსვე, იღებს ოწინარის ჭანჭიკს და, შესწევს რა ოწნრის სქელ თავს წინალის კოლოფში, ხსნის ჯაჭვებს, ჩამოიღებს საყევრის პატარა კეტებს და დიდ კეტს გამოიღებს, ოწინარის ნაწილების შემაერთებელ ურდულებს გამოაძრობს ოწინარის წინა ნაწილს ჩაუყრის

ეროვნული ბიბლიოთეკა

მასში ურდულს და სდებს მიწაზე; გამოიღებს ოწინარის სქელ თავს და სდებს მასაც მიწაზე; ჩამოჰკიდებს პატარა კეტებს მარცხენა მხრიდან უნაგირის მოწყობილობის შემოჭედილობაზე.

№№ 5 და 6, მივლენ რა წინალთან, მე-7 ნომერთან ერთად იღებენ წინალიდან ჩანაწყობს და სავაზნე ყუთებს და ცხენმტარებელთა დახმარებით ასაპალნებენ მათ პირველ ყუთის საპალნიდან დაწყებული;

ყუთის ცხენმტარებელნი შველიან ნომრებს სავაზნე ყუთების დასაპალნებას, რისთვისაც გადასცემენ თავის ცხენებს ერთმანეთს და შეჰკრავენ სასანგრო იარაღებს.

№ 2 ავლებს ხელს წინიდან წინალს, № 4—კი უკანიდან, სწევენ წინალის კოლოფს მიწაზე, ალაგებენ კოლოფში სასაპალნო მოწყობილებათა, ტყავის ხალთებს და სამუხლეებს.

№№ 5 და 6, როცა კოლოფი აწეული იქნება, გამოაცლიან თვლებს, ჭინჭილაქებს სტოვებენ შიგ, მიაქვთ ცხენთან და ერთსა და იმავე დროს სდებენ, თვითეული მათგანი თავის მხრიდან, უნაგრის ზედა შემოჭედილო-

ბაზე სოლებით ტატნობრივ, ამის შემდეგ უჭერენ დამხმარე მოსართავს.

№ 4 მოაქვს ოწინარის საძირის ნაწილი, სდებს მას ირიბად საძირის კეტთან ერთად უნაგირის ზურგზე, წინა ნაწილი მარცხნივ და წინისკენ და ლააბამს მას თასმით უკანიდან მარჯვენა თვლის ფერსოზე, № 1—კი—წინიდან, მარცხენა თვლის ფერსოზე, რის შემდეგ № 6 ასრულებს თვლის ცხენმტარებლის მოვალეობათ.

№ 2 მოაქვს ოწინარის წინა ნაწილი და საყევრის დიდი კეტი; ოწინარს სდებს ირიბად უნაგირის ზურგზე, მსხვილი თავის ზემოდგან, გასაწევ კაკვით მარჯვნივ და წინ და მიაბამს მას თასმით უკანიდან მარცხენა თვლის ფერსოზე და ამოედება ოწინარის კაკვებს.

№№ 2 და 4, ჩამოჰკიდებენ რა საყევრის კეტს მარცხენა თვლის მორგვზე, აკრავენ მას ტატნობრივად თვლის ფერსოს ორი თასმით.

№ 6 ათავებს საპალნის შეკვრას, ჩააწყობს საწევრებს, სოლებს შუა გატარებით.

№ 4 და 5 გადმოსწევენ კოლოფის სა-

საპალნე რგოლებს იღებენ კოლოფს წინა კუთხეებთან, №№ 2 და 7—კი უკანა კუთხეებთან, მეორე ნომრის განკარგულებით ასვენ მაღლა. გადაატარებენ უკანიდან ცხენის გავაზე, ასაპალნებენ უნაგირზე კაკვით უკან, და ამაგრებენ დამხმარე მოსართავით მოსაჭერ თასმებზე.

ცხენმტარებელი შეაგდებს საწევებს და ჩამოაცვამს ყულფებით ღერძის ბოლოებს.

მოსახსნელ ღერძიან წინალებში დასაპალნება ამნაირადვე სწარმოებს, მხოლოდ შემდეგის განსხვავებით: სავაზნე ყუთების დასაპალნების შემდეგ № 7 გაანთავისუფლებს შესაბმელს და გადასწევს ღერძის სამაქოვეს; №№ 2, 4, 5 და 6 ასწევენ კოლოფს კუთხეებით, № 7 ჰხურავს სამაქოვეს და, №№ 2, 4, 5, და 6 ასაპალნებენ კოლოფს, კაკვით უკან ცხენს გავაზე გადატარებით; № 7 ამაგრებენ მას საშველ მოსართავით მოსაჭერ თასმებზე და შეაწყობს საწევრებს; №№ 2 4, 5 და 6 თვლებით სწევენ ღერძს და ასაპალნებენ, რის შემდეგ ცხენის გავაზე გადატარებით; № 7, მიატრიალებს ღერძს, მოჰმართავს მას მოწყობილებით მაქოებზე, ზარბაზ-

ნის ნაცვალთან ერთად ჰკრავს საშველ მოსართავს, შემოავლებს რა (მოსაჭერ თასმებით(თვლების ფერსოს. დიდ კეტს და პატარებს ალაგებენ საღერძე უნაგირის ბაქანზე. ღერძისა და თვლების აკიდების შემდეგ, № 6 ართმევს კოლოფის ცხენმტარებელს თვლის ცხენს და შემდეგ ასრულებს ცხენმტარებლის მოვალეობათ.

წინალის დასაპალნების შემდეგ, № 2, 4 და 5 მიდიან ზარბაზნის საპალნეებთან, № 7 —კი ყუმბარის ყუთის საპალნეებთან.

ზარბაზნის ნაცვალი ცხენზე ჯდება.

97—მუხტის ყუთიდან ვაზნებს ასაპალნებენ წინალის დასაპალნების მზგავსად №№ 8 და 9 და 6 და 8 ყუთის ცხენმტარებლების მიერ, რომლებიც ამისათვის გადასცემენ თავის ცხენებს ყუთის მე-7 და მე-9 ცხენმტარებელთ.

დასასაპალნებლად ცხენები სდგებიან (ნახ. 16): ცხენები წინა საყევრისა წინასვლის მარჯვნივ 2 ნაბიჯზე, შუა საყევრისა კი—2 ნაბიჯზე წინასვლის მარცხნივ; მე-6 და მე-7 ყუთისანი—2 ნაბიჯზე უკანა სვლის მარჯვნივ, მე-8 და მე-9—ორ ნაბიჯზე უკანა ღერძკალის მარცხნივ და მე-10 ყუთისა—მუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხტის ყუთის უკან; ყველანი გავებით ყუთისკენ.

ჯერ ასაპალნებენ წინა და შემდეგ უკანა ლერძკალის წინალის დასაპალნების მსგავსად, ამასთანავე №№ 8 და 9 ასრულებენ № 7 და ზარბაზნის ნაცვლის მოვალეობას, ხოლო ცხენმტარებელნი №№ 5 და 6 მოვალეობას, №№ 1 და 3—№№ 2 და 4— სას.

98—განკარგულება:

1. ცალ-ცალ საპალნედ ან **საპალნედ, მიმართულება ამა და ამისკენ!**

2. წა!

საპალნეები მწკრივდებიან ერთი მეორის უკან ადგილის განთავისუფლების კვალობაზე. ზარბაზნის ნაცვალი წინ არის (ნახ. 0).

საპალნიან წეხიდან თვლიან წესში გადასვლა.

99 ეგანკარგულება:

1. ზარბაზანი ჩამოვხადეთ;

2. წა!

3. წინალებზე!

4. წა!

მეორე განკარგულებით (ნახ. 17) ზარბაზნის ნაცვალი გაბრუნდება მარცხნივ ზურგისაკენ, ჩორთით უახლოვდება მე-3 ყუთის ცხენმტარებელს, ცხენიდან ჩამოხტება, გადასცემს მას ცხენმტარებელს, თვითონ კი მიდის მეთაურ საპალნესთან.

ხოჭოჭისა, ქუროსი, ლულისა, კოლოფისა, 1-ი, მე-2 და მე-3 ყუთის ცხენმტარებელთ მოჰყავთ ცხენები და აყენებენ: ხოჭოჭისა 3-ნაბიჯზე იმადგილის წინ, რომელიც არჩეულია საპალნეების ჩამოსახდელათ, თავით მარჯვნივ; ქუროს 2 ნაბიჯზე ამ ადგილის მარცხნივ, თავით მინვდრისაკენ; ლულის 2 ნაბიჯზე ქუროსაზე უკან; კოლოფის მარცხნივ წინალის თვლის ცხენისა და ჩამოართმევს ცხენს მე-6 ნომერს. 1-ლი ყუთის მე-2 ყუთის ცხენმტარებალის გვერდზე, რომელიც ართმევს მას ცხენს. ყველა ცხენმტარებელნი ამზადებენ საპალნეებს ჩამოსახდელად.

№№ 1, 2, 3 და 4 მიუახლოვდებიან საომარ თვლების საპალნეს, № № 5 და 6 კი ხორთუმისას.

ზარბაზნის ნაცვალი ქუროს საფალიე ნაწილს ხალთას ჰხდის და სდებს შუბლის ცხე-

ნის მარცხნივ; შემდეგ ხდის ხალთებს ქუროს, ლულის ნაწილს და ლულას საფალიე ნაწილს და აძლევს მათ სათანადო ცხენმტარებელთ; №№ 1 და 2 გამოჰხსნიან საწევებს, ანთავისუფლებენ შესაბამს.

№ № 1 და 2 ხელს ჰკიდებენ ღერძს, №№ 3 და 4-კი თვლებს და სწევენ მაღლა. ცხენმტარებელი წინ სწევს ცხენს 3 ნაბიჯზე, № 1-ის განკარგულებით **წინ**, შემოჰყავს ცხენი მარცხენა მხარით, საპალნეების გასწვრივ მიდის, აყენებს ცხენს კოლოფის ცხენის წინ და უმზადებს უნაგირს შესაჯდომად.

№ № 1, 2, 3 და 4 გადააქვთ ღერძი თვლებიანათ 2 ნაბიჯზე მარცხნივ (ზარბაზნის შესაკრეფად დანიშნულ ადგილზე). უშვებენ მიწაზე და მიდიან შუბლის საპალნესთან.

№№ 5 და 6 ანთავისუფლებენ ფარის საპალნე შესაბნევს, ხსნიან მოსართავს, ხდიან ფარს და სდებენ მიწაზე ხორთუმის ცხენის მარცხნივ 2—3 ნაბიჯზე; ანთავისუფლებენ შესაბნევ თასმებს სახორთუმე საპალნისას, ჩამოხსნიან სახორთუმე ნაწილს და სდებენ საომარ თვლების უკან კოჭატით ქუროს ხალ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თაზე, რის შემდეგ მიდიან კოლოფის საპალ-ნესთან.

ხორთუმის ცხენმტარებელი, საპალნის ჩამოხდის შემდეგ, შიჰმოყავს თავისი ცხენი მარ-ცხენა მხარით, მიდის საპალნეების გასწვრივ და აყენებს მას ყუთის მე-2 ცხენის წინ.

№№ 1, 2, 3 და 4 გახსნიან დამატებითი თასმებს, ხდიან შუბლის ნაწილს და აყენებენ შვეულხაზად ქუროს ხალთაზე. ზარბაზნის ნა-ცვალი გადახსნის ღერძის ასაკრავს, რის შემ-დეგ ნომრები შუბლის ნაწილს სდებენ ღერძ-ზე, ზარბაზნის ნაცვალი კი ხურავს ასაკრავს; შემდეგ ხსნის ფარის ჭოგრის თასმებს, აყენებს მათ თავთავის ადგილას, ხსნის მკლავების რა-ზებს და მიდის წინალთან.

შუბლის ცხენმტარებელი საპალნის ჩამო-ხდის შემდეგ შეაგდებს საწევებს, მიჰყავს ცხენი მარცხენა მხარით, მიდის საპალნეების გასწვრივ და აყენებს ცხენს საომარ თვლების ცხენის გვერდზე.

№№ 3 და 4 მიდიან ხორთუმის ნაწილ-თან და უერთებენ მას საშუბლე ნაწილს, ამას-თანავე მე-3 ნომერს იმაგრებს ორივე ნაწილი მე-4 ნომერი — კი ხურავს შესაბნევს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

№№ 1 და 2 მიდიან ხოჭოჭის საპალნესთან, ანთავისუფლებენ თასმების შესაბნევებს, გადმოაქვთ ხოჭოჭი მარჯვნივ, სდებენ თავის ადგილას, მიამაგრებენ მას ასაწევ-დასაწევ მექანიზმის მარჯვენა სექტორზე და გადარაზავენ.

№ 1 აყენებს სამიზნო (კორას) კოლოფს საომარ მდებარეობაში და ხდის სამიზნოს (კორას) ხალთას.

№ 2 გადმოხსნის ღერძის ტარს.

ხოჭოჭის ცხენმტარებელი საპალნის ჩამოღების შემდეგ შეაგდებს საწევებს, შემოჰყავს ცხენი მარჯვენა მხარით და აყენებს მას ყუთის პირველ ცხენის წინ. №№ 2, 3 და 4 უახლოვდებიან ქუროს საპალნეს, ანთავისუფლებენ თასმების შესაბმნევებს, ჩამოიღებენ ბერკეტებს, ხდიან ქუროს და სდებენ ხოჭოჭზე.

№ 2 აბრუნებს ღერძის ტარს და საფალიე ნაწილზე ხალთას აცვამს.

ქუროს ცხენმტარებელი შეაგდებს საწევებს, შემოჰყავს ცხენი მარჯვენა მხარით და აყენებს შუბლის ცხენის წინ.

№№ 1, 3 და 4 უახლოვდებიან ლულის საპალნეს, ხსნიან თასმების შესაბნევებს, ჩამო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ილებენ საყეს, ხდიან ლულას და შესდებენ მას ქურაში.

№ 3 აერთებს მექანიზმის ბერკეტს.

№ 2 და 4 მიაქვთ წინალთან სასაპალნე ბერკეტები, სადაც № 2 ართმევს ყუთის ცხენმტარებელთ ნიჩბებს და საქლეშს, მიაქვს ისინი ზარბაზანთან და №№ 1 და 3 ერთად აკრავს მათ და საყეს თავის ადგილებზე. №№ 1 და 3 ამაგრებენ ხოჭიჭს სალაშქრო წესით და ამაგრებენ ფარს ზარბაზანზე. ლულის ცხენტარებელს შემოჰყავს ცხენი მარცხენა მხრით და აყენებს მას ქურაოს ცხენის მარცხნივ და გვერდზე.

100—№№ 5, 6 და 7 და 1-ი ყუთის ცხენმტარებელი ხსნიან მოსართავს, გადასცემენ ცხენმტარებელს, სწევენ კოლოფს მე-7 ნომრის და განკარგულებით გადმოაქვთ უკან.

№ 5 ცხენოსნებს გადასცემს სამუხლეებს. №№ 5, 6, და 7 და ყუთის 1-ი ცხენისმტარებელი მიდიან თვლის საპალნესთან, გახსნიან თასმებს, მოუშვებენ მოსართავს, გადმოიღებენ ოწინარის ნაწილებს და დიდკეტს და ალაგებენ მათ კო-ლოფის წინ.

№№ 5 და 6 გადმოიღებენ თვლებს, მიაქვთ კოლოფთან, ამოიღებენ ჭინჭილაქებს და როცა № 7 და ყუთის 1-ი ცხენმტარებელი ასწევენ კოლოფს, თვლებს გაუყრიან ღერძს, ჩაუგდებენ და ამაგრებენ ჭინჭილაქებს.

№№ 5, 6 და 7 ააწყობენ ოწინარს, შეუყრიან კოლოფში, აბამენ ჯაჭვებს გაამაგრებენ ოწინარს კოლოფში და ჩამოაცვამენ ჰატარა და დიდ კეტებს.

№ 7 ხსნის თასმებს კოლოფსა, ყუთის 1-ი ცხენმტარებელი კი მიდის თავის ცხენთან.

№ 4, 5, 6 და 7 გადმოხსნიან ყუთებს, ჩაწყობილობა და სასანგრო იარაღს 1-ი, მე-2 და 3 ყუთების საპალნეებისას, ალაგებენ ყუთებს და ჩაწყობილობას წინალში, ამაგრებენ თასმებით და დააკრავენ სასანგრო იარაღს წინალზე და ლაფეტზე.

მოსაშლელ ღერძიან წინალებში ჩამოხდა სწარმოებს ამნაირადვე, შემდეგი ცვლილებებით: ჯერ გადმოაქვთ თვლის საპალნე, შემდეგ კი კოლოფისა ჩამოიღება უნაგირიდან და იდება ღერძზე, ამასთან № 7 შეისვრის

სასაპალნე სადგნობებს, აღებს და ხურავს ღერძის სამაქოვეს

ლულის, ქუროს, საომარ თვლების შუბლის და კოლოფის ცხენმტარებელნი შაებამენ ცხენებს და ზარბაზნის ნცვლის განკარგულებით ცხენებზე სხდებიან.

101 — ყუმბარის ყუთის სავაზნე საპალნეებს და თვით ყუმბარის ყუთებსაც ჩამოხდიან №№ 8 და 9 და ყუთის მე-6 და 8 ცხენმტარებელნი, სავაზნე საპალნეების, წინალის და წინალების ჩამოხდის მსგავსად, რისთვისაც ყუთის მე-7 და მე-9 ცხენმტარებელთ უჭირავთ წყვილ-წყვილი ცხენი.

რა წამს სავაზნე ყუთებს ჩაალაგებენ და ყუთებს შეაგროვებენ, ცხენმტარებელნი აბავენ ცხენებს, ცხენოსნები კი სხდებიან ცხენებზე.

102 — მეოთხე განკარგულებით ზარბაზანს სდებენ წინალებზე ყველა ნომრები და ცხენმტარებელნი იჭერენ ადგილებს მე-4 ნახატის თანახმად.

შენიშვნა: თუ ზარბაზანი მისდევს მეორეს და არ არის ადგილი წინალის მოსაყენებლად, მაშინ მიაყენებენ წი-

ნალს ადგილის განთავისუფლების შემდეგ.

თვლიან წესრიგიდან თვლიანსაპალნიან წესრიგზე გადასვლა.

103—იგანკარგულება:

1. ფარი, ლულა და სავაზნე ყუთები აჰკიდეთ! ან: ფარი და სავაზნე ყუთები აჰკიდეთ!

2. წა!

მეორე განკარგულებით ცხენმტარებელნი აყენებენ თავის ცხენებს (ნახ. 18):

1-ლ ყუთისას—2 ნაბიჯზე წინალიდან მარცხნივ.

მე-2-ე ყუთისას—2 „ მარჯვნივ

მე-3-ე— „ 1-ის ყუთის უკან.

ხორთუმისას (ფარის დასასაპალნებლად) ყუთის მე-3 ცხენის უკან 2 ნაბიჯზე.

ხოჭოჭისას (ლულის დასასაპალნებლად)—ცხენმტარებელნი აბრუნებ ენმარჯვნივ.

№№ 1, 4, 6 და 7 ასაპალნებენე ფარს, ლულას და ყუთის მე-2საპალნეს.

№ № 2, 3 და 5 და საომარ

ეროვნული ბიბლიოთეკა

თვლების ცხენმტარებელნი ასაპალნებენ 1-სა და მე-2 ყუთის საპალნეებს; № 3 ყუთების დასაპალნების გათავების შემდეგ, აცვამს ლულაზე ხალთას და რჩება ამ საპალნესთან. №№ 5 და 6 ჰკრავენ წინალის კოლოფის თასმებს.

მოძრაობის დაწყებისას ყველანი იჭერენ ადგილებს მე-4 ნახატის თანახმად.

104—საპალნეები მუხტის ყუთისა შეიძლება დაიტვირთოს ყუთებისა და წინა საყვრის გამოშმებული ცხენებზე.

თვლიან-საპალნიან წესრიგიდან თვლიან წესრიგზე გადასვლა.

105—იგანკარგულება:

1 ესა და ეს საპალნეები (ფარი, ლულა სავაზნე ყუთები) საპალნეებიდან

2. წა!

მეორე განკარგულებით ცხენმტარებელთ მოჰყავთ თავისი ცხენები და მე-18 ნახატის თანახმად აყენებენ.

№№ 1, 4, 6 და 7 ჩამოხდიან ფარს ლუ-ლას და მე-2 ყუთის საპალნეს.

№№ 2, 3 და 5 და ცხენმტარებელნი საომარ თვლებისა ჩამოჰხდის ყუთების პირ-ველს და მე-3 საპალნეებს.

მოძრაობის დაწყებისთანავე ყველანი იჭე-რენ ადგილებს მე-4 ნახატის თანახმად.

საპალნიან წესრიგიდან თვლიან-საპალნიან წესრიგზე გადასვლა.

106 – იგანკარგულება:

1) საპალნეებიდან წინალებზე!

2) ესა და ეს საპალნეები (ფარი, ლუ-ლა და ხავაზნე ყუთები) არ ჩამოჰხა-დოთ!

წა!

ამ განკარგულებით საომარ თვლებს, შუბლს, ხორთუმს, ხოჭიჭს, ქუროს, წინალს და მლხტის ყუთს ზევით ნათქვამის თანახმად ჩამოჰხდიან.

ჩამოხდის შემდეგ ზარბაზანს აყენებენ წინა-ლებზე, საპალნეები ეწყობიან წყვილ-წყვილად

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ყველანი იჭერენ ადგილებს მე-4 ნახატის თანახმად.

თავი VII.

თვლიან წესრიგიდან საომარ წესრიგზე გადახვლა და წინაუკმოდ.

საზოგადო ცნობანი.

107—ზარბაზნის ერთი წესიდან მეორე წესზე გადასასვლელად იხმარება **წაყენება** და **მიყენება**.

108—თუ საბრძოლველ წესით ზარბაზანი ბრძოლისთვის იყო მომზადებული, მაშინ სამოძრაო წესრიგზე გადასვლის წინ უნდა ეგანკარგულოს:

შეაჩერე!

109—მოძრაობის მიმართულობით სროლისათვის ზურგისკენ შემობრუნება წინალიდან ჩამოღებამდე სრულდება.

110—წინალების წაყენება და მიყენება სრულდება ჩორთით, თუ განკარგულება არ არის:

ნაბიჯით!

111 — წაყენების წინ ყუთი და ნაწილი ან ყველა საპალნიანი ცხენები შეიძლება არ გამოიყვანონ პოზიციაზე, ამისათვის მუხტის ყუთს და საპალნეებს აშორებენ ზარბაზანს განკარგულებით:

მუხტის ყუთო და საპალნეებო (მუხტის ყუთო და ესა და ეს საპალნეებო) სდექ! ან სხვა შესაფერ ბრძანებულობით.

112 — წაყენების დროს უნდა მიეცეს განსაზღვრული ბრძანებულობა იმის შესახებ თუ სად გაჩერდეს წინალი მუხტის ყუთი და საპალნეები.

113 — ყოველ წაყენების დროს, ახლო წაყენების გარდა, ზარბაზანთან რჩება 4 სავაზნე ყუთი მუხტის ყუთიდან და თუ ისანი საპალნეებზე იყვნენ, მაშინ ყუთის საპალნეების რიცხვიდან; ახლო წაყენების დროს — ორი ყუთი წინალიდან.

114 — ნებადართულია საომარ წესში ზარბაზანთან იქონიონ სავაზნე ყუთის რიცხვი ამ წესდებაში ნაჩვენებ რიცხვისგან განსხვავებული, რისთვისაც იმ განკარგულების შემდეგ, რომე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლიც ნიშნავს წაყენებას და განკარგულობა „**წ**“ს უმატებენ:

00 ყუთები ყუთიდან! ან 00 ყუთები საპალნეებიდან!

115—ყველა წაყენების და მიყენების დროს ცხენმტარებელნი შველიან სავაზნე ყუთების ჩამოხდას და დასაპალნებას (წინალში და მუხტის ყუთში ჩაწყობას და იქიდან ამოლაგებას).

116—ყოველ წაყენების დროს ზარბაზნის ნაცვალი, თუ არ ყოფილა განკარგულება „**არ ჩამოხდე**“, განკარგულებით: **წინალებიდან**! ჩამოხდება ცხენიდან, აძლევს ცხენს წინა საყევრის ცხენოსანს და თვითონ ზარბაზანთან მიდის.

117—თუ საჭიროება მოითხოვს წაყენების შემდეგ წინალისა და საპალნეების დაყენებას რომელიმე სხვა მდგომარეობაში, ვიდრე ნაჩვენებია მე-6 ნახატზე (საფარს იქით, ფრთის უკან და საზოგადოთ ზარბაზნიდან მოშორებით), მაშინ წინა საყევრის ცხენოსანი აყენებს წინალს განკარგულობის, ბრძანებულობის და ადგილმდებარეობისა ანუ საფარის მიხედვით. საპალნეები მისდევენ წინალებს.

118—ზარბაზნიდან წინალის დაშორების დროს წინალთან, მუხტის ყუთთან და საპალნეებთან უფროსად ითვლება ყუთის გამძღოლი, მის არ ყოფნის დროს კი—№ 7.

119—ყუთის ცხენმტარნი შეიძლება დაინიშნონ ცხენოსან ცხენმტარებლებად სავაზნე ყუთების მოტანის დროს წინალიდან, ან მუხტის ყუთიდან.

120—ყოველ მიყენების დროს, განკარგულებით: **შეაჩერე!** და თუ ასეთი არა ყოფილა, მაშინ განკარგულება: **წინალეებზე (უკანალეებზე)**! ზარბაზნის ნაცვალი მიირბენს თავის ცხენთან და ჯდება ზედ.

121—თუ წინალი იმყოფებოდა საფარის უკან, ფრთის უკან, ან საზოგადოთ ზარბაზანის მოშორებით, მაშინ ზარბაზნის ნაცვალი ჯდება ცხენზე, როცა წინალი მოვა.

122—თუ წაყენებას ასრულებენ მაშინ, როცა წინალი მოთავსებულია ფრთის უკან, საფარის უკან, ან ზარბაზნის მოშორებით, უფროსისაგან ნაჩვენებ მანძილზე, მაშინ წინალს წინასწარ გამოუძახებენ ზარბაზანთან და აყენებენ 16 ნაბიჯზე, ხორთუმის უკან (ნახ. 7).

123—წინალს გამოუძახებენ განკარგულებით: **წი-**

ნალი ზარბაზანთან! არ პირობითის ნიშნით ან ბრძანებულობით ნომრის გაგზავნით.

124—თუ წინალი ზარბაზნის მოშორებით იმყოფება და განკარგულება მიყენების შესასრულებლად მიცემულია წინალის გაჩერებამდე (16 ნაბიჯზე), მაშინ წინალი გაუჩერებლად ასრულებს მიყენებას.

125—ყველა მიყენებების დროს, რათა მეტის სისწრაფით მოხდეს ლაფეტის ჩამოცმა წინალზე, ნომრებს ნება ეძლევათ მიაგორონ ლაფეტი წინალთან.

126—ყოველ წაყენების და მიყენების დროს № 4 გადახსნის ხოლმე კავის საკეტის ენას.

127—ყოველ წაყენების და მიყენების დროს ზარბაზნის ოწინარს № 5, ყუთისას კი № 9 მაღლა სწევენ.

128—საომარი მდგომარეობის პირობების და ადგილის ხასიათის გამო შეიძლება მიჰმართონ არა მარტო ქვეით ნაჩვენებ საშუალებათ ზარბაზნის გადასასვლელად მოძრაობის წესრიგიდან საომარ წესრიგზე და წინაუკმოდ, არამედ კიდევ ბევრი სხვა ნაირებსაც. ამ შემთხვევაში საზოგადოთ უნდა იხელმძღვანელონ ამ თავში მოხსენებულ წესებით.

წაყენებანი.

129—წაყენების შესასრულებლად ეგანკარგულება:

1. ზარბაზანი მარჯვნივ (მარცხნივ)! ან ყუთი მარცხნივ (მარჯვნივ)!

2. საპალნეები წინ (მარცხნივ, მარჯვნივ)!

3. წა!

4. სდექ!

5. წინალებიდან!

6. წა!

პირველი და მეორე განკარგულებით ზარბაზანი, ყუთი და საპალნეები გადაინაცვლებენ ისე, რომ გაჩერების წინ ყუთი მოუდგეს ზარბაზანს გვერდით, საპალნეები კი—თავთავიანთ შებმულობის წინ.

შენიშვნა: თუ ვაზნები იყვნენ საპალნეებზე, მაშინ ისე გადაინაცვლებენ, რომ საპალნეები ზარბაზანს გვერდით დაუდგნენ, მესამე განკარგულებით უკანა შებმულობა გამოდის ნაჩვენებ მხარეზე და მიდის 6 ნაბიჯიან ხანზე წინ მიმავლისაგან და ორივენი ჩერდებიან; საპალნეები შემო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

უვლიან თავის შებმულობებს მარ-
ჯვნიდან და განაგრძობენ მოძრა-
ობას ახალ მიმართულებით. შებმუ-
ლობები მისდევენ მათ.

მეოთხე განკარგულებით ორივე შებმულობა ჩერდება, საპალნეები კი მიდიან მე 19 ნახატზე ნაჩვენებ გზით, წინ ყუთისანი, შემდეგ ზარბაზნისანი და 40—50 ნაბიჯის გავლის შემდეგ ჩერდებიან.

თუ სავაზნე ყუთები აკიდებული იყო, ყუთის მე-5 და მე-6 საპალნეები, მოძრაობენ დანარჩენ საპალნეების უკან, გაივლიან 1—2 ნაბიჯს ზარბაზნის ხორთუმის უკან და ჩერდებიან; ყუთების ჩამოხდის შემდეგ ისინი დანარჩენ საპალნეებს უერთდებიან.

მეხუთე განკარგულებით №№ 1 და 2 ორივე ხელით ასწევენ ხორთუმის ნაწილს ქვემოდან; №№ 3 და 4—ხორთუმის რკალებით და გადმოაქვთ ხორთუმი კავიდან: № 5 მაღლა ასწევს ოწინარს.

რა წამს საჭირის ცხენოსნის განკარგულებით **წინ!** წინალი ერთი ნაბიჯით წაიწევს—ნომრები ხორთუმს მიწაზე დაუშვებენ.

№ 7 ხსნის თასმებს ყუმბარის ყუთის უკანა ღერძკალის კოლოფისას.

№ 6, 7, 8 და 9 ამოალაგებენ სავაზნე ყუთებს. ყუთების ამოღების შემდეგ № 7 შეაწყობს თასმებს.

მეექვსე განკარგულებით ყუმბარის ყუთი, ხოლო მის უკან წინალი, გაემართებიან მე-19 ნახატზე ნაჩვენები გზით.

საპალნეები გაატარებენ თავიანთ შებმულობებს, შემოუვლიან მარჯვენა მხარით და ჩერდებიან მის უკან; ყუმბარის ყუთი ჩერდება წინალის უკან.

ყველანი მიიღებენ მდგომარეობას მე-19 ნახატის თანახმად.

130 — მარცხნივ და მარჯვნივ წაყენებისთვის ეგანკარგულება:

1. ზარბაზანო მარჯვნივ (მარჯხნივ)! ან ყუთო მარჯვნივ (მარცხნივ)!

2. წა!

3. ხდექ!

4. წინალებიდან მარცხნივ (მარჯვნივ)!

5. წა!

პირველი და მეორე განკარგულებით ზარბაზანი (ყუთი) გადაინაცვლებს ისე, რომ გა-

ჩერების წინ ზარბაზანი მოექცეს მტრის მხარეს. წაყენება სრულდება 129 მუხლის თანახმად შემდეგის ცვლილებით (ნახ. 20):

მესამე განკარგულებით საპალნეები არ შემოუვლიან თავიანთ შებმულობებს.

მეოთხე განკარგულებით ნომრები ხსნიან კავიდან ხორთუმს და, როცა წინალი ერთი ნაბიჯით წინ გაიწევს, აბრუნებენ ხორთუმს წრის $^1/_4$-ზე იმ მხარეზე, რომელიც ნაჩვენებია განკარგულებაში და დაუშვებენ მიწაზე, საპალნეები შემოუვლიან მარჯვენა მხარით (მარცხენა) და მიდიან 3-4 ნაბიჯზე მობრუნებულ ზარბაზნის მიმართულებიდან; გაივლიან 40-50 ნაბიჯს ზარბაზნიდან და გაჩერდებიან.

თუ სავაზნე ყუთები დასაპალნებული იყო მე-5 და მე-6 საპალნეები ყუთისა მივლენ თუ არა საპალნეებთან ერთად ლაფეტის ხორთუმამდე, შემობრუნდებიან მარცხნივ (მარჯვნივ) და დგებიან ყუთების ჩამოსახდელათ ხორთუმის მარჯვნივ და უკან 2 ნაბიჯზე, ერთი მეორის კისერში, ჩამოხდის შემდეგ უერთებიან დანარჩენ საპალნეებს.

მეხუთე განკარგულებით ყუმბარის ყუთი და წინალი მოკლედ მიბრუნდებიან მარცხნივ

ეროვნული ბიბლიოთეკა

(მარჯვნივ) და როცა საომარ ღერძს 35-40 ნაბიჯზე დაშორდებიან, შემოივლიან მარჯვენა (მარცხენა) მხარით, იღებენ მიმართულებას ზარბაზნისაკენ და ჩერდებიან ხორთუმის უკან 16 ნაბიჯზე; წინალი წინ.

საპალნეები გაატარებენ თავთავიანთ შებმულობებს, შემოივლიან მარცხენა (მარჯვენა) მხარით და მათ უკან ჩერდებიან. ყველანი იჭერენ მდგომარეობას მე-20 ნახატის თანახმად.

131—ახლო მანძილზე წასაყენებლად ეგანკარგულება:

1. **საპალნეებო და ყუთო წინ.**
2. **წა!**
3. **ხდექ!**
4. **წინალებიდან!**
5. **წა!**

წაყენება სრულდება 129 მუხლის თანახმად, შემდეგი ცვლილებებით (ნახ. 8):

მეორე განკარგულებით საპალნეები და ყუთი გამოდიან ზარბაზნის წინ და, გაივლიან რა მესამე განკარგულების შემდეგ 50 ნაბიჯს, ჩერდებიან (ნახ. 13), №№ 6 7, 8 და 9 იღებენ წი-

ნალიდან ორ სავაზნე ყუთს და აწყობენ საომარ ადგილზე, (ნახ. 1).

მეხუთე განკარგულებით წინალი მიიწევს ყუთამდის 3 ნაბიჯის მანძილზე.

შენიშვნა 1-ლი: თუ ახლო მანძილზე წაყენების შესრულებამდე საპალნეები იმყოფებოდენ ზარბაზნის წინ, მაშინ პირველსა და მეორე განკარგულებას არ იძლევიან.

შენიშვნა მე-2: განსაკუთრებული განკარგულებით **საპალნეები აქეთ და აქეთკენ,** საპალნეები შეიძლება ნახატზე ნაჩვენებ ადგილიდან გადაყვანილ იქმნენ.

მიეენებანი.

122, წინ წასვლისთვის ეგანკარგულება:

1. **წინალებზე!**
2. **წა!**

მეორე განკარგულებით ზარბაზნის ნაცვალს მიჰყავს წინალი "ზარბაზნის მარჯვნივ

ეროვნული ბიბლიოთეკა

იმ გზით, რომელიც ნაჩვენებია მე-21 ნახატზე; როცა თვალს გაუსწორდება, ზარბაზანთან პარალელურ მიმართულებას იღებს და, გაივლის რა ამ მიმართულებით 24 ნაბიჯს, ჩერდება.

წინა საყევრის ცხენოსანი მისდევს ზარბაზნის ტუჩს, 20 ნაბიჯით რო გამორდება, შეჩერდება, და უკან იყურება. საძირის ცხენოსანს ისე მიჰყავს წინალი, რომ მან გაიაროს რაც შეიძლება ზარბაზნის ახლოს და ცხენებს საომარ ღერძიდან 4-5 ნაბიჯზე აჩერებს. უკან ყურებით ახევინებს წინალს უკან კავით ლაფეტის ხორთუმის ქვეშ და, როცა უკანასკნელს ჩამოაცვამენ კავზე, ნახევარ ხმით აძლევს განკარგულებას **წინ**, რის შემდეგ შებმულობა გაიწევს ზარბაზანის ნაცვლამდე. წინა და შუა საყევრის ცხენოსნებიც წინალის გაჩერების შემდეგ უკან იყურებიან და, აქვთ რა მოშვებული საწევები, ეშველებიან საძირის ცხენოსან წინალის დახევაში.

№№ 1, 2, 3 და 4 ურთი-ერთ შორის მდებარეობის დაცვით ორივე ხელს ჰკიდებენ ხორთუმის ნაწილს დგამის ქვედა გვერდს და რკალებს, ასწევენ ლაფეტს ქამრის სიმაღლე-

ზე და, როცა წინალი გასცდება ზარბაზნის საომარ ღერძს, ნომრები, ხორთუმის მიბრუნებით წინალისკენ მე-2 ნომრის მხარეზე, აცვამენ ხორთუმს კავზე.

თუ მიგორება ზარბაზნისა საძნელოა, მაშინ №№ 5 და 7 მირბიან წინალის თვლებთან და შველიან იმის დახევაში. ყუმბარის ყუთი მოძრაოს წინალის უკან.

№№ 6, 8 და 9 ალაგებენ სავაზნე ყუთებს მუხტის ყუთში და ამაგრებენ მათ თასმებით. საპალნეები მისდევენ თავთავიანთ შებმულობებს.

133 — უკან სვლისთვის ეგანკარგულება:

1. უკანალზე!

2. წა!

შესრულება 132 მუხლის თანახმად, შემდეგი ცვლილებებით:

მეორე განკარგულებით ზარბაზნის ნაცვალს მიჰყავს წინალი მე-22 ნახატზე ნაჩვენებ გზით. გაუსწორდება თუ არა ზარბაზნის საომარ თვალს, შემოივლის მარჯვენა მხარით, გამოჰყავს წინალი ზარბაზნის თავდაპირველ მიმართულების ხაზზე და თვითონ გაივლის ხორთუმიღან 24 ნაბიჯზე.

ცხენოსნები მისდევენ მას, როცა გასცილ-
დებიან ზარბაზანს, მარჯვენა მხარზე უკან
ცქერით, მოიყვანენ და აყენებენ წინალს ისე,
რომ წინალის თვლები მოვიდეს საომარ
თვლების პირდაპირ, კავი-კი—ლაფეტის ხორ-
თუმის ქვეშ. როცა ლაფეტს ჩამოაცვამენ
წინალის კავზე, მაშინ საძირის ცხენოსნის
განკარგულებით: **წინ**, ზარბაზნის ნაცვლამდე
მისწევენ.

ნემრები ხორთუმის მაღლა აწევით აბრუ-
ნებენ მას წრის $^1/_8$ ნაწილზე № 1-ისკენ და,
როცა წინალი გაჩერდება, აბრუნებენ ლა-
ფეტს წინალისკენ და აცვამენ ხორთუმს კავ-
ზე, ამასთანავე №№ 5 და 6 სჭიდებენ ხელს
წინალის თვლებს და მიაგორებენ წინალს.

№№ 7, 8 და 9 მოაქვთ სავაზნე ყუთე-
ბი და აწყობენ მუხტის ყუთში.

მიყენების გათავების შემდეგ, მოძრაობის
დაწყების აღმნიშნავ განკარგულების შემდეგ
მუხტის ყუთი შემოივლის მხარით და მი-
დის ნაჩვენებ მიმართულებით, საპალნეები
კი მიჰყვება თავთავის შებმულობას; ზარბა-
ზანი მოძრაობს მუხტის ყუთის უკან.

ყველანი იჭერენ ადგილებს მე-13 ნახა-

ტის თანახმად.

134—მარჯვნივ (მარცხნივ) მოძრაობისთვის ეგანკარგულება:

1. წინალებზე მარჯვნივ! (მარცხნივ)!
2. წა!

შესრულდება მე-133 მუხლის თანახმად, შემდეგი ცვლილებებით (ნახ. 23). მეორე განკარგულებით ზარბაზნის ნაცვალს მოჰყავს წინალი ლაფეტთან მე-23 ნახატში ნაჩვენებ გზით, შებმულობის გავლით მარჯვნივ (მარცხნივ), როგორც შესაძლებელი იქნება ადგილის მიხედვით; გაივლის ლაფეტის ხორთუმიდან 20 ნაბიჯს და შეჩერდება. ცხენოსნები მისდევენ მას და აჩერებენ წინალს, რა წამს მისი თვლები გასცილდებიან ლაფეტის ხორთუმს.

ნომრები ლაფეტის ხორთუმის მაღლა აწევით, აბრუნებენ ლაფეტს წრის $^1/_4$-ზე ნაბრძანებ მხარეზე და, წინალის მოტანის შემდეგ, აცვამენ ხორთუმს კავზე.

საპალნეები და ყუმბარის ყუთი მიდიან წინალის გზით და, როცა მიახლოვდებიან მეთაური საპალნეებით ზარბაზანს, ჩერდებიან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოძრაობის დაწყებისას ყველა იჭერს ადგილს მე-4 ნახატის თანახმად.

135—ახლო წაყენებიდან უკან სვლისათვის ეგანკარგულება:

1. უკანალზე!

2. წა!

პირველ განკარგულებით № 5 მიირბენს წინალის მარჯვენა თვალთან და დგება კოლოფისაკენ პირმიბრუნებით.

მეორე განკარგულებით ცხენოსნები ახევინებენ წინალს და, როცა ლაფეტს ჩამოაცვამენ, საძირის ცხენოსნის განკარგულებით **წინ**! მისწევენ მას ზარბაზნის ნაცვლამდე.

ნომრები 1-ი, მე-2, მე-3 და მე-4 მაღლა ასწევენ ხორთუმს, მიაგორებენ ლაფეტს წინალთან და აცვამენ ხორთუმს კავზე.

№ № 5 და 7, რომლებიც მოქმედებენ წინალის თვლებზე, შველიან წინალის დახევაში და ისეთ მიმართულებას აძლევენ, რომ კავი ხორთუმის ქვეშ მოვიდეს.

№ № 6, 8 და 9 აწყობენ სავაზნე ყუთებს მუხტის ყუთში და თასმებით ამაგრებენ.

ყველა იჭერს ადგილს მე-13 ნახატის თანახმად.

თავი VIII.

გადასვლა საპალნიან წესიდან საომარ წესზე და წინაუკმოდ.

საზოგადო ცნობები (ჩვენებები).

136—საომარ წესრიგზე გადასვლის დროს ზარბაზანი წინალიდან შეიძლება სრულიად ჩამოიხადოს (ნახ. 7). ან ჩამოხდიან მარტო ზარბაზანს და საჭირო რიცხვს სავაზნე ყუთებისას (ნახ. 24).

137—საომარ პოზიციაზე გამოჰყავთ მარტო ზარბაზნის საპალნეები, დადგენილი რიცხვი ნომრებისა და 2 ყუთის საპალნე. ზარბაზანი უნდა გააჩერონ ისე, რომ საომარ თვლების საპალნე მოვიდეს 2 ნაბიჯზე იმ ადგილის მარჯვნივ, რომელნიც დანიშნულია ზარბაზნის აწყობისთვის. წინალის საპალნეები და დანარჩენი ყუთისანი განსაკუთრებული განკარგულებით ან ბრძანებულობით მიჰყავს ყუთის გამძღოლს წინალისათვის დანიშნულ ადგილზე. (ფრთის, საფარის უკან.

138—პოზიციაზე გამოსაყვან ყუთის საპალნეების რიცხვის შეცვლა ნებადართულია იმის დამიხედვით, თუ რამდენად დაშორებულია წინალები, რამდენად საძნელოა უზრუნველყოფა ვაზნებით ზარბაზნისა და რამდენი ვაზნაა ნავარაუდევი დასახარჯავათ.

139—თუ სასურველი არ არის, რომ ცხენები ზარბაზნისა და სავაზნე ყუთების ჩამოხდის შემდეგ დადგნენ იმ ადგილებზე, რომლებიც ნაჩვენებია მე-7 და მე-25 ნახატზე, მაშინ საჭიროა უჩვენონ ადგილი, საით უნდა გაიყვანონ ხოლმე და სად უნდა ელოდენ ყველა ცხენების განთავისუფლებას. ცხენმტარნთ მიჰყავთ ცხენები წინალთან, ან სადაც ნაჩვენები იქნება, დანიშნულ მეუფროსესთან ერთად (თუ მეუფროსე არ არის დანიშნული მაშინ ყოველთვის მეთაურ საპალნის ცხენმტარია ასეთად).

140—დატოვებულ წინალისა და საპალნეების მეუფროსეს (ყუთის გამძღოლს) უნდა ნაჩვენები ჰქონდეს:

ა) დარჩეს თუ არა წინალი და მუხტის ყუთები დასაპალნებული,

ეროვნული ბიბლიოთეკა

თუ ბ) წინალი და მუხტის ყუთი ჩამოხადოს საპალნეებიდან აუწყობლად.

თუ გ) ააწყოს წინალი და მუხტის ყუთი და შეაბას.

უკანასკნელ შემთხვევაში სავაზნე ყუთები ლაგდება წინალში და მუხტის ყუთში.

141—თუ საომარ წესში ზარბაზანი მომზადებული იყო სროლისთვის, მაშინ დასაპალნებაზე გადასვლის წინ **ეგანკარგულება: გაათავე!**

142—დასაპალნებაზე გადასასვლელად სასაპალნე ცხენები წინადვე უნდა გამოძახებულ იქმნენ ზარბაზანთან. ისინი მოჰყავთ ცალკე საპალნეებად და ჩერდებიან ხორთუმის უკან 16 ნაბიჯზე:

143—ცხენები შეიძლება გამოძახილ იქმნან და ზარბაზნის დასაპალნებამდი დასაპალნებული იქმნენ სავაზნე ყუთები.

144—თუ მოსალოდნელია პოზიციიდან უკან დახევა, ზარბაზანი ჯერ ძისრს უნდა ჩააგორონ ხელით, ან ხელის თასმებით რამდენადაც ამის ნებას მისცემს ადგილმდებარეობა და გარემოება.

145—თუ ზარბაზანი სანგარში, ან საზოგადოთ დასაპალნებისთვის უხერხულ ადგილას სდგას,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიშინ საჭიროა მისი ამოგორება უფრო მოხერხებულ და დაფარულ ადგილზე.

146—ზარბაზნის ნაცვლის მოვალეობაა დაიჭიროს კავშირი წინალთან და საპალნეებთან (თუ ისინი გამოყოფილნი არიან სხვა ზარბაზნების წინალებთან). ყოველმა ცხენმტარებელმა უნდა იცოდეს გზა ზარბაზნისაკენ.

147—წესდება იძლევა ჩამოხდის და დასაპალნეების უფრო მოხერხებულს და სწრაფს ილეთებს. საომარ მდგომარეობის პირობებს, ადგილმდებარეობის ხასიათს, ზარბაზანთან მოსამსახურეთა სიმცირის დროს და სხ., შეუძლიათ გამოიწვიონ ცხენების მოყვანის, საპალნის ჩამოსახდელათ და ასაკიდებლათ სხვაგვარი წესრიგიც. ამნაირ შემთხვევებში საჭიროა საზოგადოთ იხელმძღვანელონ ამ თავში მოხსენებულ წესებით.

გადასვლა საპალნიან წესიდან საომარ წესზე.

148—საომარ წესზე გადასასვლელად, როცა წინალი უნდა იყოს ჩამოხდილი და შებმული, ეგანკარგულება:

ეროვნული ბიბლიოთეკა

1. საპალნეებიდგან ზარბაზანი პოზიციაზე!

2. წა!

ცხენების მოყვანა და მოქმედება ნომრებისა და ცხენმტარებელთა, ზარბაზნისა და წინალის ჩამოხდის შესრულების დროს ყველაფერში ეთანხმება ნათქვამს საპალნიან წესიდან თვლიანზე გადასვლისათვის, შემდეგი ცვლილებებით. (ნახ. 17 და 26):

მეორე განკარგულებით მე-6 და მე-7 ყუთის ცხენმტართ რბენით გამოყავთ თავიანთი ცხენები მარჯვნივ და აყენებენ მათ შუბლის საპალნეების მარჯვნივ 3 ნაბიჯზე, ერთი მეორის უკან (მახ. 25).

№№ 5 და 6 სახოლთუმე ნაწილს რო ჩამოხდიან, მიდიან მე-6 და მე-7 ყუთის საპალნეებთან, ხდიან სავაზნე ყუთებს და აწყობენ საომარ ადგილზე (ნახ. 1), რის შემდეგ მიდიან წინალთან.

მე-6 და მე-7 ყუთის ცხენმტარნი აბრუნებენ ცხენებს მარცხენა მხარით და აყენებენ ადგილას საპალნეების უკან.

ზარბაზანს სალაშქრო წესისამებრ არ ამაგრებენ, ხალთებს არ აცვამენ, სასანგრო ია-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაღს და მოწყობილობას ზარბაზანზე არ დაკრავენ.

შებმული წინალი და ყუთი რჩება ზარბაზნის უკან და ყველანი იჭერენ ადგილებს მე-7 ნახატის თანახმად.

149—საომარ წესზე გადასასვლელათ, როცა წინალი და სავაზნე ყუთები უნდა დარჩეს საპალნეებად ზარბაზანთან !ეგანკარგულება:

1. საპალნეებიდგან ზარბაზანი პოზიციაზე!

2. წინალი და მუხტის ყუთების ჩამოუხდელად.

3. წა!

ამ განკარგულებით მე-6 და მე-7 ყუთების საპალნეებს ჩამოხდიან ზემოხსენებულის თანახმად (ნახ. 24).

ზარბაზნის საპალნეების ცხენები ჩმოხდის შემდეგ მიჰყავთ მარცხენა მხარით და ერთი მეორის უკან აყენებენ.

150—საპალნეების და ცხენების მოსაშორებლად ზარბაზნიდან (ფრთის უკან, საფარის უკან) ეგანკარგულება:

საპალნებო აქეთ-და-იქეთ!

ან მიიცემა შესაფერიჩ ვენება. ყუთის გამძღო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლს მოჰყავს საპალნეები მხარის შემოვლით ან ზურგისაკენ მობრუნებით; თვითონ მიდის მეთაური საპალნის წინ.

151 — თუ წინალის საპალნეები არ არის პოზიციაზე გამოყვანილი, ან წინასწარ იყვნენ გაჩერებულნი, ან გაგზავნილნი ფრთის, ან საფარის იქით, მაშინ ყუთისგამძღოლი განაგებს წინალის და მუხტის ყუთის ჩამოხდას.

№№ 7, 8 და 9 ცხენმტარებთან ერთად თანდათანობით ხდიან მუხტის ყუთის წინალს და სავაზნე ყუთებს, ამასთანავე წინალი და მუხტის ყუთი რჩება დაშლილი და თვლები შეკრული.

თუ საჭიროა წინალის და ყუმბარის ყუთის შებმა, მაშინ ესენი აეწყონ ნომრები და ცხენმტართა მიერ; სავაზნე ყუთებს ხდიან, ალაგებენ წინალში და მუხტის ყუთებში.

ვადასვლა საომარ წესიდან საპალნიან წესზე.

152 — ეგანკარგულება:

1. ზარბაზანი საპალნედ!

2. წა!

თუ წინალი იმყოფება ზარბაზნის უკან,

ან მიყვანილია მასთან შებმული (მე-20 ნახატზე — 16 ნაბიჯი), მაშინ ცხენების მოყვანა, ნომრების და ცხენმტარნთა მოქმედება ზარბაზნისა და წინალის დასაპალნების დროს ეთანხმებიან თვლიან წესიდან საპალნიანზე გადასვლაზე ნათქვამს, შემდეგის ცვლილებებით:

მეორე განკარგულებით მე-6 და მე-7 ყუთის ცხენმტარნი უვლიან წინალს მარცხნიდან, აყენებენ თავის ცხენებს ერთი მეორის უკან ზარბაზნის წინ, №№ 5 და 6 — კი ასაპალნებენ ზედ სავაზნე ყუთებს.

153 — განკარგულებით:

1. ერთ საპალნედ!

ან ერთ საპალნედ მიმართულება ამა და ამისაკენ!

2. წა!

საპალნეები ადგილის განთავისუფლების შემდეგ მწკრივდებიან ერთი მეორის უკან; ზარბაზნის ნაცვალი წინ (ნახ. 9).

154 — თუ წინალი და წინალის სავაზნე ყუთები იმყოფებოდნენ საპალნეებზე ზარბაზნის უკან, (ნახ. 24). მაშინ ცხენმტართ ზარბაზანთან ცხენები მოჰყავ ავლით: საომარ თვლების, შუბლის

ხორთუმის და 6 და 7 ყუთისების გავლით ყველა საპალნეების მარჯვნივ, ლულისა, აკვნისა და ქუროსი კი—მარცხნივ და აყენებენ მე-26 ნახატის თანახმათ.

155—თუ ზარბაზანთან იწვევენ მხოლოდ ზარბაზნის დასასაპალნებლად საჭირო ცხენებს, მაშინ აყენებენ მათ ზარბაზნის უკან 16 ნაბიჯზე, საპალნიან ან მოძრაობის წესისამებრ.

სასანგრო იარაღის და კუთვნილების №№ 5 და 6 მიაქვთ და ჰკრავენ, როგორც კი ზარბაზნის საპალნეებს შეაერთებენ წინალის საპალნეებთან.

156— წინალსა და მუხტის ყუთს, რომლებიც ზარბაზნიდან მოშორებით იმყოფება, ასაპალნებენ ყუთის გამძღოლის განკარგულებით წინალებთან მყოფნი ცხენმტარენი და ნომრები.

დასაპალნების შემდეგ წინალი და მუხტის ყუთი, მიღებულ ბრძანებულობის მიხედვით, ან ადგილობრივ რჩება და ზარბაზნის საპალნეებს ელოდება, ან ზარბაზანთან მიდის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გადასვლა თვლიან-საბალნიან წესიდან საომარ წესზე.

157—განკარგულებას შემდეგ, რომელნიც აღნიშნავს წინალის წაყენებას ეგანკარგულება:

ჩამოჰხადეთ!

ლულის, ხორთუმის და 6 და 7 ყუთის ცხენმტარნი წინალის წაყენების შემდეგ, მიიყვანენ ცხენებს ზარბაზანთან ჩამოსახდელათ ჩამოხდა ხდება ზემოხსენებულ წესებით. დანარჩენი სავაზნე ყუთები დასაპანებული რჩება და წინალს მისდევს.

თავი IX.

ცხენოსნური წესი.

საზოგადო ჩვენებანი.

158—ცხენოსნური წესი იხმარება იმ შემთხვევაში, როცა ომის გარემოება ზარბაზნის სწრაფ გადატან-გადმოტანას მოითხოვს.

159—ცხენოსნურ წესზე გადასვლა თვლიანიდგან ხდება.

160—ცხენოსნურ წესზე გადასვლის დროს უნდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

სისწორით აჩვენონ სავალი გზა ქვეითად დარჩენილ პირებს და ცხენმტარებლებს, რომელთა მეუფროსედაც ითვლება ქვეითად ყუთის გამძღოლი.

დარჩენილი ქვეითად ჯარისკაცნი და ცხენმტარებელნი პირველ შეძლებისათანავე ზარბაზანს უერთდებიან.

161 — ცხენოსნურ წესში გადასვლის დროს მარქაფა ცხენებით სარგებლობა აღკრძალულია.

162 — გადასვლა ცხენოსნურ წესრიგიდან საპალნიანზე საძნელოა, ამიტომ სარგებლობა ამით შეიძლება მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში, ან ქვეით, ან ცხენოსან ჯარის შველის შესაძლებლობისას.

გადასვლა საპალნიან წესზე სწარმოებს თვლიან წესის მიხედვით.

ა ლ ი უ რ ე ბ ი.

163 — ნაბიჯი — სისწრაფე 5-6 ვერსი საათში (1 ვერ. — 12-10 წუთ.), ჩოროთი-სისწრაფით 1 ვერ. — 5 წუთ., განუწყვეტლივ არა უმეტეს 3 ვერ.; ნავარდი — 1 ვერ. — 4 წუთ., განუწყვეტლივ არა უმეტეს 2 წუთისა;

ეროვნული ბიბლიოთეკა

(ნავარდით) მოძრაობა იხმარება განსაკუთ-
რებულ შემთხვევებში, ამასთანავე შეიძლება,
რომ ყველა ცხენებმა არ იჭენაონ.

ცხენების დასაზოგავად 3 ვერსზე
მეტ მანძილზე მოძრაობის დროს უნდა ია-
რონ ცვალებად ალიურით, სისწრაფით 7-დან
8 ვერსამდე საათში ისე, რომ ნაბიჯი და
ჩოჩორი ერთმანეთს სცვლიდნენ.

შენიშვნა: ცუდი გზებისა და მძიმე ნიადაგის
დროს აღნიშნული ნორმა შემცირ-
დება.

გადასვლა თკლიან წესიდან ცხენოსნურზე და წი-
ნაუკმო.

164—ცხენოსნურ წესზე გადასასვლელად ეგანკარ-
გულება:

ცხენოსნურად მოეწყე.

ამ განკარგულებით: ყუთის 1-ი ცხენმტა-
რებელი თავის ცხენს მარცხნივ და გვერდით
ხოჭოჭს უყენებს.

ყუთის მე-3 ცხენმტარებელი უყენებს
თავის ცხენს კეფაში 1-ს ყუთისას;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყუთის მე-8 ცხენმტარებელი უყენებს თავის ცხენს მარცხნივ და გვერდით მე-6 ყუთისას;

ყუთის მე-10 ცხენმტარებელი უყენებს თავის ცხენს კისერში მე-8 ყუთისას;

ნომრები რიგ რიგათ უახლოვოებიან ხორთუმისას, 1-ს და მე-2-ს ყუთისას, ქუროსას, შუბლისას, წინალის-თვლისას, წინა თვლის კოლოფისას, უკანა სვლის კოლოფისას და უკანა სვლის თვლისას, ცხენმტარებელნი კი მიდიან: ხოჭიჭისა, მე-3, მე-6, მე-7, მე-8, მე-9 და მე-10 ყუთისანი თავის ცხენებთან, ამზადებენ მათ შესაჯდომათ და შეჯდებიან ზედ.

მოძრაობის დაწყებისთანავე ყველანი იჭერენ ადგილებს მე-27 ნახატის თანახმად.

165—დარჩენილი ქვეითად ჯარის-კაცნი ეწყობიან სადაც ადგილი ნებას მისცემთ და მიიმართებიან ქვეითა ყუთის გამძღოლის უფროსობის ქვეშ ბრძანებულობის მიხედვით.

166—თვლიან წესზე გადასასვლელად ეგანკარგულება:

ქვეითურად მოეწყე!

შენიშვნა: ეს გადასვლა ხდება შეძლებისამებრ ქვეითად დარჩენილ ჯარის კაცების ზარბაზანთან მოსვლის შემდეგ.

ამ განკარგულებით ცხენოსანი ჯარის კაცნი, გარდა ზარბაზნის ნაცვლისა და ცხენთსნებისა, ჩამოხტებიან ცხენებიდან, ნომრები მიდიან ზარბაზანთან, შეუბმელ ცხენების ცხენმტარნი თავის ცხენებთან. თუ ქვეითად დარჩენილ ცხენმტარნი ჯერ არ მოსულან, მაშინ იქ მყოფ ცხენმტართ მიჰყავთ ორ-ორი ცხენი.

მოძრაობის დაწყებისთანავე ყველას უჭირავს ადგილები მე-4 ნახატის ნანახმად.

გადასვლა საომარ წესზე და წინაუკმო.

167—წინალი და ცხენმტარნი ასრულებენ ყველა წაყენებას და მიყენებას ჩოართით, თუ გაცემული არ არის განკარგულება: **ნაბიჯით!**

წაყენებანი.

168—უკან მოძრაობის დროს ეგანკარგულება:

1. ზარბაზანი მარჯვნივ (ყუთი მარცხნივ!)
2. წა!
3. სდექ!
4. წინალებიდან!
5. წა!

შესრულდება მე-129 მუხლის თანახმად შემდეგის ცვლილებებით (ნახ. 28).

მეოთხე განკარგულებით ზარბაზნის ნაცვალი და ნომრები ჩამოხტებიან და გადასცემენ ცხენებს: №№ 1 და 2—ხოჭიჭის ცხენმტართ; № 3—მე-3 ყუთისას; ზარბაზნის ნაცვალი—წინა საყევრის ცხენოსანს და მიდის ზარბაზანთან.

ცხენმტარნი ნახევრად მარჯვნივ (მარცხნივ) მობრუნებით, ჩოჩორთით გამოდიან ზარბაზნის გარედგან მის შებმულობის ხაზზე და ჩერდებიან.

მეხუთე განკარგულებით, როცა სავაზნე ყუთებს ამოიღებენ, წინალი და ყუმბარის ყუთი შორდებიან, ცხენმტარნი დგებიან თავის შებმულობის უკან.

ყველანი იჭერენ ადგილებს მე-27 ნახატის თანახმად.

169—მარჯვნივ (მარცხნივ) წაყენებისთვის ეგანკარგულება:

1. ზარბაზანი მარცხნივ (მარჯვნივ)!
ან ყუთი მარჯვნივ (მარცხნივ)!
2. წა!
3. სდექ!
4. წინალებიდან მარჯვნივ (მარცხნივ)!
5. წა!

შესრულება 130 და 168 მუხლების თანახმად.

მოძრაობის დაწყებისას ყველანი იჭერენ ადგილებს მე-27 ნახატის თანახმად.

180 | ახლო წაყენებისათვის ეგანკარგლლება;

1. ყუთი წინ!
2. წა!
3. სდექ!
4. წინალებიდან!
5. წა!

შესრულება 131 და 168 მუხლების თანახმად.

ყველანი იჭერენ ადგილებს მე-29 ნახატის თანახმად:

მიყენებანი.

171—წინ მოძრაობისთვის ეგანკარგულება:

1. წინალებზე!

2. წა.

შესრულება თანახმად მე-132 მუხლისა, შემდეგის ცვლილებით.

ჩააწყობენ თუ არა სავაზნე ყუთებს, ნომრები სხდებიან ცხენებზე.

ზარბაზანს წასწევენ ზარბაზნის ნაცვლამდე და ყველანი იჭერენ ადგილებს მე-30 ნახატის თანახმად.

172—უკან სვლისათვის ეგანყარგულება:

1. უკანალებზე!

2. წა.

შესრულება თანახმად 133 და 171 მუხლისა (ნახ. 31).

173—მარჯვნივ ან მარცხნივ მოძრაობისთვის ეგანკარგულება:

1. წინალებზე მარჯვნივ (მარცხნივ)!

2. წა!

შესრულება თანახმად 134 და 171 მუხლებისა.

174—ახლო წაყენემიდან უკან სვლის დროს ეგანკარგულება;

1. **უკანალზე!**

2. **წა!**

შესრულება |თანახმად 135 და 171 მუხლებისა (ნახ. 32) შემდეგი ცვლილებებით: ცხენმტარნი მარჯვნივ გადგომით დაიძვრებიან ჩორთით და, გასცდებიან რა ზარბაზანს, შემოდიან მარჯვენა მხარით და ჩერდებიან 2 ნაბიჯზე ტუჩის იქით.

ყველანი იჭერენ ადგილებს მე-27 ნახატის თანახმად, ამასთანავე ყუმბარის ყუთი ზარბაზნის წინ.

თავი X.

დაკლებულ ჯარისკაცთა და ცხენენების შევსება.

175—დაკლებულ ჯარისკაცთა და ცხენების შევსება სწარმოებს ზარბაზნის ნაცვლის განკარგულებით, დიდ დანაკლისის დროს—კი მწყობრის უფროსის განკარგულებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

176—თვლიან და ცხენოსნურ წესში ზარბაზნის ნაცვლის მაგიერობას ეწევა ყუთის გამძღოლი.

ცხენოსან ცხენმტართ შესცვლიან თავისუფალი ცხენმტარნი. გარდა ამისა, ერთ ცხენმტარებელს შეუძლიან წაიყვანოს ორი ცხენი.

დაკლებულ ცხენებს შეავსებენ: ნაცვლისას და შესაბმელებს—საომარ ნაწილის ყუთის ცხენებით, ხოჭოჭისა და ხორთუმისებით.

დაკლებულ ყუთის ცხენებიდან სავაზნე ყუთებს ხდიან და ასაპალნებენ ხოჭოჭისა და ხორთუმის ცხენებზე.

177—**საპალნიან წესში.** ზარბაზნის ნაცვალს შესცვლის ყუთის გამძღოლი. ზარბაზნის საპალნეების ცხენმტართ შესცვლიან ნომრები და სავაზნე ყუთების ცხენმტარნი. სავაზნე საპალნეების ცხენმტართა დაკლების დროს ცხენმტარს მიჰყავს ორი ცხენი, უკანა ცხენი წინა ცხენის პალდუმზე სადავით გამობმული.

დაკლებულ ზარბაზნის ცხენებს სცვლიან სავაზნე ყუთების საპალნეების ცხენებით, რომლების უნაგირებზე შეადგამენ სასა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

პალნე მოწყობილობას. დაკლებულ ცხენების სავაზნე ყუთებს და უნაგირებს სტოვებენ ცხენმტართან სათადარიგო ცხენების მოსვლამდე, ან აწყობენ წინალში და ყუმბარის ყუთში.

178—ყველა შემდეგი შეცვლა სრულდება უფროსის განკარგულებით.

179—როცა სათადარიგო ჯარისკაცები და ცხენები ხელთა ჰყავთ, მაშინ შევსებას, პირველ შეძლებისთანავე, მათი საშუალებით ახდენენ.

180—როცა პიროვნებათა და ცხენთა შემადგენლობის რიცხვი მცირეა, მაში ყველა მოქმედება სწარმოებს ამ განყოფილებაში მოხსენებულის კვალობაზე.

საპალნიან წესში გადასვლის დროს და წინაუკმოდ, ნომრები ასაპალნებენ ზარბაზნის წინალის და მუხტის ყუთის ნაწილებს თანდათანობით.

თავი XI.

დასვენება.

181—დასასვენებლათ ებრძანოს:

1. ჩამოხედ!

2. მოიხაქმე!

ამ განკარგულებით ცხენიანები ჩამოხდებიან.

№ 6 ხტება ცხენიდან და წინალის კონკილას ძირს დაუშვებს,

№ 8 ძირს უშვებს მუხტის ყუთის წინა სვლის ოწინარის კონკილას.

ყველა თავისი სურვილისამებრ. იღებს მდგომარეობას დასასვნებლად და უფროსის ნებართვით შეუძლიან ადგილებიც დასტოვონ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დანართი I.

ზარბაზანთან მოქმედებათა შესრულება.

სამიზნო მოწყობილობათა ნაწილების დაყენება.

პანორამის კუთხსაზომი

ა) მარცხენა ხელით მაღლა აიწიოს გადამწი (ბერკეტი) მთლად და ამ მდგომარეობაში გეჭიროთ.

ბ) მარჯვენა ხელით ატრიალონ ამნარეკელი (პანორამის თავი) და **ტლანქად** დაყენდეს კუთხსაზომის რგოლის ნაგანკარგულები დაყოფილება მაჩვენებელის პირდაპირ:

გ) გადამწნი გაიშვას ხელიდგან;

შენიშვნა: თუ გადამწი თავის ადგილზე არ დადგა ტატნობრივ მდგომარეობაში, არამც და არამც არ უნდა შეეცადნეთ მისი ჩამოშვებას ხელის დაჭირებით, საკმარისია მხოლოდ ოდნავ მოატრიალონ დალაბა ან ამნარეკელი, რომ გადამწი დაეშვოს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დ) კუთხსაზომის დალაბის მარჯვენა ხელით ტრიალით, სისწორით დაყენდება ნაგანკარგულევი დაყოფილობა რგოლისა და დალაბისა.

პანორამის ამნარეკელი.

მარჯვენა ხელით ტრიალდება ამნარეკელის დალაბა იქნობამდის ვიდრე ნაგანკარგულევი დაყოფილობანი არ დადგებიან მაჩვენებელის პირდაპირ.

გვერდის თარაზო.

მარცხენა ხელით ტრიალდება გვერდის თარაზოს დალაბა, ვიდრე ნაგანკარგულევი დაყოფილებანი არ დადგებიან მაჩვენებელის პირდაპირ.

სამიზნო (კორა).

ა) მარჯვენა ხელით დაიწევა ძირს და უკან ამ წევ ჭიჭუნას მქანი და ამ მდგომარეობაში დაიჭირება.

ბ) პანორამის ბუდეზე მარცხენა ხელის წავლებით ამოიწევა სამიზნო კოლოფიდან და დაიყენდება **ტლანქად** ნაგანკარგულევ დაყოფილობაზე.

გ) დაიშვება ამწევ ჭიჭუნას მქანი.

დ) მარჯვენა ხელით ტრიალით ამწევ ჭიჭუნას მქანისა, სისწორით დაყენდება ნაგანკარგულევ დაყოფილობაზე.

სამიზნოს დაყენება შვეულხაზურ მდგომარეობაში.

ა) მოეშვას კოლოფის მკლავის თანგი სამაქოვეში სათანგო ბულღის ტარის ოდნავ მოტრიალებით საათის ისრის მოძრაობის წინააღმდეგ.

ბ) ჭიჭუნას ტრიალით სიგანის თარაზოს ბუშტი მოიყვანება შუაგულ მდებარეობაში.

გ) მაგრდება კოლოფი სამაქოვეში სათანგო ბულღის ტარის მოტრიალებით საათის ისრის მოძრაობის მიმართულებით.

მიმართვა.

ზ ა ფ ი ლ ა დ ე ბ უ ლ ი.

ა) დაყენდეს განკარგულების თანახმად: კუთხსაზომი, გვერდის თარაზო და სამიზნო (კორა).

ბ) მარჯვენა ხელით ტრიალით ამწევ მექანიზმის ტარისა **ტლანქად** მიიყვანება თარაზოს ბუშტი შუაგულ მდგომარეობაში.

გ) სამიზნო მოიყვანება შვეულხაზურ მდებარეობაში და მიმართვის მთელს განმავლობაში ეს მდებარეობა შემოწმდება და შესწორდება.

დ) პანორამის თავზე **ტლანქად** მიიმართება ამნარეკელი მიმართვის წერტილზე და თან სათანა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დო განკარგულება ეძლევა სამართით მოქმედებისათვის.

ე) პანორამის **ოკულარში** (სათვალეში) გახედვით **სისწორით** მიიყენება ამნარეკლს შვეულხაზური გაკაწრული მიმართვის წერტილთან, მარცხენა ხელის მოქმედებით მოსატრიალებელ მექანიზმზე.

შენიშვნა. თუ მიმართვის წერტილი დაშორებულია ზარბაზანზე დაახლოვებით 100°-ის და ნაკლებ მანძილზე, მაშინ მოსატრიალებელი მექანიზმის ხმარება არ შეიძლება.

ვ) სისწორით მოიყვანება თარაზოს ბუშტი შუაგულ მდებარეობაში ასაწევ-დასაწავ მექანიზმზე მარჯვენა ხელის მოქმედებით.

შენიშვნა 1: ამნარეკელი შეიძლება იდგეს ყოველნაირ დაყოფილობაზე, ოღონდ მიმართვის წერტილი იმყოფებოდეს ამნარეკელის ხედვის ფარგალში, ამიტომ მიმართვის წინ შეიძლება იგი აიწიოს ან დაიწიოს.

შენიშვნა 2: უკეთუ პანორამის ოპტიური ნაწილი გაფუჭდა, მაშინ ტატნობრივი მიმართვა იწარმოვება დამ-

ხმარე საჭვრეტ მოწყობილობით, რომელიც მიმაგრებულია პანორამის თავის მარჯვნივ; ამ დროს თვალი უნდა იყო რაც შეიძლება ახლო (თითქმის მიკრული), სათვალე პლაკის ჭუჭრუტანასთან. მიმართვა იმაში მდგომარეობს, რომ მიმართვის წერტილი სასაგნო საჭვრეტის ორ მავთულის შორის შუა ადგილას მოთავსდება.

პირდაპირი (გაუწილადებული).

ა) დაყენდება ამნარეკელი 0-ზედ, კუთხსაზომი —30—00 ან ნაგანკარგულებ რიცხვზე.

ბ) აიწიოს ფარის სარკმლის დარაბა.

გ) პანორამის თავზე **ტლანქად** მიიმართება ამნარაკელი მიზანში და თან ეძლევა სათანადო ჩვენება სამართით მოქმედებისარვის.

შენიშვნა. თავდაპირველი მიმართულება მიზანში სამართის ნომერმა უნდა მისცეს ზარბაზნის სხეულით, მიმართველის ჩვენების დაუცდელად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დ) მოიყვანება სამიზნო შვეულხაზებრივ მდგომარეობაში და ამ მდგომარეობას შეამოწმებენ და შეასწორებენ მიმართვის მთელ დროის განმავლობაში;

ე) პანორამის ოკულარში გახედვით სისწორით მიიმართება მიზანში გადაჭდობილი მარჯვენა ხელის მოქმედებით ასაწევ-დასაწევ მექანიზმზე, ხოლო მარცხენათი—მოსატრიალებელზე.

მიმართულ ზარბაზნის აღნიშვნა.

მიმართვის წერტილი გვაქს.

ა) პანორამის ოკულარში გახედვით ზუზდება ამნარეკელის შვეულხაზი და აღვნიშვნის წერტილი იმ გვარივე მოქმედებით, როგორც კუთხსაზომის დაყენების დროს იყო ჯერ ამნარეკელის მოტრიალებით, შემდეგ-კი დალაბ.ს ტრიალით.

ბ) სისწორით მოიყვანება თარაზოს ბუშტი შუაგულ მდებარეობაში თარაზოს დალაბას ტრიალით.

გ) ხმა-მაღლა ამოიკითხება კუთხსაზომში და

თარაზოში გამოსული დაყენებანი.

ალნიშვნის წერტილი არ არის.

ა) ზარბაზნის უკან დაისმება საყე, შეძლებისადაგვარად, მისგან დაშორებით (არა უახლოეს 20 ნაბიჯისა);

ბ) ალნიშნება საყეზედ.

შენიშვნა: როცა ალნიშვნის წერტილები 100 საჟ. ახლოა, მაშინ ალნიშნოს ადგილი საომარ თვლების მდებარეობისა.

პანორამის ჩადება მიზნის (კორას) საპანორამო ბუდეში და ამოღება.

ჩ ა დ ე ბ ა.

ა) მოეშვება ბულლური მოსაჭერი საპანარამო ბუდის მისქელებულში.

ბ) მარჯვენა ხელის მოეკიდება პანორამის შუაგულ ნაწილს;

გ) მარცხენა ხელით მთლად მოატრიალონ ბუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დის ენა საათის ისრის მოძრაობის წინაუკმოდ.

დ) ჩაიდება პანორამა მიზნის საპონარამო ბუდეში ბაქნით მიქელებულის ბუდეში;

ე) აიშვება ენა;

ვ) მოუჭირება მთლად ბულღის საჭერი საპონარამო ბუდის მისქელებული, ძალიან მოჭერა არ უნდა.

შენიშვნა: პანორამის ჩადების დროს კარგია იგი სუბუქათ მოტრიალდეს ხელით ისე, რომ იმისი ბაქანი მისქელებულის ბუდეში შესვლისას ეკვროდეს მის მარცხენა მხარეს, ვიდრე მტკეცი მოეჭირებოდეს.

ამოღება

ა) მოეშვება ბულღური მტკეცი საპონარამო ბუდის მისქელებულში.

ბ) მარჯვენა ხელი მოეკიდება პანორამის შუაგულ ნაწილს.

გ)მარცხენა ხელით მთლად (უარამდე) მიტრიალდება ბუდის ენა საათის ისრის მოძრაობის წინაუკმოდ.

დ) როცა ენის მოტრიალებით პანორამა ამო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

იწევს, მარჯვენა ხელით ფრთხილად ამოიღება იგი ბუდიდგან, ისე რომ იმის ოკულარის მილი ბუდის გახიდულს არ მოხვდეს;

ე) დაეშვება ენა;

პანორამის ჩალაგება კუთვნილების ყუთში.

ა) მარჯვენა ხელი მოეკიდება პანორამის შუაგულს და ფრთხილად ჩაიდება თავის ბუდეში;

ბ) კავბურღი შეიხვევა;

გ) დაეხურება ყუთის თავი, დაირაზება და ჩაეყრება ჭინჭილაქი.

სავაზნე ყუთების ამოლაგება და ჩალაგება წინალიდან და ეუმბარის ყუთებიდან.

ამოლაგება დაიწყება გარეთა ყუთებიდან, ჩაწყობა კი შიგნითა ყუთიდან.

ამოლაგება.

ა) გაიხსნება მოსაჭერი თასმები;

ბ) ერთმა ან ორმა კაცმა ყუთს გვერდის რკალებს ჩასჭიდოს ხელები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გ) და ოდნავი დანძრევით ამოიღება ზეიით.

ჩ ა ლ ა ვ ე ბ ა.

ა) მოჰკიდეთ ხელი ყუთს გვერდის რკალებში.
ბ) დაზნექეთ ქვედა რგალი ყუთის ძირზე.
გ) ჩაუშვით, კლიტით გარეთ, თავის ბუდეში, დაყრობამდეს.
დ) შეკარით მოსაჭერი თასმები.

ხავაზნე ყუთის გაღება და დაკეტვა.

გ ა ღ ე ბ ა.

ა) სიბტყეზე დადებულ ყუთს მოეხსნება კლიტე.
ბ) გადაიწევა ბალთა.
გ) იხდება სახურავი და ყუთს ქვეშ მოექცევა.

დ ა კ ე ტ ვ ა.

ა) დაიდგმება ყუთი ზეზე.
ბ) დაეხურება სახურავი.
გ) დაიკეტება ბალთა და კლიტე.

შენიშვნა: ცარიელი ყუთები მასრებითა და

ეროვნული ბიბლიოთეკა

უტყვიო ვაზნებით შეიძლება დაიკეტონ დაწვენილად.

ვაზნის ამოღება ყუთიდან, იმისი დაჭერა და ყუთში ჩადება.

ა მ ო ღ ე ბ ა.

ა) მარჯვენა ხელით იჭირება ახდილი, ხოლო გადაუწეველი სახურავი, მარცხენა ხელი მოეკიდება ქვედა რგალს, სიბტყეზე დადებული ყუთი და ნელა შეინძრევა ყუთის ძირის ნაწილი.

ბ) გადაიხდება სახურავი, აიღება ვაზნა მარჯვენა ხელი მასრის საკიდურით.

გ) გამოძვრება ვაზნა, მარცხენა ხელი შუაგულთან შეეშველება, მარჯვენათი კი ძირი იჭირება.

შენიშვნა: ვაზნის გაჭედვის დროს ამოსაჩიჩქნელის მოკლე მოხრილი მხარი ჩაეყრება ვაზნის საკიდურის და ყუთის შუა ცარიელ ადგილში, ამოსაჩიქნელის გრძელ მხარზე დაწოლით გამოიწევა ვაზნა.

დ ა ვ ე რ ა.

ვაზნა მასრის ძირით ოდნავ წაწეულ მუხლს დაებჯინება, მარცხენა ხელით დაიჭირება ყუმბარა შუა ადგილას.

შედეგა.

ა) მილი კარტეჩზე დაყენდება.

ბ) ყუთი ზეზელია იდგმება.

გ) მასრის საკიდურზე ხელმოკიდებით ჩაეშვება ვაზნა ყუთში შვეულ ხაზად ისე, რომ თანგის ბულლით უპირდაპირონ ფარლიატს პლაკებს შუა დადგნობამდის.

შენიშვნა: ცარიელა მასრები და უტყვიო ვაზნები შეიძლება შეიწყოს დაწვენილ ყუთში.

მილის მოამზადება.

ა) 22 წამიანისა.

ა) გამოიხსნება ღილის ქვეშიდგან ყულფი.

ბ) ხელის შემოტრიალებით მარჯვნივ მოეცლება მავთული და ხუფის ნაპირის შეჭყლეტილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გ) გადაიგდება მილიდგან ხუფი.

დ) თეფშის მაჩვენებლით კაცისკენ მიტრიალდება ვაზნა.

ე) მარჯვენა ხელის ორი თითი მოავლება მოძრავ სამანძილე რგოლის ბაქნებზე.

ვ) ტრიალდება სამანძილე რგოლი, სანამ ნაგანკარგულები დაყოფილება არ გაჩერდება თეფშის მაჩვენებელის პირდაპირ.

შენიშვნა: თუ სამანძილე რგოლი ხელით ვერ მოტრიალდა, მაშინ ჩაეყრება გასაღების ტუჩები რგოლის ჩაღრმავებულში და ისე მოტრიალდება.

ბ) 34 წამიანის.

ა) მოეგლიჯება მავთული.

ბ) მოებულღება მილს ხუფი.

გ) დაედება გასაღები კორძით მილის თავში არსებულ ნახვრეტს და მოსაკიდით სადგნობზე სამანძილე ნაწილში.

დ) გასაღები ტარით ტრიალდება, სანამ ნაგანკარგულები დაყოფილობა არ გაჩერდება თეფშის მაჩვენებლის პირდაპირ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შენიშვნა 1. კარტეჩით სროლის დროს ხუფი არ უნდა მოიგლიჯოს.

შენიშვნა 2. მზადდება ავტომატიური გასაღები 34 წამიან მილის დასაყენებლად.

ვაზნის შედება ქვემეხის ღრუში და გამოღება.

შედება.

ა) მარჯვენა ხელი მოევლება ვაზნას ყუმბარის შუაზე, მარცხენა კი მასრის ძირზე.

ბ) დაეყრდნოს ყუმბარის შუაგულით ჩანჩახურის ბუდის ქვემო გვერდზე.

გ) მიიყვანება ვაზნა სავაზნეში მარცხენა ხელით იმდენად, რომ მასრის ძირი არ იყოს გადმოსული საფალიე ნამორზე.

გამოღება.

ა) გაიღება კლიტე, მარცხენა ხელი მოევლება გამოსაღებ ვაზნის მასრის ძირს, ფრთხილად გამოიღება იგი ქვემეხის ღრუდან და ამავე დროს მარჯვენა ხელი ამოეღება ყუმბარას ქვემოდგან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ) დაიდგმება ვაზნა მარცხენა ფეხზე და მარცხენა ხელით იჭირება ყუმბარა.

კლიტის გაღება და დახურვა.

გაღება.

ა) მარჯვენა ხელი მოევლება (ბოქლომის) კლიტის სახელურს.

ბ) დაიწოლება ძირს, ვიდრე სახელურის კბილი მოსცილდებოდეს თხემის ბოლოს.

გ) თავისკენ სახელურის მოწევით მობრუნდება ჩარჩო და ჩანჩახური, ვიდრე ჩარჩო ქუროს მიებჯინებოდეს.

შენიშვნა 1. პირველ გატენის დროს და აწევის შემდეგ უსათუოდ უნდა ჩაიწიოს საფრთხილო, თითის დაჭირებით;

შენიშვნა 2. ვარჯიშობის და უტყვიოდ სროლის დროს საფრთხილო გამოიღება.

დახურვა.

ტარის თანაბარი მოძრაობით თავისიდგან ჩარჩო და ჩანჩახური მთლად მოტრიალდება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ) ტარზე დაწოლით გადაებმება იგი თხემის ბოლოს.

გ) გაეშვება ტარი.

შენიშვნა. მჭდროდ შემავალ მასრაზე რტყმევა არ შეიძლება.

გასროლის მოხდენა.

სროლა გამოსაშლელ ზონარის საშუალებით.

ა) მესაკეტე გადასცემს მიმმართველს ზონარის ბოლოს.

ბ) მიმმართველმა გამოუკვრელად, დინჯად უნდა გამოსწიოს ზონარი.

გ) გავარდნის შემდეგ ზონარს მაშინვე უშვებს ხელიდგან.

გამოსაშლელ მექანიზმის საშუალებით.

ა) მარჯვენა ხელით დინჯად გამოსწიონ გამოსაშლელი მექანიზმის ტარი, სანამ ფეხი არ განშორდება მაღალფეხს.

ბ) გაიშვება ტარი.

შენიშვნა. თუ აიწვება ნემსას დაცემინება კიდევ ორჯელ ხდება.

სახნისის გადაგდება და გადმოგდება.

გადაგდება.

ა) გამტენი ასწევს ხორთუმს;

ბ) მესამართე გამოსწევს საცობს ტარით და მოაბრუნებს ღერძს საათის ისრის მოძრაობის მიმართულებით, სანამ საგორავის ქიმი მიებჯინებოდეს პლაკას, სახნისის კავის და საგორავის მოსაკიდის ერთმანეთისაგან დასაშორებლად.

გ) მოტრიალდება საგორავი ისევ უკან, სანამ საგორავის ქიმი მიებჯინებოდეს პლაკას.

დ) მოტრიალდება სახნისი ღერძზე ჭოგრის ბუდეებით წინ, სანამ არ მიებჯინება ზამთრის სახნისს;

ე) მობრუნდება ღერძი საათის ისრის მოძრაობის მიმართულებით, რათა მოსაკიდი შეუერთდეს ჭოგრის ბუდეებს.

ვ) გამოიწევა საცობი და შეიდება ბუდეში.

ზ) გამტენელი დაუშვებს ხორთუმი.

გადმოგდება.

ა) გამტენელი ასწევს ხორთუმს,

ბ) მესამართე გამოსწევს საცობის

ტარით თავისკენ და მოატრიალებს საგორავს საათის ისრის მოძრაობის წინაუკმოდ, სანამ პლაკას მიებჯინებოდეს ჭოგრის ბუდეებთან დასაშორებლად.

გ) მოტრიალდება საგორავი ისევ უკან სანამ ქიმი პლაკას მიებჯინებოდეს;

დ) დგამის ქვეშ შეტრიალდება სახნისი ჭოგრის ბუდეებით ხორთუმისაკენ.

ე) მიტრიალდება ტარი ძირს ისე, რომ საცობი ჩახტეს თავის ბუდეში, მასთან საგორავის მოსაკიდი მოედება სახნისის კავს.

ვ) გამტენი დაუშვებს ხორთუმს.

სამართის შედება და გამოღება.

შედება.

ა) სამართის საგზაო ჭოგრის კავბურღი გადაიწევა ტარით საშუბლე ნაწილისაკენ;

ბ) მაღლა აიწევა ჭოგრის რაზა;

გ) ჭოგრიდან ამოიღება სამართი.

დ) ჩაირჭობა იგი, წვეტანებით განზე, ხორთუმის ფურცელზე მოთავსებულ ჭოგრის ბუდეში კავბურღის ტარით წინ მოტრიალებულ მდგომარეობის დროს.

ე) მოტრიალდება კავბურლა ტარით უკან;

ამოღება

ა) მიტრიალდება კავბურლა ტარით წინ;

ბ) ჭოგრის ბუდიდან ამოიღება სამართი;

გ) ჩაიდება საგზაო ჭოგრში ისე, რომ წინა ჭოგრის რაზა გადახსნილი იყოს;

დ) ჩაიყრება რაზა;

ე) წინა ჭოგრის კავბურლი, სანამ საცობი თავის ბუდეში შეეიდოდეს;

სამუხლეების გადმოკეცა და შეკეცა.

გადმოკეცა.

ა) მოიშვება თასმა;

ბ) გადმოიკეცება ორივე სამუხლე;

შეკეცა.

ა) შეიკეცება ორივე სამუხლე ხოჭოჭის ზემოდან;

ბ) მოიჭირება თასმა;

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამაგრება სალაშქროდ და მოშვება.

დამაგრება.

ა) დაყენდება ლაფეტი შუაგულ მდებარეობაში და ჩამოიცმება მქანი მოსატრიბლებელ მექანიზმის სალაშქრო კორაქზე.

ბ) გადმოიწევა სალაშქრო დამაგრების შესადგამი ბუდიდან და კორაქზე ტრიალდება ტარით 180°-ზე;

გ) დაეშვება საფალიე ნაწილი უარამდე;

დ) მოტრიალდება კორაქზე ისევ უკან იქამდის, სანამ საცობი თავის ბუდეში ჩახტებოდეს;

ე) მოიშვება ტარი;

მოშვება.

ა) გამოიწევა სალაშქრო დამაგრების საცობი და მოტრიალდება კორაქი 180°-ზე;

ბ) აიწევა საფალიე ნაწილი;

გ) მოსატრიალებელ მექანიზმის მქანი დაყენდება საომარ მდგომარეობაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ღერძის აწევა-დაწევა.

ა) ლაფეტი მოიყვანება შუაგულ მდებარეობაში;

ბ) ამოიღება პანორამა;

გ) მქანით ამოიბურღება ჭოგრზე მოთავსებულ სამიზნოს სამაქოვეს დამაგრება;

დ) დაიხრება სამიზნოს კოლოფი სამაქოვესთან ერთად, ქუროზე მიბჯინებამდის;

ე) მოიხსნება მოსატრიალებელ მექანიზმის მქანი საგორავიდან;

ვ) გადაიკეცება სამუხლეები ლაშქრულად ან მთლად მოიხსნება;

ზ) აიღებენ მიმმართველი მარცხენა და მელაფეტე მარჯვენა დამხმარე ბერკეტებს და დგებიან ლაფეტის ორივე მხრით, პირით მინდვრისაკენ;

აწევის დროს.

ა) მჭიდროთ დაისმება ბერკეტები რგალებით უკან, ღერძის შესადგამის შვეულ ხაზურ თითებზედ.

ბ) ამავე დროს წაიწევა ბერკეტების ზემოთა

წვერები ლაფეტისაკენ;

გ) როცა ღერძის საცობის მუშტები ღერძის მწკეპრის კორძოვან ჩანგლებიდან გამოვა, დააწვებიან ბერკეტის საფუძე ბოლოებს ძირს, ღერძის ბოლო ნაწილების მწკეპრში ტრიალით და ასწევენ ლაფეტის საშუბლე ნაწილს, სანამ საცობის მუშტები არ დაუპირდაპირდებიან მწკეპრის შუალა კორძების ჩანგლებს;

დ) ამავე დროს მესამართე ასწევს ხორთუმს;

ე) ღერძის საცობის მუშტები ჩაიდება მწკეპრის შუალა კორძების ჩანგლებში, ბერკეტების ბოლოების გარეთკენ მიწოლით.

ვ) მიმართველი დაუშვებს ხორთუმს.

ზ) ამოიცმება ბერკეტები თითებიდან;

ჰ) მოტრიალდებიან ისინი რკალებით წინ;

თ) ჩამოეცმებიან საცობის წინა თითებს;

ი) მიმმართველი მისწევს ბერკეტის ბოლოს დაზგისაგან, სანამ საცობის მუშტი არ გამოვა კორძის ჩანგლებიდან და თან მაგრა უჭირავს ბერკეტი უკან გამოწევით, რის შემდეგ:

კ) მესაკეტე მოსწევს ლაფეტიდგან ბერკეტის ბოლოს, სანამ საცობის მუშტი არ გამოვა კორძის ჩანგლებიდან;

ლ) ორთავენი დააწვებიან ბერკეტების ბოლოებს ძირს და ასწევენ შუბლის ნაწილს, სანამ ღერძის საცობის მუშტები არ დაუბირდაპირდება ღერძის მწკეპრის უკანა კორძების ჩანგლებს;

მ) ჩაიდება საცობის მუშტები კორძების ჩანგლებში ბერკეტების ბოლოების მიწოლით ლაფეტისკენ.

დაწევის დროს.

ა) მჭიდროთ დაისმება ბერკეტები რგალებით ზევითკენ ღერძის საცობის ტატნობრივ თითებზე;

ბ) ამავე დროს გაიწევა ლაფეტიდგან ბერკეტების ზევითა ბოლოები.

გ) როცა საცობის მუშტები გამოვლენ ჩანგლებიდან, აიწევა ბერკეტების საფუძე ბოლოები და თან ტრიალდება ღერძის ბოლოს ნაწილები მწკეპრში, დაეშვება ლაფეტის შუბლის ნაწილი, სანამ მუშტები არ დაუპირდაპირდებიან შუალა კორძების ჩანგლებს;

დ) ჩაესხმება მუშტები ჩანგლებში, ბერკეტების ბოლოებზე მიწოლით დაზგისკენ;

ე) მოიხსნება ბერკეტები თითებიდგან;

ვ) მესამართე ასწევს ხორთუმს;

ზ) ბერკეტები მოტრიალდება რგალებით უკან;

ჰ) ჩამოეცმებიან ისინი საცობის უკანა თითებს;

თ) მიმმართველი მისწევს ბერკეტის ბოლოლაფეტისაკენ, სანამ საცობის მუშტი არ გამოვა ჩანგლიდან და მაგრად უჭირავს ბერკეტი ძირს დაწოლით, რის შემდეგ:

ი) მესაკეტე მისწევს ბერკეტის ბოლოს ლაფეტისკენ, სანამ საცობის მუშტი არ გამოვა ჩანგლიდან;

კ) ორივე იმაგრებს ბერკეტებს ბოლოებით ღერძის ბოლო ნაწილების მოტრიალებას, სანამ მუშტები არ დაუპირდაპირდება წინა კორძების ჩანგლებს;

ლ) ამასთანავე ერთად მესამართე დაუშვებს ხორთუმს;

მ) ჩაისმება მუშტები ჩანგლებში, ბერკეტების ბოლოებზე მიწოლით ლაფეტიდგან გარეთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საზოგადო მუხლები აწევის და დაწევის გათავების შემდეგ.

ა) მოიხსნება ბერკეტები;

ბ) სამიზნო კოლოფი დაყენდება საომარ მდგომარეობაში;

გ) დამაგრდება იგი საცობით;

დ) მოსატრიალებელი მექანიზმის მჭანი ყენდება;

ე) სამუხლეები გადიკეცება ან ჩაიცმება;

ვ) შეიდება პანორამა;

აწევა და დაწევა ფარის ზედა და ქვედა ფურცლებისა.

აწევა.

ა) მესაკეტე მოაბრუნებს კავბურღას;

ბ) ჩამოეშვება ქვედა ფურცლები;

გ) მოიხსნება თასმა;

დ) აიწევა ზემოთა ფარი;

ე) საცობის გამოწევით მოტრიალდება კავბურღი მარჯვენა ანჯამისა, მიმმართველმა კი ატრიალებს მარცხენა კავბურღას ანჯამას

ეროვნული ბიბლიოთეკა

მანამ მქანს არ მიებჯინება;

ვ) ორივე კავბურღის საცობები ჩაიშვება თავის ბუდეებში;

დაწევა.

ა) მიმმართველი გამოსწევს საცობს, მოაბრუნებს კავბურღას მარცხენა ანჯამისას, მესაკეტე კი მარჯვენისას;

ბ) მიეშვება საცობები;

გ) მესაკეტე გადაადებს ზემო ფურცელს;

დ) მოიჭირება თასმა;

ე) აიწევა ქვედა ფურცელი;

ვ) მოტრიალდება კავბურღი;

ხოჭიჭის ფარის დადგმა და მოხსნა.

დადგმა.

ა) გადიწევა ფარის სალაშქრო დამაგრების კავბურღი;

ბ) ამოიღება კოლოფიდან ფარი;

გ) ხოჭოჭის წინა ჭოგრის ბუდეში ჩაირჭობა ფარის ღერო;

დ) დაიწოლება ფარის უკანა ჭოგრზე ფარის ენის ჭოგრის კბილთან გადასაბმელად.

მოხსნა.

ა) გამოიწევა ძირს ენის მშვილდი (აშკა).

ბ) დაიწევა ფარის უკანა ნაწილი ზარბაზნის ტანიდგან;

გ) გამოიღება ღეროები თავის ბუდეებიდან პატარა ფარის ზევით აწევით;

დ) ჩაიდება პატარა ფარი კოლოფში;

ე) ჩატრიალდება კავბურღი.

ზარბაზნის გაწმენდა.

ა) მოეხდება ხალთა საქლეშის ზუმბის ჩოთქს;

ბ) დაუდგება კაცი ზარბაზანს მარცხენა მხრიდან, მოჰკიდებს საქლეშს საწმენდიანად ბოლოში ხელს შესდებს მას ჩოთქით სავაზნეში;

გ) ლონიერის მოძრაობით ორჯელ გაატარებს ჩოტქს ტუჩამდინ და უკან;

ეროვნული ბიბლიოთეკა

სროლა უტყვიო ვაზნებით.

ივანკარგულება;

უტყვიო ვაზნით!

გატენვა იმნაირადვე სრულდება, როგორც საომარ ვაზნით სროლის დროს;

ვაზნის მიყვანა ძალის ხმარებით საჭირო არ არის;

ვაზნის შედების წინ დაათვალიერდება სავაზნე და თუ შიგ ქსოვილის დაუწველი ნაწილები აღმოჩნდება № 3 ზარბაზანს სწმენდავს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დანართი II.

გაჭედილ ყუმბარის გამოღების წესი ზარბაზნიდან.

გამოიღება მასრა ზარბაზნიდან და მუხტი კი შემდეგის საშვალებით გამოძვრება:

ზარბაზნის სავაზნეში სდებენ კარგა მოზდილს ძონძს და შემდეგ ჰკეტენ საკეტს.

ზარბაზნის ღრუში ტუჩიდან ფრთხილად შეჰყავთ საქლეში, რომლის თავსაც აქვს ამოჭრილი ყუმბარის წვეტიან თავის ყალიბი და ტუჩიდან გამოჩრილ ზუმბის ბოლოს მიაბავენ სიგრძით სამ საჟნიან თოკის შუანაწილს; ამთოკის ბოლოებს აბამენ ზარბაზნის შესაფერ თვლების სოლებს. ზარბაზნის დინჯის წაგორებით წინ, სჭიმავენ ამ თოკებს და ამ გზით დააჭერენ საქლეშს ყუმბარის თავზე. გამოგდებული ყუმბარა ებჯინება ძირით ქვეშ-ამოდებულ ძონძს და ამნაირად არ ერტყმება მძაფრად. ამის შემდეგ ამოიღება ზარბაზნიდან საქლეში, გაიღება საკეტი და ზარბაზნიდან ყუმბარის ფრთხილად გამოღებით, ჩაიდება იგი ერთ-ერთ ცარიელ ყუთში გატენილ მასრისაგან ცალკე. მასრის ტუჩი უნდა მჭიდროთ დაიცოს ძონძის ნახევით, რათა ზიდვის დროს დენთი არ გადმოიყაროს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დანართი III.

განკარგულებათა მაგალითები.

1) კუთხსაზომის და თარაზოს დაყენების განკარგულებანი **ყოველთვის მიიცემა ორის რიცხვით:** პირველი ეკუთვნის პანორამის რგოლს ან თარაზოს რკალს, მეორე-კი პანორამის ან თარაზოს დალაბას.

2) პანორამის ან თარაზოს დალაბის შესახები რიცხვი იძლევა **ყოველთვის ორის ციფრით** (გარდა დაყენებისა 0-ზე).

მაგალითად:

კუთხსაზომი.

35—60 ოცდათხუთმეტ—სამოცი.

40—05 ორმოცი—ნოლ ხუთი.

8—25 რვა ოცდახუთი.

0—90 ნოლი ოთხმოცდაათი.

19— 0 ცხრამეტი ნოლი.

უფრო მარჯვნივ.

6 —0 ექვსი—ნოლი.
0—75 ნოლი—სამოცდათხუთმეტი.

უფრო მარცხნივ.

2—30 ორი—ოცდაათი.

გაიყოს სროლა მარჯვენიდან:

0—05 ნოლი—ნოლი ხუთი.

შეუერთდეს სროლა მარცხენას:

0—25 ნოლი—ოცდახუთი.

თარაზო:

28—70 ოცდარვა—სამოცდაათი.
30—05 ოცდაათი—ნოლი ხუთი.

თარაზო უფრო მეტი.

0—30 ნოლი—ოცდაათი.

თარაზო უფრო ნაკლებ:

0—08 ნოლი—ნოლი რვა.

1—10 ერთი—ათი.

1— 0 ერთი—ნოლი:

3) სამიზნოს და მილის დასაყენებლად ეგანკარგულება.

ა) 50-მდე (განსაკუთრებით) და 100-დან (ზევით)—რიცხვითი წესით.

მაგალითად:

20—ოცი

35—ოცდათხუთმეტი

49—ორმოცდაცხრა

100—ასი

115—ასთხუთმეტი

ბ) 60-დან 100-მდე (განსაკუთ.) — ციფრთა წესით:

მაგალითად:

50—ხუთი—ნოლი

65—ექვსი—ხუთი.

99—ცხრა—ცხრა.

დანართი IV

უნაგირების დამზადება ცხენმცარებელის მიერ.

ა) დახასაპალნებლად.

1) მოიხსნება მაზარა წინა ბარგულადგან და დაიხვევა.

2) გაიხსნება საცობის საპალნის თასმები და თავისუფლად ჩამოკიდებული რჩებიან ლულის, ქუროს, ხოჭიჭს და ხორთუმის უნაგირებზე და შუბლის, კოლოფისა და ყველა თვლების უნაგირებზე კიდევ საბარგულე მოწყობილების გარედგან შეწყობილნი.

3) გაიხსნება დამატებითი საბარგულე თასმები შუბლისა და კოლოფის უნაგირებისა,

4) ჩამოეცშება სასაპალნე მოწყობილობა ყველა უნაგირებს.

5) მომზადდეს შესაკრავი თასმები ოწინარისთვის, დიდ კეტისათვის და პატარა კეტებისთვის წინალის თვლების უნაგირზე.

6) მოეშვას მოსართავები (შუალა) ხორთუმის კოლოფის, კოლოფის, ყველა თვლების და უნაგირებისა.

7) აიწიოს უზანგები ყველა უნაგირებისა უზანგის თასმის დამოკლებით.

ბ) ცხენიან და თვლიან წესისთვის.

1) ჩამოეშვება უზანგები ძირს;

2) მოეჭირება შუალა მოსართავი, მოეშვება ნაპირისები.

3) ჩამოეხსმება ყველა უნაგირს სასეპალნო მოწყობილობალნი და ჩაიწყობა ტყავის ჩანთებში.

4) ჩაეწყობა შესაკრავი თასმები თვლების უნაგირებისა.

5) შეჰკეცენ დამატებითი სასაპალნე თასმებს იქ, სადაც ისინი მოშვებული იყო.

6) დაეწყობა საცობის საპალნის თასმები, სასაპალნო მოწყობილობებზედ.

7) დაეკვრება მაზარა.

სალაშქრო მოძრაობა სამთო ზარბაზნისა.

თანამდებობის პირთა მოვალეობა.

საერთო წესები.

სალაშქრო წესში ზარბაზანი მოძრაობს ან თვლებზედ, ან აკიდებული.

მოძრაობის ჩვეულებრივი წესი — თვლებზეა.

სასაპალნე წესი იხმარება:

1) ვიწრო ბილიკებით მოძრაობის დროს, როდესაც თვლებზედ სიარული შეუძლებელია.

2) ციცაბო და გრძელ აღმართზე,

3) კიბიან აღმართებზე.

4) ტყით და წვრილიანით უგზოოდ მოძრაობის დროს.

5) როცა არტილერიის ისეთი ნაწილი გაფუჭდება, ურემლებოდაც თვლებზე მოძრაობა შეუძლებელია.

თვლიან-საპალნიან წესი იხმარება:

1) ციცაბო და მოკლე აღმართებზე, როცა არ

ეროვნული ბიბლიოთეკა

არის საბუთი საპალნეზედ სავსებით გადასვლისათვის: როცა აღმართის დაძლევა შეიძლება შემბულობით, მაგრამ შემცირებულ ტვირთიანით.

2) დიდ ტალახში და დიდ თოვლში მოძრაობის დროს, შებმული ცხენების შესამსუბუქებლად.

3) ფონში გასვლის დროს.

4) არხებზედ გადასვლის დროს თვლებისა და ლაფეტის გაფრთხილებისათვის.

5) კოპიჭნარიან ან მსხვილ ქვებიან გზაზე და გაკაფულ ტყის ჯირკვებზე მოძრაობის დროს, რათა იხსნან ლაფეტი და კოლოფი მიჯახებებისაგან.

მოძრაობა თვლებზე.

ზარბაზნის ნაცვალს მიჰყავს ზარბაზანი: ზარბაზანი მისდევს მას, საპალნეები—ზარბაზანს.

თუ ადგილის პიროობების გამო ზარბაზნის ცხენმტართ ოროლთ სიარული არ შეუძლიათ, მაშინ ზარბაზანს ერთმწკრივად მისდევენ.

ფერდობებზედ, ფლატეს ქვემოდ ვიწრო გზებით სიარულის დროს-ნომრები სქელი თასმების (ჭაპნების) საშვალებით იმაგრებენ ზარბაზანს და წინალს და აძლევენ მათ სწორ მდებარეობას. ამ შემთხვევაში ზარბაზნის ფარი უნდა დასაპალნებული იყოს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავქვეზე ნომრები იმაგრებენ ლაფეტს სქელი თასმებით (ჭაპნებით).

ზარბაზნის ალმართზე და თავქვებზე გაჩერების დროს № № 1 და 2 ქვეშ უწყობენ ზარბაზნის თვლებს ქვებს ან საგორავებს და კეტებს, №№ 8 და 9 მუხტის ყუთის თვლების ქვეშ, თვითეული მათგანი თავის მხრიდან.

მოკლე მისახვევი და აგრეთვე თხრილებზე და ორმოებზე გადასვლის დროს ზარბაზანს წინალიდან გადმოიღებენ.

თუ საჭიროა, საყევრები გამოიშვება დიდკეტიანად, რომელსაც ზარბაზანთან იჭერს № 7, ყუმბარის ყუთში კი — № 8.

მოსახვევში წინალს ცალკე მოატრიალებენ და ზარბაზანს ცალკე, უკანასკნელს მოატრიალებენ ნომრები.

ისევე იქცევიან ციცაბო და მოკლე თავქვეებზე.

წინალიდან ჩამოღებულ ზარბაზნის რუვში ჩარჩენის შემთხვევაში გამოშვებულ წინა და შუა საყევრები მიებმებიან დიდი კეტით ხორთუმზე, რომელსაც იჭერს ორი ნომერი ცხენისა და ნომრების მეცადინეობით, თვლებზე მიწოლით, ზარბაზანი ამოაქვთ.

ასევე იქცევიან ტალახში, ან ჭაობში ზარბაზნის დაფლობის დროს, ამ დროს კეტს ზედ ხორთუმზე კი არ აბავენ, არამედ საძირის საწევებით ხორთუმის რგოლებს, რაც საშუალებას იძლევა ცხენები ზარბაზანზე მოშორებით დავაყენოთ.

დიდ თოვლში მოძრაობის დროს საუკეთესო სამოძრავო საშუალებად ითვლება დაყენება ზარბაზნისა წინალით ერთ მარხილზე, ყუმბარის ყუთისა კი მეორეებზე; თუ მარხილი ხელთ არა აქვთ, მაშინ ხელ ქვეში მასალიდან აკეთებენ მარხილის ხელნეებს, რომლებზედაც აყენებენ ლაფეტს, წინალს და მუხტის ყუთს. ლულა, ფარი და სავაზნე ყუთები შეიძლება დაასაპალნონ.

თუ ცხენები ჩაფლობის გამო იქცევიან ზარბაზანს ხსნიან წინალიდან და ჯარისკაცები ხელებით ეწევიან.

ცხენების გასატარებლად მაგარ ადგილებს ამოირჩევენ.

ზარბაზნის ნაცვალი თვალყურს ადევნებს ნომრების და ცხენმტარებლების მუშაობას, რისთვისაც მას ნება ეძლევა ზარბაზნის გვერდზე სიარულისა და ცხენიდან ჩამოხდომისა, თუ ამას საჭიროება მოითხოვს.

შებმულ ცხენების მეტის-მეტი დაღლილობის დროს გამოსცვლიან ხოლმე თავისუფალ და მოახლოვებულ საპალნიან ცხენებით; როცა სავაზნე საპალნეების ცხენები დაიღლებიან, მაშინ სავაზნე ყუთებს ცხენებზე აჰკიდებენ.

ცხენების გამოსაცვლელად სარგებლობენ სვენების დროთი.

უგზოდ ან მეტად ცუდი გზით მოძრაობის დროს ზარბაზნის ნაცვალი წინ წასვლით და ხანდახან ზარბაზნისაგან დაშორებით საკმაო მანძილზე აარჩევს უფრო მარჯვე გზას.

საჭირო დროს ის უბრძანებს ნომრებს მოხსნან შესაფერი სასანგრე იარაღი და მოაშორონ დაბრკოლება.

მწყობრის შემადგენლობით (ნახევარ ბატარეის) ზარბაზნის მოძრაობის დროს ეს მოვალეობა ედება იმ ზარბაზნის ნაცვალს, რომელიც მიჰყვება თავში მყოფ ზარბაზანს, თუ სხვა ზომები არ იყო მიღებული.

ცხენმტარებელნი საპალნიან ცხენებით მისდევენ იმ წესების თანახმად, რომლებიც მოყვანილია იმ მუხლში, სადაც ლაპარაკია საპალნიან მოძრაობის შესახებ, ამასთანავე იმ გზებზე, რომლებსაც

დახრამული აქვს გვერდები, დასაშვებია თვითეული მხარე ცხენებისა ატარონ შესაფერ გვერდზე.

ზარბაზნის ნაცვალი მოვალეა მოახსენოს მწყობრის უფროსს თვითონ, ან ერთ-ერთ ცხენოსან ცხენმტარებელის საშუალებით ზარბაზნის ყველა დაბრკოლების და შეფერხების მიზეზებთა მოსასპობად მიღებულ ზომების შესახებ.

რაიმე მიზეზისა გამო ჩამორჩენილ საპალნეს უბრძანებენ დაეწიოს თავის ზარბაზანს დასასვენებელ ადგილზე, მოძრაობის დროს კი მისდიოს თავის მწყრობრის, ნახევარ ბატარეის უკანასკნელ საპალნეს.

თუ საჭიროება მოითხოვს სტოვებს ჩამორჩენილ საპალნესთან სადავის ცხენის ერთ-ერთ ცხენმტარებელს.

მწყობრის უფროსის ნებადართვით დასტურ აძლევს დაასაპალნონ მისი ცხენი ნომრების და ცხენმტარებელთა დახვეული ფარაჯებით და შეკაზმულობით და თვით აგებს პასუხს საპალნის წონასწორობაში. დაუშვებს, განსაკუთრებულ შემთხვევებში, შესხდნენ ყუთის ცხენებზე ავადმყოფი ნომრები და ცხენმტარებელნი.

შეძლებისამებრ ხშირად ამოწმებს ყველა ნომ-

რების, ცხენმტარებლების და საპალნეების ზარბაზანთან ყოფნას (განსაკუთრებით საჭიროა ღამით).

მოძრაობა საპალნეებით.

ზარბაზნის ნაცვალი მოვალეა:

ზარბაზნის საპალნეზე გადასვლის წინ დარწმუნდეს შეკაზმვის რიგიანობაში, უბრძანებს ცხენმტარებელთ მოუჭიროონ მოსართავები და შეამოწმონ მდებარეობა და გაჭიმულობა პალდუმისა და გულავშარასი (ხამუთის დროს—მხრის თასმისა);

დასაპალნების შემდეგ დარწმუნდეს საპალნეების სწორ მდებარეობაში და უნაგირებზე მათი საიმედოთ დამაგრებაში და შეკვრაში.

ატაროს ზარბაზანი, ამოარჩიოს და უჩვენოს გზა თავში მყოფ საპალნეს.

ხმით გააფრთხილოს ცხენმტარებელნი შეხვედრილ დაბრკოლების შესახებ და აჩვენოს მათ და ნომრებს საშუალება მის გადასალახად.

ძნელ დაბრკოლებათა დროს და განსაკუთრებით ღამე უნდა დასტოვოს საჭირო რიცხვი კოკონებისა გზის საჩვენებლად და საპალნეების საშველად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოძრაობის მთელ ხნის განმავლობაში თვალი ადევნოს საპალნეებს, თუ საჭიროა გადაჰყავს ნომრები საპალნიდან საპალნესთან, რათა შეიმაგრონ დაშლილი საპალნეები.

თვალი ადევნოს, რათა ზარბაზნების საპალნეებზე არავითარი საგანი არ დაადვან, გარდა დაწესებულისა.

რაიმე მიზეზის გამო შეგვიანებულ ზარბაზნის საპალნესთან სტოვებს უსათუოდ ნომერს.

თუ შეფერხება ზარბაზნის საპალნისა ბევრს დროს გასტანს და დასჭირდებათ გადატვირთვა საპალნისა, მოახსენოს ამის შესახებ მწყობრის უფროსს პირადათ ან ძახილით **„ესა და ეს ზარბაზანი ფერხდება“**.

ყუმბარის ყუთის შეფერხების შესახებ არ მოახსენებს, თუ ნავარაუდევი აქვს, რომ საპალნე არ დასცილებია მწყობრის (ბატარეის) საზღვრებს.

შეძლებისამებრ ხშირად შეამოწმოს, რომ ყველა საპალნეები, ცხენმტარებელნი და ნომრები თავთავის ალაგას იყვნენ (განსაკუთრებით ყურს უგდებს ღამე).

თვითეულ ჩამორჩენილ საპალნის ცხენმტარებელს უნდა მისცეს სავსებით მკაფიო ბრძანებულობა—ამა თუ იმ შემთხვევაში როგორ მოიქცეს და საით წავიდეს;

ხელმძღვანელობს ნომრების მუშაობას საპალნეებისთვის შველის აღმოჩენაში, მოითხოვოს, თუ საჭიროა, მწყობრის უფროსისაგან სხვა ზარბაზნის ნომრებსაც.

სვენების დროს, თუ დრო ნებას მისცემს, უბრძანოს ჩამოხადონ ზარბაზნის და ყუმბარის ყუთის საპალნეები მათ შეუგროვებლად, დიდ სვენებით დროს კი უბრძანოს მოუშვან მოსართავები.

ზარბაზნის ნაცვალი პასუხისმგებელია ყველა საპალნეების დაცვაში და ცხენების მთლად შენახვაში.

საომარ პოზიციაზე საპალნეებით გამოსვლის დროს მთელი ზრუნვა ზარბაზნის ნაცვლისა უნდა მიმართული იყოს ყველა საპალნეების მოყვანისა და ზარბაზნის სწრაფად შეკრებისკენ.

ცხენმცარებელნი მოვალენი არიან.

ზარბაზნისა და ყუთების დასაპალნების წინ მოამზადონ თავისი უნაგირები საპალნისათვის, ასჭიმონ სამკერდულები და დაათვალიერონ შეკაზმულობა.

მოძრაობის დროს იარონ ზარბაზნის ნაცვლის მიერ ნაჩვენებ გზით.

სწორე ადგილზე იარონ ცხენის თავის გას-

ეროვნული ბიბლიოთეკა

წვრივ; ცხენი უჭირავთ მარჯვენა ხელით სადავით ალვირიდან 1/4 არშინის მანძილზე, მარცხენა ხელში კი სადავის ბოლო.

ვიწრო ბილიკით მოგზაურობის დროს, ციცაბო ალმართზე და თავქვეზე ატარონ ცხენი გრძელი სადავით ისე, რომ ცხენმა თვითონ აირჩიოს ადგილი ფეხის დასადგმელათ;

არ ჩამორჩეს ცხენს და არ ჩამოეკიდოს სადავეზე, არამედ იაროს ცხენის თავის გასწვრივ ან იმის წინ და უშველოს ცხენს სადავით. გამოუცდელი ცხენმტარებელი უფრო დაუშლის, ვიდრე უშველის ცხენს.

დაბრკოლების გადალახვის დროს არ მისცეს ნება ცხენს გადახტომისა, არამედ წყნარად გადააბიჯებინოს ან გაატაროს ფსკერზე.

საფლობ ადგილებს შეძლებისამებრ მოუაროს, აირჩიოს უფრო მაგარი ნიადაგი იმ შემთხვევაში, თუ აუცილებლობა მოითხოვს საფლობ, ჭაობ ადგილებზე გავლას, იყოს განსაკუთრებით ფრთხილი და წინდახედული.

როგორც საზოგადო წესია, საპალნეებით გაუჩერებლივ უნდა იაროს.

იმ შემთხვევაში, თუ წინ მიმავალი საპალნე

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაჩერდა, უკანანი აუვლიან მას და გზას განაგრძობენ.

ციცაბო და დიდ აღმართზე სიარულის დროს არ მისცეს ცხენს ნება ფიცხად სიარულისა; ატაროს სწორედ, თუ საჭირო იქნება გადასცეს სადავე ნომრების ჯაჭვს; ამოსასუნთქებლად (ჰაიერის ამოსაღებად) ხშირად და მოკლე ხნით გააჩეროს, ამ დროს უნდა იდგეს სწორედ ყველა ფეხებით დაღმართის გარდი-გარდმო.

დაღმართზე მოძრაობის დროს დაიცვას იგივე წესები, მაგრამ უფრო ნაკლებჯერ უნდა გააჩეროს ცხენი დასასვენებლად.

აღმართზე და თავქვეზე სიარულის შესასუმბუქებლად ცხენი ატაროს მიხვევ-მოხვევით; ფართე მისახვევ-მოსახვევი მოკლეს ჯობია.

ციცაბო და მოლიპულ თაქვეზე ჩამოიყვანოს ცხენი ისე, რომ ცხენს უკანა ფეხები მოხრილი ჰქონდეს და ჩამოცურდებოდეს უკანა ბარკლებზე.

აღმართზე და თავქვეზე სიარულის დროს უფრო მეტი ყურადღება მიაქციოს სამკერდულებს და ყოველ აღმართის და თავქვის დასაწყისში ასჭიმოს იგინი. მოძრაობის დროს მოშვებული სამკერდულები ასჭიმოს, რისთვისაც უნდა ისარგებლოს დასასვენებლად გაჩერებით.

თავქვეზე მოძრაობის დროს ისე მაგრა უნდა ასჭიმოს პალდუმი, რომ არ უშლიდეს ცხენს სიარულს;

ალმართის დროს—ასჭიმოს მკერდის, ან მხრის თასმები.

დაბრკოლების დროს, როცა საჭიროა ნომრების შველა, მოუცადოს მათ;

თუ ცხენის გაჭირის, ავადმყოფობის, ან საპალნის დაშლის გამო შეუძლებელი ხდება საპალნეებთან ერთად სიარული, მაშინ მოახსენოს ამის შესახებ პირადათ, ან ვისიმე პირით ზარბაზნის ნაცვალს.

ყველა შემთხვევის გაჩერებაზედ და შესვენებაზე ეცადონ ცხენი დააყენონ სწორ ალაგზე, თუნდაც ამისათვის მოუხდეთ ცხენის ცოტათი გამოყვანა წყობილებიდან.

ყოველ დასვენების შემდეგ დაათვალიერონ საპალნე და მოსართავები. ცხენმტარებელი პასუხს აგებს საპალნისა, უნაგირისა, შეკაზმულობასა და ცხენის მთლიანობისთვის. ყოველივე ზრუნვა ლაშქრობაში ამისაკენ უნდა იყოს მიმართული.

ნომრები მოვალენი არიან:

მთელი იმ დროს განმავლობაში, სანამ ზარ-

ბაზანი და მუხტის ყუთი დასაპალნებულია თვალ-ყური ადევნოს თავის საპალნეს.

მოძრაობის დროს ისე მოიქცეს, რომ საპალნე არ გადაიხაროს.

თუ გადახრის მიზეზი საპალნეშია, ან უნაგირ-ში, მაშინ შეასწოროონ საპალნე და მოსართავები ცხენმტარებლებთან ერთად; წინააღმდეგ შემთხვე-ვაში დაიჭიროონ იმ მხრიდან, საითკენაც საპალნე იხრება.

შეიმაგროონ საპალნე მხოლოდ ნამდვილ საჭი-როებისა დაკვალად და არამც და არამც არ ჩამო-ეკიდნონ საპალნეზე.

ალმართებში და თავქვეზე შეიმაგროონ საპალნე ქვეშიდან შეძლებისამებრ ორივე მხრიდან, რათა აიცილონ უნაგირის დაცურება და ცხენის წაქცევა.

ციცაბო ალმართებზე და თავქვეებზე, კარნი-ზების დაძლევის დროს მძიმე საპალნეებისთვის სულმუდამ იხმაროონ თასმები, ჭაპნებს (თასმებს) გა-მოსდებენ კავებით მოწყობილობას უნაგირებზე. ნომრები აიღებენ ხელში თასმებს და აძლევენ მას მიმართულებას ცხენიდან გეზათ, ალმართში სწევენ და თავქვეზე იმაგრებენ საპალნეს, ცხენის სიარულ-თან თავისი ღონის შეფარდებით.

კარნიზებზე ნომრები თასმის ბოლოებით რაც

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეიძლება მაღლა ადიან თასმების აწევით საპალნეს ხდიან ცხენს, რის გამო ციცაბო ფერდობს დაკარნიზს საპალნე ადვილათ ჰლახავს. თასმებათ შეიძლება იხმარონ საწევებიც.

გრძელსა და ციცაბო ალმართებში და თავქვეებზე ნომრები გზის გასწვრივ დგებიან და სადავეებს ხელიდან ხელში გადასცემენ (ნომრების ჯაჭვი), და ამით შველიან სიარულში თვით ცხენმტარებლებსაც.

თხრილების და ნაპრალების გადალახვის დროს, რომელსაც ცხენი გადაუხტომოდ ვერ გადააბიჯებს და განსაკუთრებით საშიშ ადგილებში, სადაც შესაძლებელია ცხენის წაქცევა, ნომრები უფრო მძიმე საპალნეებს ჩამოჰხდიან და ხელით გადააქვთ.

ოტად თუ ბევრად დიდ მანძილზე გადასატანად იხმარონ სასაპალნე ბერკეტები, ან თუ თანა აქვთ მასალა, იხმარონ კეტები და პატარა ძელები, როგორც საკაცეები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დანართი VI.

კაცების და ცხენების არჩევა და მათი მომზადება.

ნომერთა რიცხვში ზარბაზნისთვის აირჩეს უფრო წარმოსადეგი კაცები, რაც დიდათ აადვილებს ზარბაზნების დასაპალნებას და საპალნეებთან სამსახურს მოძრაობის დროს.

ამათგან უფრო ახოვანნი უნდა იყვნენ მე-5 და მე-6 ნომრები, რადგანაც იმათ უხდებათ სავაზნე ყუთების დასაპალნება უმეტეს ნაწილად სხვების დაუხმარებლად.

დანარჩენ ნომრებიდან უფრო განვითარებული, წერა-კითხვის მცოდნე და მახვილი მხედველობისა დაინიშნოს № 1 (მიმმართველად); მიმმართველის მოვალეობა უნდა შეასწავლონ მუდმივი გათვლის ყველა ნომრებს.

წესდება ითვალისწინებს იმ შემთხვევას, როცა № 7-ს უხდება უფროსის მაგივრობა წინალისა, ან საპალნეების დაკილების დროს. ამიტომ № 7-თ დაინიშნოს ჯარის-კაცი, რომელსაც მართლაც შე-

უძლიან უფროსის მოვალეობა შეასრულოს.

ცხენზე ჯდომა უნდა შეასწავლონ: ზარბაზნის ნაცვალს ყუთის გამძღოლს ყველა ზარბაზნისა და ყუთის და ნომრებს ცხენმტართ.

ზარბაზნის ნაცვალმა და ყველა ცხენმტარნმა უნდა მტკიცედ იცოდენ წესები შეკაზმულობისა და შეკაზმვისა უნაგირების მომზადებისა შესაჯდომათ და სასაპალნედ. საქმით უნდა შეასწავლონ მოვალეობანი და სალაშქრო მოძრაობის დროს საჭირო სიმარჯვე.

ყველა ნომრებმა უნდა იცოდნენ: მოქმედებათა შესრულება ზარბაზანთან, წესები სხვა და სხვა საპალნეების აკიდებისა და თავიანთი მოვალეობანი სალაშქრო მოძრაობის დროს.

ცხენები უნდა ინიშნებოდეს ასასრულებელ სამუშაოს შესაფერად.

უფრო ღონიერი და მაგარ ზურგისანები დაინიშნოს ზარბაზნისა და წინალის ასაკიდებლათ, ამათგან კი უფრო ღონივრები ხოჭიჭისა და კოლოფისათვის. ყველაზე გრძელები და მოკლე კისრიანები —ხოჭიჭისა და ხორთუმის ნაწილისათვის.

ცხენები უნდა შესაფერად გაწვრთნილი იყვნენ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუშაობისათვის; შებმულობის, ზარბაზნის და ყუმბარის ყუთის ცხენები ერთად უნდა იწვრთნებოდენენ შებმულობაში; საპალნის ცხენები—მზადდებოდენ თანდათანი ჩაბმით მუშაობაში, მძიმე ტვირთის საზიდავათ, დაბრკოლებათა დაძლევით მძიმე ტვირთის ზიდვის დროს და სხ.

გარდა ამისა ყოველი ცხენი გახედნილი უნდა იყოს საჯდომათ.

ზოგიერთი ტერმინები და სიტყვები.

ა

ამოსაჩიჩქნი—подковырка.
აწვა—осѣчка.
ამრეკელი, ამსხლეტი—отражатель.
აღსანიშნავი წერტილი—точка отмѣтки.
ასაკრავი—подвязь.
აღნიშვნა—отмѣчаніе.
ფარეში—шарниръ

ბ

ბარგული, საპალნე—въюкъ.
ბრძანება—приказъ.
ბრძანებულება—приказаніе.
ბალთა—застежка.
ბერკეტი—рычагъ.
ბირთვი—пузырекъ.

გ

გადამყვანი, გადამწი—отводка.
განცალკევებული დამიზნები—раздѣльное прицѣливаніе.
გაჯრა—размыканіе.

დ

დანართი—приложеніе.
დალაბა—барабанъ.
დგამი—станина.
დაგორების (დაცურების) შეწყვეტა—прекращеніе отката.
დანაყოფი—дѣленіе.
დახევა—отъѣздъ.
დახევა სიახლოვეზე—ближный отъѣздъ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაბრკოლება—препятствіе.
დაფარული პოზიცია—закрытая позиція.

ე

ენა—защелка.

ვ

ვაზნა—патронъ.

ზ

ზარბაზანი—пушка.
ზარბაზნის დაცლა—разряженіе пушки.
ზარბაზნის გამოცლა--разряженіе вынутіемъ гильзы.
ზონარი—шнуръ.
ზუმბა—шомполь (проторальникъ.
ზურგი—тылъ.
ზუბანა—шипъ.

თ

თანგი—зажимъ.
თარაზო—ватерпасъ, уровень.
თეფში—тарель.

კ

კეტი (პატარა)—валекъ.
კეტი (დიდი)—вага.
კორაქი—штыръ.
კავბურღა—завертка.
კავი—зацѣпь.
კაუჭა—кручокъ.
კაკვი—крюкъ.
კისერში (კეფაში)—въ затылокъ.
კლიტე—спусковой механизмъ.
კედარო—фронтъ
კონკილა—подстановка
კოლოფი—коробъ.
კუთვნილება—принадлежность.
კუთხსაზომი—угломѣръ
კორა (სამიზნე)—прицѣлъ.

ლ

ლაფეტი—лафетъ.

მ

მარყუში—петля.
მტკეცი—нажимъ.
მაჩვენებელი—указатель
მიყენება—подъѣздъ.
მიმართვა—наводка.
მიმმართველი, მომიზნე, დამმიზნებელი—наводчикъ.
მკლავი—ципфа.
მოკაზმულობა—аммуниція.
მესაკეტე—замковый.
მქანი, მქანებელი—маховикъ.
მწკებრი—лопасть.
მიმართვის წერტილი—точка наводки.
მიწვდა (ვაზნებით უზრუნველყოფა) питаніе (подача снарядовъ).
მიჯრა, დაჯრა—смыканіе
მესამართე—правильный

ნ

ნამორი—нарѣзъ.

ო

ოწინარი (ლატანი)—дышло.
ოწინარის წინა ნაწილი—уносный конецъ дышла.

პ

პარკი (ჭელგმა)—паркъ.
პლაკა—планка.

რ

რაზა—наметка.
რგალი—скоба.

ს

სავაზნე—патронникъ.
საცობი—стопоръ.
საძირის კეტი—корневая вага.
საფრთხილო—предохранитель.
საძირე—кореной.
სამაქოვო—подшипникъ
საყევარი—уносъ.
საწევები (სამბური)—постромки.

საქლეში - протиральникъ.
საფალიე ნაწილი — казенная часть.
საჭურველი --снаряженіе
საჭვრეტი — визиръ.
სამართი — правило.
საფრთხილო — предохранитель.
საყე, სარი — вѣха.
სავაზნე ყუთები — патронные ящики.
სამუხთე ყუთები — зарядные ящики.
საკეტი (ჩახმახი) — затворъ.
სიახლოვეზე, მახლობელი
დახევა — ближній отъѣздъ.

ტ

ტაბიკი — шворенъ.
ტუჩი — дуло.

უ

ურდული — засовъ.
უკანალზე — назадки.
უბანი — участокъ.
უკან დაგორება — откатъ

ბ

ბალდუმი, ბალდუმი — шлея.

ქ

ქვემეხი — орудіе.
ქეშო — лекало
ქურო — муфта.

ღ

ღერძი — ось.
ღერძკალა — ходъ (передній, задній)
ღრუ — каналъ.
ღერო — стержень.
ღანღვილი, ჭოჭონაქი — блокъ.

ყ

ყუთის გამძღოლი — ящищный провожатель

შ

შვეული — отвѣсъ.
შვეულებრივი, შვეულხაზი — отвѣсный.

შიდამორგვი—втулка.

ჩ

ჩანჩარუხი—поршень.

წ

წვეტანა—шпилка.

ჭ

ჭანჭიკი,—болтъ
ჭოგრი—кронштейнъ.

ხ

ხალთა—чехолъ.
ხელის ჭაპნები—ляшки.
ხოჭიჭი, აკვანი—люлька
ხუფი, სარქველი—колпакъ.

ლ. ცაგარელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შემჩნეული შეცდომანი:

დაბეჭდილია:	უნდა იყოს:	გვერდი.
მე 3—რე	მე 3-მე	10
მომართვის	მიმართვის	18
მომართეთ	მიმართეთ	19
5 დან	5-დენ	22
უშუამავლი	უშუამავლო	23
თანაბრი	თანაბარი	25
ნომრების	ნომრები	26
სამს	წამს	—
შეს წყვეტენ	შესწყვეტენ	—
ეგანკარგულს	ეგანკარგულის	30
შეეკრფა	შეკრეფა	36
წყვილი	წყვილის	41
კისარში	კისერში	45
ადგილა	ადგილას	48
შემოსვლის	შემოვლის	57
აზარმეცებთან	ბერკეტებთან	68
სამაქოვე	სამაქოვეს	69
ოწნრის	ოწინარის	70

ლაბამს	დაბამს	72
შიჰმიყავს	შემოჰყავს	78
2 „	2 ნაბიჯზე	83
არ ჩამიგადე	არ ჩამოხადო	88
ნემრები	ნომრები	99
ჩმოხდის	ჩამოხდის	107
უფროსობის ქვეშ	უფროსობით	114
ეგანყარგულება	ეგანკარგულება	118
გადამწნი	გადამწი	123
მიქელებულის	მისქელებულის	130
დაზნქეთ	დაზნიქეთ	132
ხელი	ხელით	133
მჭდროთ	მჭიდროდ	138
მიმმართველმა	მიმმართველი	157
განსაკუთრებით	(50 გამოკლებით)	154
განსაკუთ.	(100 გამოკლებით)	—